ლიტერატურული საქართველო

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

7 თებერვალი, 2014 წ. | №5 (3691) | გამოცემის 78-ე წელი | ფასი 1 ლარი



რეპლიკა

სიყვარულს გული სჭირდება

ა.წ. 24 იანვარს გაზეთმა ,,ლიტერატურულმა საქართველომ“ სათაურით – ,,ვინ და როგორ ებრძვის კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს გურამ ოდიშარიას“ – პოეტის, საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის წევრის, ავთო ჩხაიძის წერილი გამოაქვეყნა.

წერილის ავტორი შეშფოთებულია იმ უსამართლობით და დაუნახაობით, რაც გურამ ოდიშარიას მიმართ ხდება.

გურამ ოდიშარიასა და მისი თანაგუნდელების მოსვლით ბევრი რამ ქვეყნის სასიკეთოდ შეიცვალა კულტურის სამინისტროში, იგი გახდა არა მარტო თბილისის, არამედ სრულიად საქართველოს კუთვნილება.

დანიშვნის დღიდანვე გურამ ოდიშარიამ ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხე მოინახულა, დაინტერესდა პერიფერიებში არსებული მდგომარეობით, მხარდაჭერა აღუთქვა ახალ პროექტებსა და პროგრამებს ,რომელიც აალორძინებს და მნიშვნელოვან ელფერს შესძენს დღევანდელობას.

სამწუხაროდ, ბოლო დღეებში, ფეისბუკში, კიდევ ერთხელ გაჟღერდა არასწორი ინფორმაცია კულტურის მინისტრის გადადგომის შესახებ.

სწორედ ამ ფაქტმა მიიპყრო ჩვენი ყურადღება, გაჩნდა ეჭვი იმის შესახებ, რომ ვიღაც ნიღბოსანი ფარულად იბრძვის მისი სავარძლის დასაკავებლად.

დამაიმედებლად გვესახება ქვეყნის პრემიერ მინისტრის ბატონ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება, რომ იგი ჯერჯერობით საკადრო ცვლილებებს არ აპირებს.

დარწმუნებული ვართ, რომ დააპიროს კიდეც, იმ ჩამონათვალში გურამ ოდიშარიას გვარი და სახელი არ მოხვდება.

ასე რომ, უსაფუძვლოა ცდა და ლოდინი იმ ადამიანებისა, რომლებიც კვლავ აგრძელებენ თამაშს ძველი წესებით და ცდილობენ, ამღვრეულ წყალში თევზი დაიჭირონ .

გურამ ოდიშარია შესანიშნავი მწერალი და ჟურნალისტია და მე, როგორც მისი მკითხველი და ჭირისუფალი, ძმურად ვურჩევ, გული არ გაიტეხოს და ყური არ ათხოვოს გულგრილობას.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვეთანხმები ბატონ ავთო ჩხაიძეს, როცა იგი ამბობს, რომ გურამ ოდიშარია კაცია, რომელმაც ბედ-იღბლისგან მრავალი ტკივილი მიიღო, კაცი, რომელიც ისე ალალ-მართლად ცხოვრობს, როგორც წერს და, რაც მთავარია, ჭეშმარიტი ქართული ენის, ჯიშისა და სულის მატარებელია.

დავამატებდი:

კულტურის მინისტრობა ფრიად დიდი თანამდებობაა, რომელსაც დიდი ძალისხმევა სჭირდება, მაგრამ, მას – გურამ ოდიშარიას – აქვს კიდევ ერთი დიდი და უპირველესი სამსახური – მწერლობა, რომლის გამოც იგი საზოგადოებამ შეიყვარა და აღიარა.

თეიმურაზ ლანჩავა

მწერალი, საზოგადოება ,,ქუთაისელის“ პრეზიდენტი

წიგნი, როგორც ასეთი, ხელოვნებაა

სულ ახლახანს საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში მოეწყო მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული წიგნის – „ქართული წიგნის ხელოვნება“ – გამოფენა-გაყიდვა.

სიმართლე ითქვას, ქალბატონმა ნინო ჯიშკარიანმა ფრიად წარმატებული ნაბიჯი გადადგა – დიდებულად წარმოაჩინა ქართული წიგნის მხატვრული გენერაცია, სპეციფიკური მიღწევები, სხვადასხვა სტილისტური მიმართულებები...



ეს არის ჭეშმარიტი, ცოცხალი ხელოვნების, ნახატი შრიფტების უნიკალური ისტორია. აქ წიგნი, როგორც ასეთი, თავად წარმოადგენდა ხელოვნების უძვირფასეს ნიმუშს...

ალბომში შესული ცნობილ ქართველ მხატვართა ნამუშევრები მრავალს ჩააფიქრებს ქართული წიგნის მომავლის ბედზე; მრავალს საკუთარ ბავშვობასთან მიაბრუნებს; მრავალს კი სტიმულსაც მისცემს ახლის და უკეთესის შესაქმნელად.

ეს არის ქართული წიგნის ერთი ეპოპეა, რომელსაც უნდა იცნობდნენ არა მხოლოდ ხელოვანნი, არამედ ყოველი რიგითი ქართველიც.

ქართული ტაძარ-მონასტრების აღმშენებლობის, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და საადგილმამულო ბანკის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი

ფონდი 2013 წლის 5 ივლისს შეიქმნა.

ფონდის დამფუძნებლები არიან:

გურამ ალექსიძე, მერაბ ძნელაძე, თამარ ხოხობაშვილი, ირაკლი ძნელაძე, ანდრო გოგოლაძე, მიხეილ ქავთარია, გიორგი (გიგა) ბათიაშვილი, ზურაბ ბრელიძე.

ფონდის საპატიო პრეზიდენტი – გიორგი მარგველაშვილი

ფონდის პრეზიდენტი – მერაბ ძნელაძე

ფონდის გენერალური დირექტორი – ანდრო გოგოლაძე

ფონდის თანაპრეზიდენტები: ნიკოლოზ რაჭველი, სოზარ სუბარი, მაკა ასათიანი, ვლადიმერ (ლადო) პაპავა, მერაბ დვალი, ლევან ფოფხაძე, ივა (იოვანე) სიხარულიძე, ზაზა ვაშაკიძე, ირაკლი თევდორაშვილი, ნათელა (ნათია) თურნავა.

ფონდმა, მისი საპატიო პრეზიდენტის ბერი დავითის (ჭაბუა ამირეჯიბი) სახელის უკვდავსაყოფად დააარსა ბერი დავითის (ჭაბუა ამირეჯიბი) პრემია.

პრემიის მიმნიჭებელი საბჭო: **თამარ ჯავახიშვილი, მანანა ამირეჯიბი, ქუცნა ამირეჯიბი, გოგი ხარაბაძე, მაია ფანჯიკიძე, მანანა ბერიკაშვილი, თამარ სანიკიძე, მალხაზ ჩუგოშვილი**.

პრემია მიენიჭებათ ლიტერატურაში, ისტორიაში, რელიგიის ისტორიაში, ხელოვნებაში, მეცნიერების სხვადასხვა დარგში მოღვაწე მეცნიერებსა და სტუდენტებს.

* * *

ფონდის „თბილისის ეკლესიების ბედი“ სერიალის სამეცნიერო საბჭოს მიერ (ხელ-ლი ვიქტორ დოლიძე) გამოსაცემად მომზადებულია ისტორიულ-არქეოლოგიური მონოგრაფიული სამეცნიერო ნაშრომების ორი ტომი:

1. „კლდის უბნის წმიდა გიორგის ეკლესია“;
2. „ორმოცი სებასტიელი მოწამის სახელობის მამათა მონასტერი“.

* * *

ფონდის პოეტური ცენტრი (ხელ-ლი პოეტი გენო კალანდია) „ქართული ტაძარ-მონასტრების“ მიერ გამოსაცემად მომზადებულია ლექსების კრებული „ქართული ტაძარ-მონასტრები“ (I ნაწ.). წიგნში შესულია ხალხური, სხვადასხვა ეპოქისა და თანამედროვე პოეტთა ლექსები საქართველოს ტაძარ-მონასტრების შესახებ.

* * *

მუშაობას შეუდგა ფონდის ქართული სამართლისა და საეკლესიო სამართლის ისტორიის კვლევის ცენტრის სამეცნიერო საბჭო (ხელ-ლი შალვა შავგულიძე).

* * *

ფონდის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულები, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, აწარმოებენ მოსამზადებელ სამუშაოებს ამ სფეროებში პროექტების განსახორციელებლად.

– **თაბუნთა სკოლა** (ხელ-ლი პროფ. თამარ ხოხობაშვილი);
– **ანდრია აფაქიძის სახ. არქეოლოგიური ცენტრი** (ხელ-ლი ისტ. მეცნ. დოქტორი ვაჟა სადრაძე);
– **ქართული მედიცინის ისტორიის შესწავლის ცენტრი** (ხელ-ლი პროფ. რამაზ შენგელია); ცენტრს გამოსაცემად მზად აქვს ქართული მედიცინის ისტორიის 4 ტომი;
– **ქართული ხელნაწერების შესწავლის ცენტრი** (ხელ-ლი პროფ. მიხეილ ქავთარია);
– **ფონდის იურიდიული სამსახურ**ი (ხელ-ლი პროფ. მარიამ ხაჭაპურიძე);
– **მთარგმნელობითი ცენტრი** (ხელ-ლი გვანცა ლორთქიფანიძე);
– **წმიდათა ცხოვრების სერიალი**;
– **საქართველოს ისტორიის კვლევის ცენტრი**;
– **ქართული ხელოვნების შესწავლის ცენტრი**;
– **სამეცნიერო პროექტების საერთაშორისო ცენტრი**;
– **კულტურული ღონისძიებების პროგრამები** (ხელ-ლი ტატიანა (ტატა) ჩუბინიძე);
– **სოციალურ-მედიცინურ ღონისძიებათა ცენტრი**;
– **სკოლა „ქართული დამწერლობა და ასომთავრული“** (ხელ-ლი მხატვარი ემირ ბურჯანაძე);
– **სამონასტრო მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი** (ხელ-ლი აკად. ნაპოლეონ ქარქაშაძე);
– **სკოლა „მეჭურჭლეთუხუცესი“** (ხელ-ლი პროფ., აკად. კარლო ღურწკაია); გამოსაცემად მზად არის „მეჭურჭლეთუხუცესი“ და „ეკონომიკა მენეჯერებისათვის“ (ავტორი პროფ. გელა (გერასიმე) გოგოლაძე)
– **სახელოვნებო სკოლა „ხატმწერი“** (ხელ-ლი დეკანოზი ალექსანდრე (გალდავა);
– **საკანონმდებლო წინადადებების პროექტების ცენტრი**;
– **ფიქსაციისა და მედია-ცენტრი „სარკმელი“** (ხელ-ლი რეჟისორი. საბა ამირეჯიბი);
– **მგალობელთა სკოლა „ზარი“** (ხელ-ლი მარინა კოლხიდაშვილი);
– **ქორეოგრაფიული სტუდია „ტაძარი“** (ხელ-ლი გოჩა გაბაშვილი);
– **ქართული საყმაწვილო ლიტერატურის სერიალი** (ხელ-ლი პროფ. ალექსანდრე ლორია);
– **სამეცნიერო-საბიბლიოთეკო ცენტრი** (ხელ-ლი სოფიო ბუაჩიძე);
– **ტურისტული ცენტრი**;
– **სპორტული საბჭო**;
– **შემოქმედებითი საეკლესიო სამკერვალო სალონი** (ხელმძღვანელები მხატვარი ირაკლი ჭაბუა და ირინე (დიანა) კალანდია);
– **სამშენებლო, არქიტექტურული და სარესტავრაციო ცენტრი** (ხელ-ლი პროფ. გიორგი (გიგა) ბათიაშვილი);
– **ახალგაზრდული საბჭო** (ხელ-ლი სალომე ლუდუშაური);
– **სამედიცინო სამსახური** (ხელ-ლი ზურაბ ბრელიძე);
– **საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური** (ხელ-ლი ხათუნა დიმიტრაძე);
– **საფინანსო ფონდი** (ხელ-ლი გიორგი ხაჭაპურიძე).

* * *

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით, ფონდის სიწმიდეთა შესწავლის ცენტრს განზრახული აქვს, ითანამშრომლოს საქართველოს საპატრიარქოს ეპარქიების მმართველებთან – მღვდელმთავრებთან საქართველოს სიწმიდეებისა და ისტორიულ-ხუროთმოძღვრული ძეგლების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურის გამოცემისთვის.

* * *

აღნიშნული პროექტების განსახორციელებლად ფონდი მოწოდებულია მიიღოს საზოგადოებისგან წინადადებები, გაიზიაროს გამოცდილება და, სურვილის შემთხვევაში, გამოიყენოს ინტელექტუალური რესურსი.

დამატებითი ინფორმაციისთვის
დაგვიკავშირდით:
saadgilmamulo@gmail.com

ფონდის საბანკო ანგარიშებია:
სს „თიბისი ბანკის“ ცენტრალური ფილიალი
TBCBGE 22
GE27 TB70 9493 6080 1000 04
სს „ბაზისბანკი“
CBASGE22
GE19 BS 00 0000 0058 2369 72

დანაშაულით მკვდარი

გივი ალხაზიშვილი

და თქვენც, მკვდრები რომ იყავით თქვენი დანაშაულით და ცოდვებით, რომლებითაც ოდესღაც იარებოდით ამ წუთისოფლის ჩვეულების მიხედვით...

ეფს. 2. 1-2;

...ვიცი შენი საქმენი, რომ გაქვს სახელი, თითქოს ცოცხალი ხარ, შენ კი მკვდარი ხარ.

გამოცხადება თავი 3, 1;

შურისძიებით შთაგონებული, გაშლეგებული ზეიმობს წარმოსახულ გამარჯვებას და უსაზღვრო სიამოვნებით აღივსება. ცეცხლმოდებულ თივასავით ალმოდებული ცად ავარდება და მყისიერად ჩაიფშუტება, ჩაიფერფლება, ჩანაცრდება, თვალსა და ხელს შუა გაქრება მისი მოჩვენებითი გზნება, ისე, რომ ამ უბედურს სინანულის განცდაც არ დაეუფლება. მის თავში არცერთ ფიქრს ღამე არ უთევია და რაც ენაზე მოადგება, იმის იმედად არის მუდამ.

–იდეა, იდეა, რამე ახალი იდეა, ჩქარა, მოიფიქრეთ! ისეთი იდეა, ყველაფერს რომ გადაფარავს, ახალ ათვლის წერტილს გამოაჩენს და ჩაითრევს ყველას და ყოველივეს. ი დ ე ა! სახე შეეცვალა, თვალები ჩაებჟუტა და მზერა ფანჯრისკენ გაექცა, სადაც ბელურები განაგრძობდნენ პოპულაციის უწყვეტ ტრადიციას.

წამოდგა, მიიჭრა სარკმელთან, ფარდა სწრაფად გადასწია და დოინჯშემოყრილი ერთხანს იქვე იდგა, მერე მოჰყვა ბოლთისცემას და მექანიკურად იმეორებდა:

– იდეა, იდეა, ახალი იდეა მინდა, ოღონდ ისეთი, ყოველივეს რომ აღემატება და არა ეს ბელურული ბანალობა!

– იდეა!!!

– ჩვენ შევქმნით უმაღლეს სასწავლებელს ჩრდილოეთ კავკასიელებისთვის. ექნებათ საცხოვრებელი ბინა, სტიპენდია და კვება და მივცემთ საფუძვლიან განათლებას. სწავლების პროცესი გაგრძელდება დიდხანს, ერთი ნაკადი მეორეს ჩაენაცვლება. კურსდამთავრებულები დაბრუნდებიან თავიანთ ქალაქებსა და სოფლებში და იქ გააგრძელებენ საქმიანობას. იზრუნებენ თავიანთი ხალხების თავისუფლებაზე, აღზრდიან სხვებს. ასე თანდათან მთელი ჩრდილოეთ კავკასია იქცევა იმ ძალად, რომელიც.... აზრი აღარ დაამთავრა. ახლა უკვე სტატისტიკაზე გაამახვილა ყურადღება. ლოთობით გაუბედურებულ მილიონებზე, დემოგრაფიულ კატასტროფაზე რუსეთში და ათას ჭირზე, ჩრდილოელ მეზობელს რომ შეყრია და კიდე დიდგულზეა და სხვის დაპყრობაზე უჭირავს თვალი. რუსეთი დაიშლება. აუცილებლად დაიშლება!

ამას რომ ლაპარაკობდა, უნებლიეთ ეთიშებოდა მაგიდასთან მსხდომებს და სხვა სივრცეში გადადიოდა, სადაც მისი იდეები ფრთას ისხამდნენ და წარმოსახულ რეალობად იქცეოდა, რომელსაც თვითონ, როგორც სინამდვილეს, ისე აღიქვამდა და მსმენელთაგან იყვნენ გამონაკლისები, ამ ზეაწეულ პათეტიკას რომ ემორჩილებოდნენ უნებლიეთ, გაუაზრებლად და გულანთებულები შესციცინებდნენ პირველწყაროს, როლში რომ შეჭრილიყო და მიიწევდა წინ და წინ, სადაც არავითარი წინაღობა არ არსებობს!

იგი დესტრუქციის უბადლო ოსტატი და შეუდარებელი პროვოკატორია. ეს „პროფესია“ არ ითვალისწინებს რაიმენაირ ზნეობას და რადგან გაყალბებული, შეთხზული სიმართლით მანიპულირება მყისიერი შედეგის მომტანია, გამუდმებით სარგებლობს მანიპულაციის დროებითი ნაყოფით. ამიტომაც, შეიძლება ვუწოდოთ სუბიექტს – დესტრუქტორ-მანიპულატორი. უიშვიათესი ეგზემპლარია. სიმართლე გითხრათ, მოუთმენლად ველოდები მის სრულ დეკონსტრუქციას ვირტუალურ და რეალურ სივრცეში.

როცა მაგრად გაიჭედება, გირჩევთ, შეახსენოთ მისთვის ესოდენ „ნაცნობი“ რუსთაველი: „რადგან თავია სიცრუე, ყოვლისა უბედობისა“...

იგი ყველას ცოცხალი ჰგონია, მაგრამ სინამდვილეში მკვდარია, რადგან მასში ნებისმიერი ადამიანური ჩაფერფლილია და განადგურებული, არავინ უყვარს საკუთარი უბადრუკობის გარდა და ეშინია სიკვდილის, და თან არ იცის, რომ უკვე კარგა ხნის მკვდარია.

შეხედეთ, ის გახლავთ „დანაშაულით მკვდარი“.

საიდუმლო თათბირზე გადაწყვიტეს გაეზიარებინათ მსოფლიოს ციხეებში ფარულად კულტივირებული წამების მეთოდები, თვითონ ამ მეთოდებს ტექნოლოგიები დაარქვეს, რადგან უფრო ცივილიზებულად ჟღერდა და სასწრაფოდ დანერგეს ქართულ ციხეებში, უცვლელად გადმოიტანეს და დაამკვიდრეს საბადრაგო სივრცეში, როგორც ერთ-ერთი მათგანი ამბობდა გაპრანჭულად – ქართული ციხეების საბადრაგო გამოცდილება და კვალიფიკაცია ამაღლდა მნიშვნელოვანწილად. რამდენჯერმე წამოცდა მაღალს, რა გგონიათ, მხოლოდ ჩვენთან არის მსგავსი პრაქტიკა?! გაიკითხეთ, გაარკვიეთ, მსოფლიოს ციხეებში იგივე ხდება. მიხვდა, რომ ასეთი თავის მართლება დანაშაულის აღიარების ტოლფარდია და ამ თემაზე აღარ ამოუღია ხმა. იმ დღეს წყევლიდა, როცა მისი საბადრაგო ნოვაციები გამოაშკარავდა და ყველაფერი ხელიდან დაუსხლტა. არადა, როგორ ზუსტად ავითვისეთ და ავაწყეთ საქმე, როგორ ლამაზად გადმოვიტანეთ, როგორც სასტუმროს პროექტი და აქაც აღმოცენდა ახალი ინსტიტუტი, ცივილიზებული სამყაროს საბადრაგო გამოცდილება. სხვაგვარად ვინ ალაგმავს ამ ბნელ ძალებს?!

●

10. 9. 2012 წ.

უმძიმესი პოლიტიკური ვითარებაა. წინასაარჩევნო განწყობა კი არა, წინასაომარი მდგომარეობაა, პოლარიზაცია ზღვარს აღწევს და მტრობაში გადაიზარდა. ასეთ დაპირისპირებას ხელს უწყობს პრეზიდენტის უკონტროლო გამოსვლები, მისი მოურიდებელი სიძულვილის ენა, დაპირისპირების გამძაფრება და ლანძღვა-გინების კორიანტელი. „ოცნებაში“ თავმოყრილია ძალიან ჭრელი ხალხი, იმდენად ჭრელი, რომ მათი პოლიტიკური პოზიციები ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავია და მათი გაერთიანება ბიძინა ივანიშვილმა შეძლო და გააფორმა.

სააკაშვილი, რაც დრო გადის, უფრო არაადეკვატურია, ჩქარობს, არჩევნები სასწრაფოდ მოიგოს და „ოცნება“ მოიშოროს თავიდან. ამ სიჩქარეში უამრავ უკონტროლო და უაზრო ქმედებათა ჯაჭვი მძიმდება და უარესად ბორკავს და აღიზიანებს მის მოწინააღმდეგეებს და აღაგზნებს მომხრეებს. დაპირისპირება კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება და არ ვიცი, რა მოელის ქვეყანას და ხალხს.

სააკაშვილის ხელისუფლების ბუნებრივი ცვლა, როგორც ჩანს, შეუძლებელია, რადგან მიშამ მიისაკუთრა ხელისუფლება და არჩევნების გასაყალბებლად ემზადება. გადაწყვეტილი აქვს, პრემიერ მინისტრის პოსტის ხელში ჩაგდება და ქვეყნის სრული პუტინიზაცია. ისეთივე პოლიტიკური მომავალი გველოდება, როგორიც რუსეთშია. ალბათ პრემიერ მინისტრობის ვადას რომ ამოწურავს, მერე ხელახლა გადააკეთებს კონსტიტუციას და პრეზიდენტობას მოისურვებს.

სრულ სიგიჟეში გვიწევს ცხოვრება. მიშას ყოველი აფორიაქება მთელ მოსახლეობას გადაედება და საშინელი ფსიქოზი მოიცავს ხოლმე მთელ ქვეყანას. მომხრეებს აგრესიით აღანთებს, მოწინააღმდეგეებს კი უფრო აღიზიანებთ მათი მომხრეების ინტენსიური დაპატიმრებით, სულელური ხელისშეშლებით და წვრილმანი თუ მსხვილმანი შეჩხიკინებით. ქვეყანამ შეწყვიტა ნორმალური ცხოვრება და მთლიანად გადართულია წინასაარჩევნო პათოლოგიაში და არაჩვეულებრივ საარჩევნო საქმიანობაში..

ძნელია, რაიმე იწინასწარმეტყველოს ადამიანმა, მაგრამ ამ საშინელ აგრესიას შეიძლება ლოგიკური შედეგი მოჰყვეს ანუ სრული სიგიჟის აპოგეა, გამალებით რომ მიიწევს ფსიქოზური ფინიშისკენ.

მინაწერი: გუშინ თელავში გაიმართა „ოცნების“ მხარდამჭერთა გრანდიოზული მიტინგი. მიტინგის დასრულების შემდეგ ჯერ სცემეს და მერე დაიჭირეს ბიძინას მომხრე პანკისელი ქისტები. პოლიციამ თავდამსხმელებს თვალი აარიდა და დაზარალებული ქისტები დაიკავა. როგორც ჩანს, ბიძინასა და ბერი-კაშვილისთვის თეთრი ნაბდების ბოძება არ აპატიეს პანკისელ ქისტებს. არცერთი მოძრაობა თუ ქმედება, რაც სააკაშვილს თვალში არ მოუვა, არ რჩება დაუსჯელი. სააკაშვილის რეჟიმი ნებისმიერი ქმედებისკენ უბიძგებს მარწუხებში მომწყვდეულ პოლიტიკურ ოპოზიციას, რაც შეუდარებლად სახიფათი ხდება ქვეყნისა და ხალხისთვის.

10.9. 2012.

ამ ორ, ურთიერთგამომრიცხავ ფსიქოტიპს შორის /სააკაშვილი-ივანიშვილი/ რადიკალური განსხვავებაა. ერთი მიზანთროპია, ხოლო მეორე ფილანთროპი. გარჩევა არ არის ძნელი. /გ.ა./

11. 9. 2012 წ.

ბაგრატის ტაძარი ლამის ნაცმოძრაობის საკუთრებად გამოცხადდა. რადგან პრეზიდენტის ინიციატივაა ტაძრის სრული აღდგენა ე. ი. ნაცპარტიის უპირველესი უფლებაა ტაძრის აღდგენის საზეიმო დღის აღნიშვნა. ეს მოსაზრება, ახალგაზრდა ნაცმა გაახმოვანა, ავტორი ისედაც ცნობილია. ამას წინ უსწრებდა პატრიარქის განცხადება, როცა მან ტაძრის კურთხევაზე მიიწვია პოზიცია, ოპოზიცია, ერი და ბერი, მხედრობა და ა.შ. და მის ტექსტში ხაზგასმით გაისმოდა შერიგებისა და მშვიდობისკენ მოწოდება. ჩიორამ კი – არა, ბატონო, ტაძრის აღდგენის იდეა პრეზიდენტს ეკუთვნის და ეს ზეიმი ნაცმოძრაობის საკუთრებაა.. ჩემ თავს ვკითხე, აღდგენილი ტაძრის კურთხევა როგორ ეკუთვნით ჩიორებს, როცა პატრიარქმა უნდა აკურთხოს ტაძარი? ბარემ მიშამ გადასწიოს გვერდზე პატრიარქი და კურთხევის პროცესიც თვითონ შეასრულოს, როგორც უზენაესისგან ხელდასმულმა. როგორც ვხედავ, ფსიქოზი იქცა ხელისუფლების ბუნებრივ ტონალობად, საქციელად, თავხედობად, დაუნდობლობად. ტიპური ბოლშევიზმი სუფევს. კლასობრივი მტრების გაქრობა-განადგურებაზე ალაპარაკდა მერაბიშვილი, ყინჩად განაცხადა ბელადის საამებლად: ოთხმოცდაათიანი წლების მუმიები და დინოზავრები უნდა გავაქროთ. სიძულვილის ენა – ვინც ჩვენ არ გვემხრობა, მათი მტრად გამოცხადება, ნორმად იქცა ნაცმოძრაობისთვის.

ქართული ოცნების ლიდერები გამარჯვებაში დარწმუნებულები არიან. მე კი ვფიქრობ, მეტი სიფრთხილე და ყურადღებაა საჭირო. ოცნებელთა გათვლით, სააკაშვილის და ნაცმოძრაობის დღეები დათვლილია.

ნაცებმა საქართველოს რამდენიმე ქალაქში პარტიული შეკრებები გამართეს. სამარშრუტო ავტობუსების მრავალასეულიანმა კოლონამ გამალებით ირბინა, მთელს საქართველოში მობილიზებული ადმინისტრაციული „რესურსი“ გადაჰყავდათ ქალაქიდან ქალაქში და ცდილობდნენ ხალხმავლობის შთაბეჭდილება შეექმნათ. მეცხრე არხის ტელე-ინტერვიუებში კარგად ჩანს საბავშვო ბაღების, სკოლების მასწავლებლები, ბიბლიოთეკარები, მათი შვილები, შვილიშვილები და მეზობლები, მუნიციპალიტეტის მშენებლობებზე დაქირავებული მუშები, ჯარში გაწვეული ჯარისკაცები, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილები, მთელი შსს ფორმაში თუ უფორმოდ მარათონში იყვნენ ჩართული. ეს იყო ერთი მხრივ სამარცხვინო და, ამავე დროს, სიბრალულის აღმძვრელი სანახაობა, განსაკუთრებით იმ ადამიანთა მიმართ, იძულებით, სამსახურიდან გაგდების შიშით რომ შეკრიბეს და შეაკოწიწეს..

ეს სანახაობა კოლექტიურ აგონიას ჰგავდა, რომლის დამდგმელი და დრამატურგი საყოველთაოდ ცნობილია.

„ქართული ოცნება“ მაინც ფრთხილად უნდა იყოს, რადგან გამარჯვების წინასწარული ეიფორია სახიფათო რამეა და მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს საკუთარი პროგრამის პროპაგანდას. ის, რომ ზნეობრივად და პოლიტიკურად გაკოტრებულია მმართველი პარტია, ის, რომ ანიმაციური ფილმის პერსონაჟებად იქცნენ ნაცების ლიდერები, რა თქმა უნდა, დასასრულის სიახლოვეს მოასწავებს, მაგრამ „ოცნებას“ მაინც არ ვურჩევ ყურადღების მოდუნებას, რადგან არ არის გამორიცხული სცენარის სხვაგვარად განვითარება, როცა მათი დამარცხება გარდაუვალი იქნება, მაგრამ ჭირვეულად გაჯანჯღლდება და შეშლილი უარესად შეიშლება.

11. 9. 2012 წ.

ინტერპრესნიუსი: „წუხელ, გვიან ღამით, ყვარლის რაიონის სოფელ თხილისწყაროში უცნობი შეიარაღებული პირები ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე რამდენიმე ოჯახში შეიჭრნენ და მოსახლეობას ემუქრებოდნენ. შეიარაღებული პირები იმ ოჯახებში იმყოფებოდნენ, 9 სექტემბერს თელავის აქციას რომ ესწრებოდნენ.

ყველა აფორიაქების სათავე მის ფსიქიკაშია. მოუვა თავში ახალი იდეა და სასწრაფოდ გამოსცემს ბრძანებულებას, გამოდგამს მოძრავ ტრიბუნას ტელე-ეკრანზე, კადრში შემოვარდება სწრაფი ნაბიჯებით, დაქოქილივით, მყისიერად გააგრძელებს ქვეყნის ვირტუალურ მართვის, მისთვის ესოდენ ძვირფას რიტუალს. ყველა ოჯახში შერბის, ყველას ცხოვრებაში უხეშად იჭრება, მოუშორებელი ჭირივით მომაბეზრებელია და ავადსახსენებელი. იწყევლება, ილანძღება, ბაზრის დედაკაცივით ქაქანებს, საუბრისას სიჩქარეს კრებს და ვერავის და ვერაფერს ამჩნევს, გარდა კოლექტიური მტრისა, რომლის ვირტუალური განადგურება იმდენად აღაგზნებს, რომ წამოცდენების მთელი კასკადები ირევა ისედაც დანაგვიანებულ ჰაერში და კულმინაციას მხოლოდ მაშინ აღწევს, როცა აკვიატებულ მტერს ვირტუალურად გაანადგურებს. ისიც ხდება ხოლმე, როცა პირის სიმშრალე სტანჯავს და სიტყვები ნახერხივით უხევდება ხახაში და საეჭვოდ აჭრილ მზერას ხელოვნური ღიმილით ივსებს

►► გაგრძელება მე–4 გვ.

▶▶ მე–3 გვერდიდან

იმის დასამალად, რისი დამალვაც შეუძლებელია და განცვიფრებული მასა შეჰყურებს დაბრეცილ, დეფორმირებულ სიფათს, რომელიც უნდა გებრალებოდეს და უარყოფდე, როგორც პათოლოგიას. ასე იყო ელიას მთაზე ტაძრის საძირკვლის კურთხევისას, ასე იყო ყვარელში, სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან, როცა ლოპოტას გამო იტყუებოდა სამარცხვინოდ და თვალს არ ახამხამებდა.

2006 წელს, თუ არ ვცდები, ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“ ჩანაწერები გამოვაქვეყნე, სადაც ასეთი ორსტრიქონედიც დაიბეჭდა: „მასში ყოველი ნეირონი, ნამდვილად არის ნერონის“... ეს თვითმარქვია არქიტექტორი, შოუმენი, დამდგმელი რეჟისორების და დირიჟორების იდეებით აღმჭურველი, საქართველოს ჰიმნის ტექსტის შეკოწიწების აქტიური მონაწილე, ყოველთვის ცდილობს ქვეყნის მხოლოდ პოლიტიკურ სათავეში კი არა, არამედ კულტურული პროცესის ეპიცენტრში იყოს და მისი ბავშვური აკვიატებების ასრულებაში ეხმარება სახელდახელოდ აჩემებულ რეჟისორებს, დირიჟორებს, მოწვეულ არქიტექტორებს, მასაჟიორსაც ამერიკიდან ჩამოაბრძანებს და საქვეყნოდ გამოაჭენებენ მისი აღმატებულების გაარშიყებას ცნობილ ქალბატონთან, კბილებით და ბაგეებით რომ ასრულებს სხეულის მასაჟს. ამის შემხედვარე ხალხი, ცხადია, სოციალურ სიდუხჭირეს იხსენებს და ქირქილებს; რა დროს მასაჟია, როცა ქვეყანა შიმშილობს? რა დროს საქვეყნოდ ცნობილი და ძვირადღირებული მომღერლების ჩამობრძანებაა ბათუმში, რომელთა კონცერტს „ახალი მდიდრები“ ანუ სახელისუფლებო ელიტა თუ დაესწრება და ეს ჟინმოუკლავი, დაუოკებელი შოუმენი კიდევ ერთხელ გაბრწყინდება საქვეყნოდ. მიეცა ასპარეზი ფრუსტრირებულ შემოქმედს და აქტიურ შოუ-ბიზნესში ჩაერთო, როგორც მთავარი მენეჯერი და ბანკირი, შოუმენი და იდეის ავტორი. აბა, ერთი ვინმემ დაიწუნოს მისი აკვიატების შედეგი?! „ნურას უკაცრავად“.. ეს ეშმაკის მოციქულები... ჩარეცხილები... სულ ახლახან მერამდენედ გაისმა პრეზიდენტის საამებლად მერაბიშვილის ბაგეთაგან თქმული: ოთხმოცდაათიანი წლების პოლიტიკოსები საერთოდ უნდა გავაქროთ.. ეს უკვე კლასობრივი ბრძოლაა და ნეობოლშევიკები ააშკარავებენ ახლადშეფუთულ ლენინურ იდეებს. როცა ევრო-კავშირის სადამკვირვებლო მისია თავის დასკვნაში განაცხადებს, რომ საარჩევნო პროგრამების წარდგინებისას „ცოტა“ ლენინური რიტორიკა ჭარბობსო. ატეხეს ხმაური, ეს „ქართულ ოცნებაზე“ განაცხადესო, თუმცა მშვენივრად იცოდნენ, რომ მათი მისამართით იყო ნათქვამი. ასეა, ნებისმიერი ერთპარტიული მმართველობა ან ლენინიზმად ან ფაშიზმად ყალიბდება და აქცევს პარტიის წევრებს დაპროგრამებულ რობოტებად და მათი თვალსაწიერი მხოლოდ პარტიული დიქტატურის ყულფიდან მოჩანს.

12. 9. 2012.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა მიესალმება Must carry-ისა და Must offer-ის კანონის მიღებას. თუმცა, Must carry-ის პრინციპი არჩევნების შემდეგაც უნდა გაგრძელდეს (interpresniusi). მოსახლეობის უმრავლესობისათვის, განსაკუთრებით პროვინციებში, არ არსებობს ალტერნატიული ტელე-მაუწყებლობა, გარდა სამთავრობო სამი არხისა და ხალხი ცრუ ინფორმაციის ტყვეობაშია.

ვირტუალურ მმართველობას არ სურს სტილის შეცვლა და ადამიანებს ისევ იმ ტელე-პერსონაჟებად განიხილავს, რომლებიც ხელისუფლების სიცრუით საზრდოობენ. მე შევხვედრივარ ამ არხების ცრუ პროპაგანდით ზომბირებულ საბრალო ადამიანებს. ახლა, არჩევნებამდე 18 დღით ადრე, პასუხი არ ჩანს სააკაშვილისგან - გაგრძელდება თუ არა ალტერნატიული ტელე-მაუწყებლობა არჩევნების მეორე დღეს თუ ხალხს დატოვებენ ინფორმაციულ ვაკუუმში.

დაიწყო საუბრები იმის შესახებ, რომ ხავერდოვნად გააცილონ სააკაშვილი ხელისუფლებიდან, რადგან არავინ იცის, რას ჩაიდენს ეს შეშლილი. ამ ინფორმაციამ კულუარული საუბრებიდან გამოაღწია და დასავლეთის მაღალჩინოსნებს მიაწერენ. უკვე ყველამ იცის, რომ წასვლას არ აპირებს და გაჯიუტდა ტუტუცი ბავშვივით ამხელა ოყლაყი.. ცდილობენ, როგორმე მშვიდად მოაგვარონ ეს პრობლემა. ბიძინაც არჩევნების მეორე დღის სიმშვიდის აუცილებლობაზე საუბრობს და აღარ იმეორებს დანაპირებს – თუ არჩევნები გააყალბეს, ქუჩაში გამოვა „ქართული ოცნება“.. ყველაფერი ბუნდოვანი და გაუგებარია. ეს აგრძელებს ძალადობას, პარლამენტის არჩევნები მაგრად უნდა მოვიგოთ, ღრიალებს. არეულობა ვის უნდა? არავის, მაგრამ გაყალბებაც არავის უნდა, გარდა ნაცებისა...

– მიშა ბათუმშია?
– არა, გონიოშია!
– ააა, აგონიაშია?!
სამწუხაროდ, მართლაც აგონიაშია.

14. 9. 12.

სექტემბერს ფოთში სასულიერო პირებმა ჟურნალისტი ელისო ჯანაშია სცემეს. როგორც ელისო ჯანაშიამ განაცხადა ჟურნალისტებმა ფოთის საკათედრო ტაძრის ეზოში კედელზე გაკრული პლაკატები გადაიღეს, რომელზეც პრეზიდენტი სააკაშვილი, პატრიარქი და მეუფე გრიგოლი არიან გამოსახული. მეორე დღესვე, როცა გავრცელდა ამ ფაქტის ამსახველი ვიდეო-მასალა, საპატრიაარქოს მდივანმა სინანული გამოთქვა მომხდარის გამო და დაუშვებლად მიიჩნია სასულიერო პირებისგან მსგავსი ქმედება.

დღევანდელი სინამდვილე აღსავსეა სავალალო კურიოზებით, რომელთა სრული აღნუსხვა შეუძლებელია. ცამეტ სექტემბერს, მესტიაში, სადაც პრეზიდენტმა მუზეუმი გახსნა და ძლივს შეკოწიწებულ ადამიანებს სიტყვით მიმართა, მორიგი საოცრება მოახდინა. სასტუმრო „თეთნულდის“ რესტორანში მიშა მიმოდიოდა და მობილური ტელეფონით საუბრობდა. ცხადია, დაცვა დაჰყვებოდა შორიახლოს, ის საუბარში გართული მიირთმევდა ქაღალდის ხელსაწმენდს („სალფეტკს“), თან ისე მადიანად, რომ ერთი რომ დაასრულა, რომელიღაც მაგიდიდან რამდენიმე ხელსაწმენდი წამოკრიფა, პირისკენ გააქანა, ჭამდა და თან საუბრობდა, თან მადიანად შეექცეოდა ხელსაწმენდის ნაკუწებს. ჰალსტუხის ღეჭვის შემდეგ შეიძლება ეს ამბავი არც არის გასაკვირი და ერთ დასკვნამდე მივყავართ: უკიდურესი დაძაბულობისას, გახსოვთ, ალბათ, რა ვითარებაში მიირთმევდა საკუთარ ჰალსტუხს, მიშა იწყებს, რაც ხელში მოხვდება, ყველაფრის ჭამას. ალბათ ყურადღების გადატანის პრიმიტიული იმპულსია ან წარმოსახული მტრის განადგურების მექანიკური რიტუალი. ასეთ ქმედებას ფსიქოლოგები უფრო ზუსტად დაარქმევენ სახელს.

ქაღალდის და ჰალსტუხის ჭამას კიდევ რა უჭირს, ფოთში მომხდარ ამბავთან შედარებით. გაგიგიათ, ოდესმე, ტაძრის კედელზე გაკრული პრეზიდენტის ფოტოსურათი და ასე მახინჯად შეთითხნილი წინასაარჩევნო გარემო?! ახალი ბელადის შექმნილი გარემო ათასგვარ ანომალიურ და ამაზრზენ მოვლენას გვპირდება და გვისრულებს კიდეც.

პრეზიდენტმა საუბარი რომ დაამთავრა, რომელიღაც მაგიდასთან დაჯდა, იქ, სადაც ჩემი ახლობელი იჯდა, ვინც ეს ამბავი მომიყვა, თეფშზე გადმოღებული ნახევრადშეჭმული ხაჭაპური გადასანსლა, გაქონილი, ნასხვისარი ჩანგალი, როგორც თავისი, ისე მოიხმარა, მერე გვერდზე გადადო და უჩანგლოდ, ხელით გააგრძელა ჭამა. როცა ხაჭაპური შემოეჭამა, ხელი და ტუჩები სწრაფად გაიწმინდა „სალფეტკით“ და მუჭში ჩაჭმუჭნული ქაღალდი დააყოლა ხაჭაპურს. უნდა გამოგიტყდეთ, ამ სცენას რომ აღმიწერდა ჩემი მეგობარი, სინანულმა შემიპყრო და ვიგრძენი, როგორ შემებრალა მიშა. სიბრალულის შეგრძნება შიშმა შეცვალა, იმის გაფიქრებაც მზარავდა – რა შეიძლება ჩაედინა ამ სრულიად უკონტროლო ადამიანს, ქვეყნის ერთმმართველ „მონარქს“, რომლის სურათებს, წინასაარჩევნო კამპანიისას, ახლა უკვე ტაძრის კედლებზე აკრავდნენ სასულიერო პირები. როგორ უნდა მივიდნენ იმ მღვდელთან აღსარებისთვის, ასე რომ არის ჩართული ფარისევლობასა და სიცრუეში გამორჩენის მიზნით. ხელისუფლების მოსყიდული საბჭოთა მღვდლები (ზოგიერთები, ყველა არა), მიეჩვივნენ ნაჩუქარ ჯიპებს, ბოძებულ მამონას და ეგრევე აისახა დაფინანსება მათ პოლიტიკურ „პოზიციაზე“. ისინი აქტიურად ჩაერთვნენ წინასაარჩევნო კამპანიაში – ერთნი პრეზიდენტის მხარეს, ხოლო მეორენი, უმრავლესობა ბიძინას უჭერენ მხარს. ახლა საკითხავი ის გახლავთ - ღმერთი ვის გაამარჯვებინებს?!

მსგავსი დეგრადირებული საზოგადოება არასოდეს მინახავს. დაეტყო ერსა და ბერს სულიერი დეკადანსი. იქით ემიგრაციაში გადახვეწილი მარჩენალი ქალები, აქეთ მათგან დაფინანსებული შვილები, ქმრები, სანათესაო და თითქმის გამქრალი საქართველო, კარ-ფანჯრებაჭედილი სახლები და მიტოვებული სავარგულები, გაპარტახებული სოფლები, სასტიკი უმუშევრობა და ქალაქი კაზინოებით და საკონცერტო დარბაზებით, წინსვლის ილუზიით შეპყრობილი, ურბანული სლენგით გაჯერებული, სადაც რუსული და ინგლისური სიტყვები თანაარსებობენ და ზუსტად განსაზღვრავენ საქართველოზე სხვათა გავლენის სივრცეებსა და დოზებს.

პ.ს. ამ რამდენიმე კვირის წინ შემოქმედელმა მთავარეპისკოპოსმა იოსებმა დასწყევლა ყველა ის ადამიანი, ვინც ნაცმოძრაობას არჩევნებზე მხარს არ დაუჭერს. ძალიან მიჭირს იმ სიტყვების წარმოთქმა, რა სიტყვებითაც მეუფე იოსებმა დაიწყევლა. კრიზისმა ყველა გამოაჩინა, მაგრამ სასულიერო პირებისგან არ მოველოდი ასეთ სისასტიკეს და ამჩატებას.

ავტობუსში მოსმენილი ბავშვების საუბრის ეპიზოდი:

ავტობუსში ორი ბიჭი საუბრობდა, ასე, ათი-თერთმეტი წლისანი იქნებოდნენ. იმდენად ხმამაღლა საუბრობდნენ, რომ მთელ ავტობუსში ისმოდა მათი ხმა.

პირველი: – სააკაშვილი მირჩევნია!

მეორე: – რატომ?

პირველი: – იმიტომ, რომ სააკაშვილს რუსები არ ევასება და დასავლეთისკენაა.

მეორე: – ამერიკისკენ რომ არის, ამიტომ არის საშიში საქართველოსთვის.. იქ სულ კათოლიკეები ცხოვრობენ და სულ გააფარჩაკებენ მართლმადიდებლობას.. ბიძინა იმიტომ ჯობს, რომ რუსეთს უჭერს მხარს. რუსეთი მაინც ერთმორწმუნეა და ჩვენი მართლმადიდებლობა იქნება უსაფრთხოდ.

პირველი: – ნატოში შესვლაა მთავარი. რუსები კი ხელს გვიშლიან.

გადავწყვიტე, ჩავრეულიყავი ბავშვების საუბარში, მაგრამ ავტობუსის ხმაურსა და ყაყანში ვერ შევძელი. ხმამაღლა ლექციის წაკითხვა კი არ მომინდა და დავმუნჯდი. ერთი კი მკაფიოდ ჩანდა. გარემო, სადაც ეს ბიჭები იზრდებიან და როგორ აზროვნებენ. სავალალოა.

18.9.2012 წ.

ოპოზიციური ტელევიზიით გავრცელდა დოკუმენტური ვიდეო-მასალა, სადაც აღბეჭდილია პატიმართა წამების, დამცირების, გაუპატიურების, ღირსების აყრის ჯოჯოხეთური კადრები. როგორც იქნა, გამოჩნდა, ახლა უკვე მკაფიოდ, რეჟიმის რეალური სახე. საპროტესტო აქციები მოედო მთელ საქართველოს, ხოლო ამ ამაზრზენმა, დამთრგუნველმა, პათოლოგიურმა ტელე-კადრებმა მოიარა მთელი საქართველო.

საშიშია, ნანახით გამწარებულმა ხალხმა ამბოხი არ წამოიწყოს, თორემ ხელისუფლება აუცილებლად არჩევნების ჩასაშლელად გამოიყენებს. პრეზიდენტის განცხადება, გვიან ღამით რომ გამოქვეყნდა ტელესივრცეში, უცნაური ფრაზით დაიწყო: მე ძალიან გაბრაზებული ვარ... პრეზიდენტს პირველი ფრაზა ბუნებრივად წამოცდა, რადგან იგი მართლაც გაბრაზდა თავის ხელქვეითებზე, რადგან საიდუმლო ვიდეო-ჩანაწერებმა ციხის გაარეთ გააღწია და ჟურნალისტებს ჩაუვარდათ ხელში. შსს-მ დაასწრო მოვლენებს, როგორც კი შეიტყო საარქივო ტელე-მასალის გამოქვეყნების ალბათობა და ყველაფერი მსჯავრდებულ თამაზ თამაზაშვილს გადააბრალა. თურმე პატიმარმა თამაზ თამაზაშვილმა მოისყიდა გლდანის საპყრობილეში ოფიცრები, დაადგმევინა წამების სცენები და მამხილებელი ვიდეო-მასალა ასე შეიქმნა. ცხადია, კალმახელიძემაც ხელი თამაზაშვილისკენ, როგორც პოლიტიკურად მოტივირებულისკენ გაიშვირა, ეს პოზიცია შსს-ში აღმოცენდა და დადასტურდა ამ სამინისტროს მესვეურთა მდიდარი ფანტაზიის და ბელეტრისტული ნიჭის უსაზღვროება გამოამჟღავნა.

ვიდეო-დოკუმენტების ერთი ნაწილი გადაღებულია იმ დროს, როცა არც თამაზაშვილი იყო პატიმარი და არც ქართული ოცნება არსებობდა, ე.ი. გაცილებით ადრე და ეს დასტურდება ჩანაწერშივე, სადაც მტანჯველი პატიმარს კარნახობს სათავისო ჩვენებას და ხმამაღლა წარმოთქვამს ჩვენების დაწერის თარიღს – 9. 3. 2011 წელი.

მთელი ხალხი აღელვებულია და ეს მღელვარება, უნდა აისახოს არჩევნებზე. თუმცა, არც იმას გამოვრიცხავ, ხელისუფლებამ ისევ ოპოზიციისკენ გაიშვიროს ხელი.

ნორმალურ ქვეყნებში ასეთი ამაზრზენი ფაქტების გამომზეურება პრეზიდენტის სავარძელსაც შეარყევდა, მაგრამ რა იქნება ჩვენში, არავინ იცის. შუბლზე ტყავგადაკრული ლიდერი აქედანაც შეეცდება გამოძვრომას და არჩევნების გაყალბებასაც არ გადაიფიქრებს, მაგრამ, ვეჭვობ, საამისო რესურსი ეყოს, რადგან სიცრუის მარაგიც აღარ გააჩნია და ბუტაფორიად იქცა. ერთადერთი, რაც მაფიქრებს, 22 სექტემბრის აქციაა ზუგდიდში. ათასგვარი ჭორი ვრცელდება, დაარბევენ, პროვოკატორებს შეგზავნიან და ა. შ. ახალაიების კლანმა შესაძლოა ჩაიფიქროს ივანიშვილის, როგორც მისი კეთილდღეობის მტრის დასჯა. ისე მიდის პროცესი, რომ ნაცმოძრაობა თვალსა და ხელს შუა დაიშლება და გაქრება. ნუთუ მართლა ასე უმტკივნეულოდ გაქრება ეს რეზინის დინოზავრი, რომელმაც უკვე მოახერხა უამრავი ადამიანის დაშინება და წამება?!

p.s. ამაზრზენი კადრებით გადაივსო ჩემი მეხსიერება და ვერ ამოვშალე წარმოსახვათა ცვლით, ვერც ფიქრის სხვა თემაზე გადატანით... ვგრძნობ, რომ დამამცირეს, სულში ჩამაფურთხეს, გამანადგურეს, დამთრგუნეს და ბოლოს უნაპირო ზიზღით აღვივსე იმ მაღალჩინოსანი გვამების მიმართ, რომლებიც ამ ჯალათთა გუნდს წრთვნიდა და თან წაახალისებდა კიდეც, ესროლეთ, ხელი არ აგიკანკალდეთ! დღეს საქართველოში ერთი უბადრუკი პერიოდი განსრულდა. „საყურებლად შემზარავი გახლდათ, მაგრამ გამოაშკარავდა ის, რასაც საგულდაგულოდ მალავდნენ, რაზეც იდგნენ, რასაც ეყრდნობოდნენ, რითაც საზრდოობდა მათი სადისტური ზრახვები. უცბად ინერციას ძალა გამოეცალა, როგორც კი დაფარული გამჟღავნდა და ყველაფერს თავის სახელი დაერქვა. გახსოვთ, ალბათ, რუსთაველის თეატრის სპექტაკლი „ჭინჭრაქა“, დევი რომ ბურტყუნებს სერგო ზაქარიაძის უიმედო ხმით: „ძალა აღარა მაქვს“, „ძალა აღარა მაქვს“, „ძალა აღარა მაქვს“... ფრაზის წარმოთქმის უნარიც დაეკარგა და დაძაბუნდა, მოიმჩვარა და თავი გვერდზე გადააგდო. მახსოვს, როგორ შემეცოდა დაუძლურებული დევი. როგორც ვატყობ, ახლაც შემებრალება ეს ფარღალალა ბუტაფორია, თავის ლაზიკით და

▶▶ გაგრძელება მე–9 გვ.

ოსური ავტონომია ქართულ მიწაზე

სად გადის მავთულხლართები

ომარ გოგიაშვილი

წინამდებარე ნარკვევში გაანალიზებულია ისტორიულ შიდა ქართლში, ქართული მიწების, ქართული სოფლების ხარჯზე ოსური ავტონომიის წარმოქმნის პროცესი. ნაჩვენებია ქართველი მოსახლეობის მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება ამ ადმინისტრაციული გაერთიანებისადმი, სადაც მასთან დაპირისპირებული ეროვნული უმცირესობა ჰეგემონი პოლიტიკური ერი ხდებოდა. ნარკვევში აღწერილი ყველა ფაქტი, მოვლენა, პროცესი მეცნიერულად დადასტურებულია ქართველი მეცნიერების, პროფესორების – ა. თოთაძის, ა. მენთეშაშვილის, განსაკუთრებით ლ. თოთაძის და სხვების შრომებში სათანადო საარქივო დოკუმენტაციით, გეოგრაფიული, დემოგრაფიული და სხვა ხასიათის არგუმენტაციით.

საბჭოთა რუსეთის მიერ დამოუკიდებელ, დემოკრატიულ საქართველოს ანექსიას თან სდევდა 1920 წლის ანტიქართული აჯანყებების მონაწილე ოსთა შეიარაღებული რაზმების შემოსვლა, რომლებიც აქტიურად იბრძოდნენ წითელი არმიის ნაწილებთან ერთად ქართული საჯარისო ფორმირებების წინააღმდეგ. რევანშიზმის სულისკვეთებით შეპყრობილებმა დაიწყეს ქართული სოფლების ყაჩაღური ძარცვა, შევიწროება, გაუპატიურება, ისტორიული საცხოვრისის ტერიტორიებიდან განდევნა. ამის პარალელურად სამხრეთ ოსეთის რევოლუციურმა და პარტიულმა კომიტეტებმა 1921 წლის 6-8 ოქტომბერს გაერთიანებულ სხდომაზე განიხილეს „სამხრეთ ოსეთის თვითგამორკვევის და პოლიტიკური მოწყობის საკითხი“. დადგენილებაში აღნიშნული იყო „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის აუცილებლობა ცენტრით ცხინვალში“. ამასთან, მითითებული იყო, რომ აღნიშნული „სოციალისტური რესპუბლიკა ნებაყოფლობით შედის ფედერაციულ კავშირში საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან“. მკითხველის ყურადღებას მივაქცევ შემდეგ გარემოებებს: – დოკუმენტში ლაპარაკია ორი თანასწორი პოლიტიკური სტატუსის მქონე რესპუბლიკების კავშირზე და არა უფრო დაბალი სტატუსის მქონე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის უფრო მაღალი სტატუსის მქონე რესპუბლიკის შემადგენლობაში შესვლაზე. ოს სეპარატისტთა ლიდერებს პოლიტიკური მეცნიერებების ნიუანსებში წვდომას ვერ მოვთხოვთ, მაგრამ „კავშირი“ და არა „შესვლა“ უფრო კონფედერაციული მოწყობის ნიშანია და არა ფედერაციულის. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ შემდეგ პუნქტში ჩამოყალიბებულ მოთხოვნას: „ორ რესპუბლიკას“ შორის კავშირის ჩამოყალიბების შემთხვევაში სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას „გარანტირებული ექნებათ პოლიტიკურ უფლებათა მაქსიმუმი“. ნიშანდობლივია, რომ დოკუმენტში ხაზგასმულია მხოლოდ პოლიტიკური და უგულებელყოფილია სოციალური, ეკონომიკური, ჰუმანიტარულ-კულტურული და სხვა უფლებები. ეს გვაფიქრებინებს იმის ალბათობას, რომ ოს სეპარატისტთა ლიდერები ან მათი კონსულტანტები პოლიტიკურ უფლებებში კავშირიდან გასვლის უფლებასაც გულისხმობდნენ, რაც კონფედერაციული კავშირის ორგანული შემადგენელია. საგულისხმოა კიდევ ერთი გარემოება - კონსტიტუციის პროექტში, რომელიც მითითებულ სხდომაზე იყო მიღებული, აღნიშნულია: „სამხრეთ ოსეთის სსრ და საქართველოს სსრ შორის ურთიერთკავშირის ენა რუსულია“.

დადგენილებას ერთვოდა „მოკლე განმარტებითი ბარათი“, სადაც მითითებული იყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის აუცილებლობა, ოსი მოსახლეობის „განსაკუთრებული ეროვნულ-ყოფითი ნირი“, მაღალი კლასობრივი თვითშეგნება და ასეთ არგუმენტაციასთან ერთად მონიშნული იყო მომავალი რესპუბლიკის საზღვრები, სადაც ათეულობით ქართული სოფელი იგულისხმებოდა გორის, დუშეთის, რაჭის, შორაპნის მაზრებიდან.

გაერთიანებული სხდომის დადგენილება სამხრეთ ოსეთის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფის შესახებ გადაეცა ზემდგომ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს. რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ შალვა ელიავას მოხსენების საფუძველზე მიიღო ორპუნქტიანი გადაწყვეტილება: – სამხრეთ ოსეთს მიენიჭა ავტონომიური ოლქის სტატუსი და წინადადება მიეცა საქართველოს რევკომს სამხრეთ ოსეთის აღმასკომთან ერთად დაედგინა ავტონომიური ოლქის საზღვრები. ამრიგად, გადაწყდა, რომ შეიქმნებოდა ყველაზე დაბალი სტატუსის ავტონომიური ოლქი და არა „სოციალისტური რესპუბლიკა“ ან „ავტონომიური რესპუბლიკა“, რისი იმედიც ოს სეპარატისტებს ჰქონდათ. დედაქალაქის საკითხი, რაც კავკასიის ბიურომ უპასუხოდ დატოვა, განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა 1921 წლის 17 ნოემბერს და მ. ორახელიშვილის და ა. ჯატიევის მოხსენების საფუძველზე დაადგინა „პრინციპულად ცნობილ იქნას ცხინვალი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში, როგორც ამ უკანასკნელის ადმინისტრაციული ცენტრი“.

ზემდგომი პარტიული ორგანოების მიერ ოს ლიდერთა მოთხოვნების შემცირებას მათი მხრიდან სერიოზული პროტესტი არ მოჰყოლია, რადგან, ამას მოელოდნენ. უკმაყოფილება უპირველესად ქართველმა მოსახლეობამ გამოამჟღავნა ცხინვალისა და ქართული სოფლების ოსურ ავტონომიაში მოქცევის გამო.

1770 წლის დემოგრაფიული აღწერის მიხედვით შიდა ქართლში 2860 კომლი ოსი ცხოვრობს. აქედან 2000 კომლი ქსნის საერისთავოში, 860 კომლი სამაჩაბლოში, თვით ცხინვალში კი მხოლოდ „ქართველნი, სომეხნი და ურიანი“ ცხოვრობენ. ანალოგიურ ცნობებს ვხვდებით ცხინვალის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის შესახებ XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიკოსისა და გეოგრაფის, ვახუშტი ბატონიშვილის და ვახტანგ მექვსის „დასტური-ლამალშიც“?. არც შემდეგ პერიოდში შეცვლილა ცხინვალის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, ცხინვალის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა მკვეთრად შეიცვალა. უკვე 1922 წლის აღწერის მიხედვით ცხინვალში 613 ოსი ცხოვრობდა, მაგრამ ჯერ კიდევ ჩამორჩებოდა ქართველების (1436), ებრაელების (1651) და სომხების (1765) რაოდენობას. მას შემდეგ, რაც შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული ოლქი და მის ეკონომიკურ, კულტურულ და ადმინისტრაციულ ცენტრად ცხინვალი გამოცხადდა, თანაფარდობა ქართველ და ოს მაცხოვრებლებს შორის ამ უკანასკნელების სასარგებლოდ მკვეთრად იზრდებოდა და 1989 წელს 6905 ქართველზე მოდიოდა 31537 ოსი.

ცხინვალის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში შეყვანას და დედაქალაქად გამოცხადებას მხარი დაუჭირეს რაიონის კომუნისტებმა. – მათ სხვა გზა არ ჰქონდათ, მაგრამ უპარტიო მასამ, სოფლის მცხოვრებლებმა იმ რთული პერიოდისათვის შესაშური გამბედაობა გამოიჩინეს და მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება აშკარად გამოამჟღავნეს. რამდენიმე მაგალითი:

სოფლების – დვანის, ნულისა და ავნევის მცხოვრებთა ერთობლივ განცხადებაში, რომელსაც 230 კაცი აწერდა ხელს, აღნიშნულია, რომ ქ. ცხინვალში ჩატარდა სოფლების (45 სოფელი) ნდობით აღჭურვილი წარმომადგენლების კრება. „კრებამ ერთხმად, კატეგორიული პროტესტი გაანაცხადა ქ. ცხინვალის და მისი რაიონის სამხრეთ ოსეთზე გადაცემის შესახებ“. შემდეგ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ „ქ. ცხინვალი ითვლებოდა და ითვლება კიდეც, როგორც გეოგრაფიული მდებარეობით, აგრეთვე მის გარსშემორტყმული ქართველებით დასახლებული სოფლებით, ქართლის შუაგულ კუთხედ“. ბოლოს კრების მონაწილენი იმედს გამოთქვამენ, რომ მუშურ-გლეხური მთავრობა „ჩვენ და ოსებს შორის ეროვნული შუღლის ასაცილებლად“ ქ. ცხინვალს თავისი რაიონით დატოვებს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მართვა-გამგეობის ფარგლებში.

სოფელ ძარწემის 1921 წლის 25 დეკემბრის კრების ოქმში მითითებულია, რომ ოსების ენა მათთვის გაუგებარია და უცხო, ხოლო „მთელი ეს ჩრდილო მხარე რაიონისა მცირე გამონაკლისით, დასახლებულია ქართულ ენაზე მოსაუბრე მემკვიდრე ქართველებით“.

სოფელ ქორდის მოსახლეობა უფრო კატეგორიულია, მათ შეუძლებლად მიაჩნიათ ოსეთის ადმინისტრაციულ რეგიონში არსებობა და თუ მათ მოთხოვნაზე მთავრობა უარს იტყვის, მაშინ „მოგვცეს ბინა და გადაგვასახლოს შორს სადმე, რომ ჩვენს თვალსა და ყურს ვერ მოსწვდებოდეს ჩვენი ადგილების კვნესა“.

ცხინვალის მიმდებარე 20 სოფლის წერილში, რომელიც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში გაიგზავნა, კატეგორიულად მოითხოვდნენ ამ სოფლების გორის მაზრაში დატოვებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, „ბევრი სოფელთაგანი ამასაც კი ამბობდა – სჯობს ცოცხლად დაგვხოცოთ, სადმე აქედან გადაგვასახლოთ, ვიდრე ოსეთის ხელისუფლების ქვეშ დაგვტოვოთ“-ო. შინაგან საქმეთა კომისარიატს ჰქონდა დადასტურებული ცნობები, რომ „სისხლისღვრა აუცილებელია“, რომ ქართველების მოთხოვნას ცხინვალში მცხოვრები სომხები და ებრაელებიც უერთდებოდნენ. დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ ქართული მოსახლეობის მოსაზრებებს ოსური მოსახლეობის ნაწილიც იზიარებდა, განსაკუთრებით გორის მაზრაში.

ასეთი იყო ხალხის მოთხოვნა, მაგრამ ხელისუფლებას სხვა მიზნები ჰქონდა. თუმცა აქაც იყო გამონაკლისი და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამის ავტორი საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი და მისი თავმჯდომარე ბესო კვირკველია იყო. ამ ორგანომ, რომელსაც უშუალოდ ევალებოდა პარტიული და საბჭოთა ორგანოების გადაწყვეტილებების პრაქტიკული განხორციელება, შექმნა უაღრესად საინტერესო დოკუმენტი. გეოგრაფიული ფაქტორების, კომუნიკაციების არარსებობის, ეკონომიკური და სხვა გარემოებების ღრმა ანალიზით საქართველოს შინაგან საქმეთა კომისარს შეუძლებლად მიაჩნდა არა თუ სამხრეთ ოსეთის სსრ რესპუბლიკის ან ავტონომიური რესპუბლიკის, თუნდაც ავტონომიური ოლქის შექმნა, არამედ ცალკე სამაზრო ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფაც კი. მისი დასკვნა რეალობის ადეკვატური და დასაბუთებული იყო, რადგან „სამაზრო ერთეულის ხელოვნური გამოკვეთა ოსებისათვის გორის, დუშეთისა და რაჭის მაზრებიდან შეუძლებელია“, ოსური მოსახლეობის სოფლები უნდა დარჩეს აღნიშნულ მაზრებში.

ამ დასკვნამ გარკვეული შედეგი გამოიღო. – საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა თავისი დადგენილებით „ჩასავლის“ საზოგადოება რაჭის მაზრის შემადგენლობაში, ხოლო კობის რაიონი დუშეთის მაზრის შემადგენლობაში დატოვა. მაგრამ ძირითადი ჩანაფიქრი, ქართული სოფლების ხარჯზე შექმნილიყო ოსთა ავტონომიური ოლქი, მაინც განხორციელდა. 1922 წლის 20 აპრილს საქართველოს სსრ ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ მიიღეს დეკრეტი 2 „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოწყობის შესახებ“.

დეკრეტში განსაზღვრული იყო ავტონომიური ოლქის ტერიტორია, რომელიც კავბიუროს დადგენილებით შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ ჩამოაყალიბა (კაკაბაძე – თავმჯდომარე, შოტი, ჯატიევი, გაგლოევი – წევრები). ოლქის შემადგენლობაში მოქცეული ქართული სოფლები დეკრეტის გამოცემის შემდეგაც კრების ოქმებს, საჩივრებს გზავნიდა ზემდგომ ორგანოებში, რათა გადაესინჯათ საზღვრები და აღედგინათ ძველი წესრიგი. ზოგიერთი ამონარიდი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში გაგზავნილი საჩივრებიდან:

– „ვინაიდან სამხრეთ ოსეთის ოლქზე მიწერა გამოიწვევს ჩვენს დაღუპვას, კატეგორიულად მოვითხოვთ, რათა ჩვენი სოფლები დარჩეს გორის მაზრის ფარგლებში. (10 სოფლის – თიღვის, ოქონის და სხვა საერთო კრების ოქმი).

– „სამხრეთ ოსეთზე ჩვენი მიწერა არც ისტორიულად, არც ეთნოგრაფიულად და არც ეკონომიურად მიზანშეწონილად და სამართლიანად არ მიგვაჩნია. ამიტომ, იმედი გვაქვს, რომ მთავრობა ჩვენ, ქართველებს გვარ-ტომობით, უცხო ტომის ხელში არ გადაგვცემს, რომელთანაც ჩვენ არ გვაკავშირებს... არც ენა და არც

►► დასასრული მე–6 გვ.

▶▶ მე–5 გვერდიდან

ზნე-ჩვეულებები. (ტყვიავის თემის სოფელ დისევის და კულბითის მცხოვრებნი).

– რაჭის მაზრის აღმასკომი 1922 წლის 20 აგვისტოს თარიღით ატყობინებდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს: „რაჭის მაზრის ქართველი გლეხობის საბუთებით შეძენილი უძრავი ქონება, სახნავი, საძოვარი მიწები და ტყეები მოჰყვა სამხრეთ ოსეთის ოლქში და დღეს თითქმის სადავოდ ხდება ეს მათი საკუთრება, რადგან ამ ადგილებს ოსები თავიანთ საკუთრებად თვლიან...“ ოფიციალური ორგანო იმასაც მიუთითებს, რომ თუ მდგომარეობა არ გამოსწორდა „...კონფლიქტი ოსებსა და ქართველებს შორის მოსალოდნელია“.

– სოფელ ძველეთის მცხოვრებნი თავიანთ თხოვნაში მიუთითებენ, რომ მათი სოფელი გარშემორტყმულია ქართული სოფლებით და „ჩვენ პიტალო ქართველები ვართ, ოსური ენა სრულიად არ ვიცით... ამიტომ გთხოვთ მიგვაწეროთ გორის მაზრაზე“.

ქართული საზოგადოება ვერ ურიგდებოდა ძირითადად ქართველებით დასახლებული სოფლებით ოსთა ავტონომიური ოლქის შექმნას და იმ პერიოდის პოლიტიკური რეჟიმის გათვალისწინებით, მწვავედ რეაგირებდა. რამდენად ოსური იყო ახალი ადმინისტრაციული ერთეული საქართველოს შემადგენლობაში, დავიმოწმოთ შინაგან საქმეთა სპეციალური კომისიის საინტერესო, მრავლისმეტყველი მოხსენებითი ბარათი ოლქში მოქცეული მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის შესახებ. მოხსენებითი ბარათი მოიცავს 8 თემის (საზოგადოების) მონაცემებს და ეყრდნობა 1917 წლის სამეურნეო აღწერას.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მონაცემებით სამრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს გადაეცა 40 ქართული სოფელი, სადაც ცხოვრობდა 20 ათასამდე ქართველი და 1100 ოსი.

რამდენადმე განსხვავებულ მონაცემებს გვაძლევს ცნობილი ისტორიკოსი, 1937 წელს რეპრესირებული და 1939 წელს სიკვდილით დასჯილი გიორგი ბოჭორიძე. მან რამდენჯერმე იმოგზაურა „სამხრეთ ოსეთად“ გადანათლულ ისტორიულ შიდა ქართლში და დოკუმენტურად ასახა „საქართველოს გულიდან გამოჭრილ“ (გრიგოლ ლორთქიფანიძე) ოსეთში მოქცეული ქართული მოსახლეობის დევნა-შევიწროება ისეთი ბარბაროსული მეთოდებით, რაც შუა საუკუნეების ჯალათებსაც შეშურდებოდათ“.

მენშევიკების მმართველობის პერიოდში მათი სეპარატიზმისათვის დასჯილი ოსები შურს იძიებდნენ ქართველებზე და ეს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აშკარად ჩანდა.

გიორგი ბოჭორიძის მონაცემები მის პირად მოგზაურობებს და გარკვეულ სტატისტიკას ეყრდნობა. ტერიტორიულ პრინციპად აღებულია მდინარის ხეობები და არა საზოგადოებები.

I. ქსნის ხეობაში აღნიშნული აქვს (ჩამოთვლილია) 60-ზე მეტი დიდი და პატარა სოფელი ე.ი. ხეობის 2/3-ზე მეტი, სადაც ცხოვრობდა 1450 კომლი, 8330 სული ქართული მოსახლეობა.

II. მეჯუდას ხეობა (ცხინვალის რაიონი) 4 სოფელი, 60 კომლი, 324 სული ქართველი მოსახლეობა.

III. პატარა ლიახვის ხეობა (ცხინვალის რაიონი) 14 სოფელი, 624 კომლი, 3692 სული ქართველი მოსახლეობა.

IV. დიდი ლიახვის ხეობა (ცხინვალისა და ჯავის რაიონები) 13 სოფელი, 1330 კომლი 7449 სული ქართველი მოსახლეობა.

V. ფრონეს ხეობა (ოქონის რაიონი) 18 სოფელი, 655 კომლი, 3665 სული ქართველი მოსახლეობა. ხუთსავე ხეობაში: 4129 კომლი, 23.460 სული ქართველი მოსახლეობა.

ასე და ამგვარად, რუსმა ანექსიონისტებმა, ოსმა სეპარატისტებმა ქართველი ინტერნაციონალისტების დახმარებით ქართლის გულში, ქართულ მიწაზე, ქართული მოსახლეობის ხარჯზე ოსური ავტონომიის სახით ჩადეს „განყოფის თესლი“, რომელიც მაშინ უნდა ამოქმედებულიყო, როდესაც მისი სულისჩამდგმელნი საჭიროდ ჩათვლიდნენ. ამ ქართულ მიწებზე ხლართავენ დღეს მავთულხლართებს რუსი ოკუპანტები და ქმნიან ბარბაროსობის გადმონაშთის ქრესტომათიულ ნიმუშს მომავალი საუკუნეებისა და თაობებისათვის.

	ქართველები	ოსები
I. თამარაშენის საზოგაოება: ზემო აჩაბეთი, ქვემო აჩაბეთი, თამარაშენი და სხვა, სულ 12 სოფელი	4119	525
II. ცხინვალის საზოგადოება ქალაქი ცხინვალი ს. გუჯაბაური	1185 186	0 40
III. წუნ.არის საზოგაოება: სოფელი ნული	413	24
IV. დირბის საზოგაოება: სოფელი ძველეთი	324	10
V. ავლევის საზოგადოება: თოღვა ზემო და ქვემო ოქონა და სხვა სულ 11 სოფელი	1526	334
VI. მერეთის საზოგადოება: დისევი, ჭარები, ქსუისი და სხვა, სულ 6 სოფელი	1536	119
VII. ორტევის საზოგადოება სოფელი ვანათი	432	48
VIII. ბელოთის საზოგადოება ქვემო და ზემო ავნევი, საცხენეთი და სხვა, სულ 8 სოფელი	1379	0

ირაკლი აბაშიძის მონაცემები

ამ დევკაცს ძუძუ ვინ მოაწოვა,
რომ სამარეც კი აქვს ახოვანი!

გიორგი ლეონიძე

1
შენმა საფლავმა თვალი მომტაცა,
(საფლავის მოვლა მოგვდგამს ქართველებს),
ვინც დარიალთან იდექ ლომკაცად
და ქართლის ღამე თეთრად ათენე.

შენი საფლავი ძეგლივით მოჩანს,
მე მას ქუდს ვუხდი – ქართველს ქართველი,
არ გაქცევიხარ მამულის დრო-ჟამს,
არ დაგშრეტია თვალში ნათელი.

ჩვენს მიწას მკერდით გადაეფარე,
ყველგან გებურა ქუდი ქართული
და ტრიბუნასთან იდექ მეფურად,
მხარგაშლილი და წელგამართული.

თაფლი მოჟონავს შენი წიგნიდან,
საქმეც იცოდი, სიტყვაც იცოდი,
ჩვენ ვერ ვხედავდით, თურმე შიგნიდან
როგორ ენთე და როგორ იწვოდი.

რამ დამავიწყოს, ჯერ კიდევ ყმაწვილს,
ჩემი სახელიც რომ არ იცოდნენ,
მოსკოვში, დიდი მგოსნების თვალწინ,
მარჯვენა მტკიცედ გამომიწოდე.

მამას უძღვენი ლექსი მცირედი,
ლექსი შედევრი, აი – სიმართლე
და დაუბრუნე გულში იმედი,
სულში – ცეცხლი და თვალში – სინათლე.

და როცა შენი ჯერიც მოვიდა,
წვიმაც მოვიდა გაღმა-გამოღმა,
არ გამოსულხარ დიდი ომიდან,
არ გამოსულხარ და არც გამოხვალ!

2
ახლა თითქოს საფლავიდან წამომდგარხარ,
მამული რომ განადიდო სხვასთან,
არაბეთის ზღვასთან იდექ, ახლაც დგახარ,
ახლაც დგახარ არაბეთის ზღვასთან!

აკრიფე და დაგვიბრუნე შოთას ხმები,
ვინც გიყვარდა სიცოცხლეზე მეტად,
საფლავიდან წამოსწიე მძლავრი მხრები,
მამულის ცას შეუყენე სვეტად.

ისევ ისე მიყვარხარ და მენატრები,
ერისკაცი და მამულის ლიბო,
შენს ლექსებში მომავალმა თაობებმა
ფირუზი და მარგალიტი კრიფონ.

დიდუბიდან მთაწმინდამდე გზაა მოკლე,
შენ ამ გზაზე ლტოლვილივით დგახარ,
მას შემდეგ, რაც წიწამურის გზაზე მოკლეს,
სამართალი ხალხმა ვეღარ ნახა.

ენატრები ბათუმსა და ანაკლიას,
შენ რომ გახსოვს, ისე ვეღარ ვცხოვრობთ.
საქართველოს შენი ლექსი არ აკლია,
საქართველოს შენ აკლიხარ მხოლოდ.

საქართველო ბაღია და ვენახია,
რა გამოლევს გრილოსა და ჩრდილებს?!
ქვეყნის მტრები ჩარეცხილებს გვეძახიან,
მოკეთენი – საქართველოს შვილებს.

შენთან როგორ გაბედავდა ამას მტერი,
ქუდს გიხდიდა მეფეცა და ერიც,
მტერიც – შენი, რა თქმა უნდა, ფეხის მტვერი...
შენს ლექსებში საქართველო მღერის.

კიდევ ერთხელ გაგვაგონე ოქროს ხმები,
უცხოეთში რომ ესმოდათ გურჯებს,
საფლავიდან წამოსწიე მძლავრი მხრები,
საქართველოს შეუყენე ბურჯად.

უშენობა ახლა უფრო მწვავედ ვიგრძენ,
მოდი, მამულს აუხილე თვალი
და მისი ძე, შენ – ირაკლი აბაშიძე,
მთაწმინდაზე აბრძანდები მალე!

შოთა ზოიძე
2009 წ.

პოეტის ერთი ლექსი

●
საწუთროს მტვერი დამაქვს ქარივით,
უგულობაა
და ძლიერ ყინავს...
სიყვარულს ვითხოვ მათხოვარივით,
სიყალბეში ვერ დავიდე ბინა...

არ მიძებნია თბილი ადგილი,
სხვისი ნარჩენი
და დანარჩენი...
სიკვდილი არის არც თუ ადვილი,
როცა ოჯახი მრჩება სარჩენი...

შხამად მერგება მცირედი ლუკმა,
მომჩერებია რისხვით მევალე...
დამცირებული თავს იგრძნობს უქმად –
სული, სხეულის უხმო მძევალი...

საწუთროს მტვერი დამაქვს ქარივით,
უგულობაა
და ძლიერ ყინავს...
სიყვარულს ვითხოვ მათხოვარივით,
სიყალბეში ვერ დავიდე ბინა...

ვასილ გოსტაშვილი

ზურაბ ცუცქირიძე

„ძაღლსა სცემდნენ, რძალს ასმენდნენ“

ხალხური ანდაზა

ვოლიკერი პარტია თუ ბანდა?

ადამიანთა ორგანიზებული ერთობა თავისი არსით მრავალგვარი შეიძლება იყოს, რაც იმაზეა დამოკიდებული თუ რა აერთიანებს მათ: რწმენა, მრწამსი, ინტერესები, მიზნები, მოთხოვნილებები, მოთხოვნები და ასე შემდეგ. ამაზეა დაფუძნებული რელიგიური და სექტანტური, პოლიტიკური და პროფკავშირული, სამწერლობო და სახელოვნებო, სამეცნიერო და სპორტული ორგანიზაციები. თითოეულ მათგანს საფუძვლად უდევს გარკვეული იდეოლოგია, რომელიც განსაზღვრავს მათს ორიენტაციებს, მოქმედების ფორმებსა და შინაარსს. ეს იდეოლოგიები თუ ადამიანურ ბუნებასა და ჰუმანიზმის ზოგადსაკაცობრიო პრინციპებს არ ეწინააღმდეგება, მაშინ მასზე დაფუძნებულ თითოეულ ორგანიზაციას აქვს არსებობის უფლება „ამ მზის ქვეშ“ და ყველა ადამიანს შეუძლია აირჩიოს ან არ აირჩიოს იგი.

ახლა სათაურში გამოტანილ „პირველსა სიტყვასა ზედა მოვიდეთ“: ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკური პარტიაა თუ არა?

მოდით, ვნახოთ, როგორ განსაზღვრავენ პოლიტიკური პარტიის ცნებას ავტორიტეტულ საცნობარო ლიტერატურაში. ყველაზე გავრცელებული ენციკლოპედიური განსაზღვრება ასეთია: „პოლიტიკური პარტია არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც გამოხატავს საზოგადოების, კლასის ან სოციალური ფენის ინტერესებს, აერთიანებს მის ყველაზე აქტიურ წარმომადგენლებს და წარმართავს მათ ძალისხმევას გარკვეული მიზნებისა და იდეალების მიღწევისაკენ“.

პოლიტიკური პარტიები, თავის მხრივ, მრავალგვარია და მრავალრიცხოვანი, განსაკუთრებით ჩვენში, სადაც, ერთი ჩვენებური ემიგრანტის თქმისა არ იყოს, სამი ქართველი ოთხ პარტიას ქმნის. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან პრინციპებით, რასაც განსაზღვრავს როგორც მათი ფუნდამენტური იდეოლოგია, ისე ორგანიზაციისა და მართვის თავისებურებანი. ამიტომ არის, რომ ნებისმიერი პოლიტიკოსი ამა თუ იმ იდეოლოგიური მრწამსისა და შესაბამისი პრინციპების მატარებელია. კაცი თუ პოლიტიკოსობს და მას ზუსტად განსაზღვრული პრინციპები არა აქვს, მას პოლიტიკანს უწოდებენ, რასაც წესიერ საზოგადოებაში საღანძღავი შინაარსი აქვს.

აბა, ახლა ვნახოთ, ნაცმოძრაობა არის კი პოლიტიკური პარტია და მისი ლიდერები თუ გამოჩენილი სახეები - პოლიტიკოსები (რიგით წევრებზე ლაპარაკი არ ღირს, რადგან მათმა უდიდესმა უმრავლესობამ ხეირიანად ისიც არ იცის, რას ნიშნავს ტერმინი „ნაციონალური“ და გულუბრყვილოდ იგი „ეროვნული“ ჰგონიათ!).

ვის ინტერესს გამოხატავს ნაცმოძრაობა? საქართველოს მთელი საზოგადოებისას? ჰო, აბა! გაურკვეველი ფუნქციისა და პასუხისმგებლობის მქონე თანამდებობის პირებს 18-20-ათასლარიანი ხელფასები ჰქონდეთ, პედაგოგების და ექიმების ხელფასი 300 ლარს არ აღემატებოდეს, ხოლო მოსახლეობის 70% უმუშევარი იყოს, სწორედაც, რომ ქართველი საზოგადოების ინტერესებს შეესაბამება, არა? კი, აბა, მაგათმა თავის ხეთქვამ!

იქნებ, რომელიმე სოციალური კლასის ინტერესების გამომხატველია ნაცმოძრაობა?

რომელი კლასისა ნეტავი?

მუშათა კლასის? ასეთი კლასი, ფაქტობრივად, ჩვენში არც არის და, რომც იყოს, განა მისი ინტერესი წარმოების განადგურება და უმუშევართა კატასტროფული ზრდა იქნება? ცხადია, არა!

იქნებ, გლეხობის ინტერესებს ემსახურებოდნენ ნაცები? მტერი არ არის მეტი! ლამის ნახევარი სახნავ-სათესი მიწები უცხოელებს მიჰყიდეს, სოფლებს ტყე და საძოვრები წაართვეს და გუშინდელი გლეხები ქალაქში ჩამორეკეს დღიურ მუშებად. იმ დღიურ სამუშაოსაც მეტწილად ვერ შოულობენ. ისინი არიან ნაცმოძრაობის დასაყრდენი?

არაფერი გეტკინოთ!

ნაცების რიტორიკას თუ დავუჯერებთ, ბურჟუაზია, კაპიტალისტთა კლასი უნდა ყოფილიყო ყველაზე მეტად მათი საქმიანობით კმაყოფილი. სინამდვილეში კი, რაც მეწარმეებს დააწიეს ნაცებმა, ვერანაირი უცხო დამპყრობელი ვერ უზამდა უარესს. რეკეტი, ტერორი, ექსპროპრიაცია, შანტაჟი – აი, მწარმოებლებთან ნაცების დამოკიდებულების მეთოდები.

სად არის აქ პოლიტიკა? არსად! ისე, რომ ნაცმოძრაობა არც ბურჟუაზიული პარტიაა.

ინტელიგენციის ინტერესებს ხომ არ გამოხატავდნენ ნაცები, ნეტავი? გაგეცინათ, არა? მეცნიერება და განათლება გაანადგურეს, ხელოვნება გადააგვარეს, მწერლობა ისე დაარბიეს, თემურ ლენგის შემოსევის მერე რომ არ ახსოვს არავის... ინტელიგენტთაგან ვინც რბევას გადაურჩა, გააბახეს. გაბახებულს რა მოეთხოვება – რასაც გინდა, იმას გააკეთებინებ, მე შენ გეტყვი, ღირსებამ და თავმოყვარეობამ არ შეაკავოს, თუ გინდა „მიშა მაგარიას“ აბღავლებ და მის სახელზე ლოცვასაც აღავლენინებ. გაბახებულს რაც გინდა დაარქვი – მომღერალი თუ მწერალი, მსახიობი თუ მეცნიერი, გინდა „ბრწყინვალების“ ორდენი ჩამოჰკიდე და გინდა „ღირსებისა“, ვერც ბრწყინვალებას შესძენ და ვერც ღირსებას!

ისე რომ, არც ინტელიგენციის პარტია გახლავთ ნაცმოძრაობა!

აბა ვის ინტერესებს გამოხატავდნენ და რა აერთიანებთ მაშინ?

საკუთარი ინტერესები, მომხვეჭელობა და თვითგადარჩენის ცხოველური ინსტინქტი.

რა აერთიანებს მგლების ხროვას? ერთმანეთის სიყვარული თუ მაღალი იდეალები? შიში, ბატონო, შიში! ერთი მგელი თავს ვერ გაიტანს, ერთ მგელს გულადი თხაც კი მოერევა. ხროვა ძალაა! მას თავისი კანონები აქვს. ხროვას, თუ მისი წევრი ხარ, ვერ უგანებ, შეგჭამენ! ან ერთად ყოფნა, ან დაღუპვა! აი, მგლური ბუნების კანონზომიერება.

სამწუხაროდ, ადამიანებიც, ერთიანდებიან ამ მგლური კანონების მიხედვით და ასეთ გაერთიანებას სოციალური სახელი - **ბანდა** ეწოდება.

ნაცმოძრაობა, რაც უნდა საწყენი იყოს ჩემ თანამემულეთა ერთი ნაწილისთვის, ძალიან ჰგავს ბანდას. ბანდის ფსიქოლოგიის დამკვიდრებისკენ იყო მიმართული მათი „პარტიული“ ჰიმნი – „ჩვენ ერთი გუნდი ვართ!“ ამ „გუნდის“ საქმიანობამ სულ მალე დაამტკიცა, რომ მათ ლოზუნგს საერთო არაფერი ჰქონდა რაინდულ მორალთან – „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის!“ იგი წმინდა წყლის კრიმინალური შინაარსის მატარებელი იყო. ეს სრულიად ნათლად გამოჩნდა გასული წლის 1-ლი ოქტომბრის შემდეგ, როდესაც ახალმა ხელისუფლებამ საშინელ და წარმოუდგენელ დანაშაულში მხილებული ნაცმოძრაობის აქტივისტების დაჭერა სცადა. დაპატიმრების ყოველ მცდელობაზე ნაცბანდა ერთსულოვნად დგებოდა ყალყზე და ქვეყნის დამაქცევართ „ეროვნულ გმირებს“, „აღმაშენებლებს“, „ცოტნე დადიანებს“ უწოდებდა. ბევრი მათგანი „ზურგზე თაფლის წასმასა“ და პროკურატურის შენობის წინ ასფალტზე წამოწოლას გეგმავდა. „მეც დამიჭირეთ, მეც ერთი მათგანი ვარ!“ ეს განა ბანდის მორალის გამოვლინება არ არის?

გუნდურობა, როდესაც იგი ამხანაგობასა და მეგობრობას გულისხმობს, ცუდი როდია. გუნდის წევრები ერთმანეთს მხარს უნდა უჭერდნენ, მაგრამ უპირობო მხარდაჭერას მხოლოდ ბანდის მორალი უდევს საფუძვლად. აბა, მეგობართა წრიდან ვინმემ ამორალური საქციელი რომ ჩაიდინოს, მეგობრები კი არ გაამართლებენ მის ქმედებას, არამედ თავიანთი საძმოდან მოიკვეთენ, როგორც უღირსს, რადგან ამხანაგობა-მეგობრობა ზნეობას ეფუძნება, ბანდის წევრობა კი სრულ უზნეობას.

ნაცმოძრაობის ადეპტები გულზე მუშტს იბრაგუნებენ: ჩვენ და ჩვენნაირმა „გმირებმა“ კრიმინალური სამყარო ხერხემალში გადავტეხეთო (ქურდულ სამყაროს გულისხმობენ ამ შემთხვევაში ისინი).

კი, ქურდული ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში მათ, შეიძლება, მართლაც მიაღწიეს წარმატებას და ეს არც არის გასაკვირი: ფაშისტებმაც შეძლეს ორგანიზებული კრიმინალური (ქურდული) სამყაროს განადგურება გერმანიასა და იტალიაში, საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით კი არა, ძლიერ კონკურენტებს ხედავდნენ მათში და იმიტომ.

ბანდა, რომელსაც სახელისუფლო-სამართალდამცავი საშუალებები უპყრია ხელთ, ქურდულ გაერთიანებებს უსათუოდ მოერევა, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ქურდებიც დამნაშავეთა, კრიმინალურ სამყაროს ეკუთვნიან, მათს მოქმედებას მაინც ზღუდავს გარკვეული ქურდული წესები და კანონები, ბანდის მოქმედებას კი არაფერი ზღუდავს – „ბეზპრედელშინაა“ მისი მოქმედების პრინციპი. ნაცმოძის ზეობის დროს არ არსებობდა ისეთი კანონი, რომელიც მათ გზაზე გადაეღობებოდა. თვით კონსტიტუციასაც კი ისე აუპატიურებდნენ, როგორც ორღობის კახპას. ახლა ჩვენ ვართ ხელისუფლებაში და, რასაც გვინდა, იმას ვიზამთო, – საჯაროდ განაცხადა მათი ბატონობის დასაწყისში ნაცმოძის ერთ-ერთმა სახემ. ნაცმოძრაობის ბელადი ხომ მიკიბ-მოკიბვის გარეშე ამბობდა: სახელმწიფო ეს მე ვარო. აბა, სხვა რა იყო, არაერთგზის რომ განაცხადა: აფრასიძეების ოჯახის ამოწყვეტის ბრძანება მე გავეციო.

სამართლიანობისთვის ერთი რამ უცილობლად უნდა ვთქვა: ხელისუფლებაში მოსული (თუ მოყვანილი) ბანდა განსხვავდება ხელისუფლების გარეთ, საკუთარი თავის იმედად არსებული ბანდისგან. ამ უკანასკნელის წევრები თავზეხელაღებულები და უშიშარი ადამიანები არიან, მათ საკუთარი თავის მეტი დამცველი არ ჰყავთ. სახელისუფლო ბანდებში ძირითადად გულნამცეცა, რძენაწყენი, ბავშვობაში დაჩაგრული ან სხვა რაიმეს გამო კომპლექსიანი ადამიანები ერთიანდებიან. მათ ზურგსუკან სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული უზარმაზარი ძალოვანი მანქანა დგას: პოლიცია, პროკურატურა, სოდი, კუდი და ათასი სხვა ეშმაკი. ამიტომ არიან ისინი საშიშნი. ბოღმა და საკუთარი არასრულფასოვნება აწუხებთ მათ და ბიოლოგიური ზიზღი აქვთ ყოველგვარი სრულყოფილების მიმართ. ამიტომ შეუძლიათ, სიამოვნებით უცქირონ, როგორ სცემენ საქართველოს ხელფეხშეკრულ სწორუპოვარ ფალავანს...

ნაცბანდამ ისე მოახდინა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს ოკუპაცია, რომ ხალხს მათი მოცილების ყოველგვარი იმედი გადაეწურა. კანონიერად ამათ ვერ გადაირჩევ, რადგან მათ მიერ ჩატარებული არჩევნები არანაირ კანონს არ ექვემდებარება, აჯანყებას კი ხალხი ვერ შესძლებს, რადგან ნაცბანდას მისგან მოსყიდული მანქურთები იცავენო, – ასე ფიქრობდა დაბეჩავებული და ღირსებააყრილი ხალხი. მართალიც იყო! ახსოვდა ხალხს 7 ნოემბერი თუ 26 მაისი, ის დაუნდობლობა, რასაც თემურ ლენგის შემდეგ არ მოსწრებია საქართველო.

ჩვეულებრივ, როგორც არასახელისუფლებო ბანდას არ აინტერესებს, რას ფიქრობს ხალხი, რა სურს, რას მიესწრაფვის, რა არის მისთვის ძვირფასი და შეუქცევადი ღირებულება, ისე არ აინტერესებდა ნაცბანდას საზოგადოების აზრი. საზოგადოება მათთვის არც არსებობდა. ასე რომ არ ყოფილიყო, სახალხო უკმაყოფილების გამომხატველ დემონსტრანტებს ტელეეკრანიდან როგორ გაუბედავდა ერთ-ერთი ნაცბოსი ამის თქმას: დედას გიტირებთ, სულს ამოგხდით, თქვე ნაძირლებოო. ვერ გაუბედავდა! და თუ ღმერთი გაუწყრებოდა და მაინც წამოსცდებოდა ასეთი რამ, ნორმალურ ქვეყანაში იმ წუთიდან შეწყდებოდა მისი გუნდის პოლიტიკური სიცოცხლე.

საიდან და როგორ მოვიდნენ ეს ნაცები ხელისუფლებაში, ამას პოლიტოლოგები და სხვა ანალიტიკოსები გაარკვევენ, თუ უკვე გარკვეული არა აქვთ (ან რა დიდი გამოძიება ამას უნდა!). ერთი კი ნათელია – საზღვარს გაღმა მათ ბევრი პატრონი და გულშემატკივარი ჰყავთ, რომლებიც ნაცბანდის დასაცავად არა მარტო სინდის-ნამუსზე, არამედ თავზეც ხშირად იღებენ ხელს...

არჩევნებში გამარჯვებული კოალიციის ლიდერმა როგორც კი განაცხადა (თა-

►► დასასრული მე–8 გვ.

▶▶ მე–7 გვერდიდან

ნაც, ნამეტნავად ლიბერალურად!), ნაცმოძრაობას ისე კი არ მოვექცევით, როგორც იმსახურებენ, არამედ ისე, როგორც ჩვენს ხალხს ეკადრებაო, მაშინვე გამოიწვია ნაცების მთელი უცხოელი პატრონების ლუსტრაცია. არიქა, ჩვენი დაქირავებული ნაცბანდა (რატომ დაიქირავეს, არც ამის გამოძიებას სჭირდება დიდი სიბრძნე!) საერთოდ არ გააგდონ პოლიტიკიდანო და ატყდა ერთი ვაი-ვიში: ზეწოლაო, დევნაო, დემოკრატიის საფრთხეო... უცხოელი „დემოკრატები“ ისე „გადემოკრატდნენ“, რომ სისხლის სამართლის დამნაშავისა და აშკარად შარაგზის ყაჩაღის დაჭერის მცდელობა (მცდელობა!!!) დემოკრატიის ხელყოფად ჩათვალეს და ახალ ხელისუფლებას მუქარის წერილები გამოუგზავნეს.

ჩვენ მიერ არჩეულ დეპუტატებსა თუ მათ მიერ დანიშნულ მინისტრებს, იქნებ, შეეშინდათ კიდეც დასავლელი „დემოკრატების“ მუქარისა, მაგრამ ჩვენ? ჩვენც უნდა გვეშინოდეს? მერედა, ვისი – თემურ ლენგისა და ბუღა-თურქის კი არა, ვიღაც პედერასტი და ლიბერასტი ნაძირლებისა! ნუთუ ვეღარ უნდა ავირჩიოთ ისეთი ღირსეული ხელისუფლება, რომელსაც კაცური თავმოყვარეობა ექნება და საკუთარი ხალხის გარდა არავისი შეეშინდება.

აბა, დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა რასა ჰგავს? ტელეეკრანებზე ყველაზე ხშირად ნაცბანდის წევრები ჩანან, რომლებიც ჩვენს მიერ არჩეულ ხელისუფალთ დასცინიან, ემუქრებიან და აპამპულებენ.

ამას წინათ ერთი ბლანჟეიანი ნაცდეპუტატი პარლამენტის ტრიბუნიდან მთელი ქვეყნის გასაგონად აცხადებდა: ამ ახლების იუსტიციის მინისტრი უდიპლომო ყოფილაო. ამ ტაკიმასხარამ კვალიფიკაცია დაუწუნა საქვეყნოდ ცნობილ სპეციალისტს. არ გინდა ამის მოსმენა?!

მავანმა შეიძლება თქვას, თუ არ გინდა, სხვა არხზე გადართე ტელევიზორიო. სად გადართავ? ყველგან ეგენი არიან! საზმაუწყებელი და "რუსთავი 2" ხომ მთლიანად მაგათია, სხვა არხებს კი ევროპელი დამკვირვებლებისა თუ მოთვალთვალეების ეშინიათ, ნაცბანდის უფლებების შეზღუდვა არ დაგვაბრალონო და ყველაზე მეტ დროს ნაცებს უთმობენ.

ბოლოს და ბოლოს, ჩვენ, სრულწლოვან ქართველებს, გვაქვს თუ არა უფლება და უნარი იმისა, რომ ჩვენი ახლანდელი მდგომარეობა პატივცემული ბუკიკიოსა თუ აპატურაის დაუკითხავად შევაფასოთ! დავიჯერო, კატალონიელმა თუ კალიფორნიელმა ექსპერტებმა უკეთ იციან, რა უკეთესად ხარობს ჩემს ბოსტანში ხაშურში? ან ხარობს თუ არა რქაწითელი უშგულში?

ჰო, ბატონო, და მე, ერთი რიგითი ქართველი, დღევანდელ ჩვენს მდგომარეობას ასე ვაფასებ:

– კრიმინალურ ბანდასთან, რომელიც ყველა სიავესთან ერთად სამშობლოს ღალატშიც არის შემჩნეული, თანაცხოვრება ანუ „დასავლური“ კოაბიტაცია შეუძლებელია!

– ეროვნულ ტრადიციებსა, ეთნიკურ მენტალიტეტსა და მამაპაპურ სარწმუნოებასთან მებრძოლ ნაცბანდასთან თანამშრომლობა სამშობლოს ღალატია!

– ქართული ენის დამცირებაში, უგულებელყოფაში, აბუჩად აგდებაში არაერთგზის შემჩნეულებთან, მამა-პაპათა სისხლითა და ოფლით მორწყული და მრავალსაუკუნოვანი ბრძოლით შენარჩუნებული მამულის გასხვისებაში ბრალდებულებთან ლოიალობა დანაშაულია!

ნაცმოძრაობა, როგორც კრიმინალური ბანდა, უნდა გასამართლდეს და ამოიძირკვოს ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან! ვინც ამას ხელს შეუშლის ან არ მოისურვებს, ისიც ნაცბანდის მორალის მატარებელი იქნება, ვინც არ უნდა იყოს იგი, აქაური თუ გადამთიელი!

P.S. *ეს წერილი დაწერილი მქონდა, როცა ჩვენს ტელეარხებზე ნაცშაჰანამ და მათმა გამოტვინებულმა მომხრეებმა ერთი ამბავი ატეხეს – „ერისიონმა“ მოსკოვში კონცერტები რატომ გამართაო. ამ, მართლაც ფსიქიკური პრობლემების მქონეთა „არგუმენტებზე“ კომენტარები ფსიქიატრების საქმეა. მე მხოლოდ ერთს ვიტყვი: „მედასავლეთეები“ დღენიადაგ თავქვამირტყმულებივით იმეორებენ – საქართველოს სახლი ევროპაა, ჩვენი სახლი „ნატოა“-ო. საქართველოს სახლი საძებარი არც ჰქონია და არცა აქვს – იგი თავის სახლში ცხოვრობს! თქვენ, უსამშობლო და უსახლკაროებმა, სადაც გინდათ, იქ შერგეთ თავი – თუ გინდათ, კვლავაც ნაცში (ნაცმოძრაობაში) დარჩით.*

„მე ვარ ქართველი, მაშასადამე ვარ ევროპელი“, - სრული უაზრობაა. მე ვარ ქართველიო რომ იტყვი, მას არავითარი „მაშასადამე“ აღარ სჭირდება. რაც შეეხება ევროპელობას: ევროპა-აზიის საზღვარი კუმა-მანიჩის ღრმულზე გაივლის თუ ქსენია ბიცოლას ბოსტანზე, ამით არც ქსენიას შეგნება შეიცვლება და არც ვანიასი.

ზ. ც.

მაგათ სამშობლო სავაჭრო დუქანი ჰგონიათ

გამოხმაურება

სანამ სათქმელს ვიტყოდე, მინდა, დიდი კონსტანტინეს ნაწერ-ნათქვამს მოვუხმო: „მოქმედსა და შემოქმედს ყოველთვის მოელის მარცხი, ცხენი კარგ მოჯირითეებს წაექცევა ხოლმე, ხოლო ტროტუარზე მოსიარულეთ ჯერ არასოდეს წაქცევათ ცხენი. პირველი პირობაა სიწრფელე და ზნეობრივი სისპეტაკე".

...ღმერთმანი, დღეს ყველანი მეტ-ნაკლებად ცოდვილნი ვართ, მაგრამ საკუთარმა სინდისის ხმამ, სიწრფელემ უნდა შეგვძრას, დაგვაფიქროს, არც დღისით მოგვასვენოს, არც ღამით, რადგან საქმე უკვე საქართველოს ყოფნა-არყოფნას ეხება.

,,ლიტერატურული საქართველო" თავისი ეროვნული ცნობიერებით, შეგნებით, პასუხისმგებლობითა და ჩვეული პატრიოტული განწყობით, მადლობა უფალს, ისევ აღსდგა და თავისი ხელმეორე დაბადებით კვლავ ბევრ რამეზე დაგვაფიქრა, თვალი აგვიხილა და ხმა ამოგვაღებინა.

მადლობა, ბატონო თამაზ, ამ გაბედულებისთვის...

მადლობა ყველას, ვინც ამ გაზეთის გაზეთად ყოფნისთვის კი არა, მისი შინაარსიანი სიცოცხლისათვის იზრუნებს, ვინც მას საქვეყნო და საშვილიშვილო საქმეთა საკეთებლად გამოიყენებს. ეს ბეჭდვითი ორგანო, – ჩვენი ეროვნული ღირებულებების გაფრთხილების, დაცვისა და გადარჩენისთვის ბრძოლის იარაღად გვჭირდება იმ ომში, პროსტიტუციისა და ფულის მოყვარულმა ქართველთა ერთმა ნაწილმა რომ გამოუცხადა საქართველოს დღევანდელობასა და მის მომავალ თაობებს, პატიოსან, ღირსეულ ქართველობას, ზოგადად.

ბატონ ზურაბ ცუცქირიძის პუბლიკაცია სათაურით – ,,პროსტიტუცია პროფილსა და ანფასში" – ვერ დავმალავ და, ღამის ჩემი და, ალბათ, უამრავ ჩემნაირთა ნაფიქრი იყო. დიდი მადლობა ბატონ ზურაბს ქართველობისთვის, პროფესიონალიზმისთვის, გაბედულებისთვის, ღრმა ანალიზისთვის, სიწრფელისა და ზნეობრიობისთვის. ისინი, ვისაც ეს პუბლიკაცია ეძღვნება, – მთელმა საქართველომ იცის, – იმ ტელეარხიდან არიან, რომელსაც ქვეყანა ფულის საკეთებელი დუქანი ჰგონია;

მათ ჰგონიათ, რომ ქართული ტელეაუდიტორია ბრმა და ყრუა, ყველაფერს იტანს და აიტანს, მოყვრულად მოსული მტრები კი ,,რუსთავი 2"-დან კვლავ დიდხანს შეგვაყრიან თვალში ნაცარს – ბრმები ხართ და კიდევ უფრო დაგაბრმავებთო.

მაინტერესებს, ეს პუბლიკაცია თუ წაიკითხეს ადრესატებმა და, თუ წაიკითხეს, ნუთუ რეაქცია არ გამოხატეს? ე.ი. შეიფერეს ლანძღვა? მაგრამ, ვეჭვობ, ბატონმა ზურაბმა ვინც ასე გვარიანად გააკრიტიკა, ის „პროსტიტუტკები" გაზეთს, ან საერთოდ რამეს კითხულობდნენ.

მათ თავის დროზეც არაფერი წაუკითხავთ, თორემ, სხვას თუ არაფერს, ბგერის სწორად წარმოთქმას, გამართულ ქართულ მეტყველებას მაინც ისწავლიდნენ. საკუთარი აზრის გასაგებად ფორმირება ხომ ,,რუსთავი 2"-ში ორ-სამ ჟურნალისტს თუ შეუძლია. შოუს წამყვანი ქალბატონები კი გადაცემისას ისე არიან ექსტაზში შესულნი, მშობლიური ენის სიწმინდის დაცვა არც აგონდებათ და არც ედარდებათ.

ახლა ლექსიკა? რა სალანძღავ და საჩოთირო სიტყვებს, გამოთქმებსა და აზრებს არ მოისმენ შოუწამყვანების მეტყველებაში... ახლა უნდა გვეჭიროს ორი ქვა თავში შემოსარტყმელად, პროსტიტუციამ ქუჩიდან ტელევიზიაში რომ გადაინაცვლა და მთიდან დაშვებული ზვავივით განადგურებით ემუქრება ქართულ ღირსებას.

ჩვენ ხომ ამ ვითომ ეროვნული ტელეარხიდან ბოლო ათწლეულია ერთი ნორმალური და მართალი გადაცემაც არ გვინახავს, ეს არის ძლიერთა ამა ქვეყნისათა ტელევიზია, სადაც ძალიან დიდი ფული კეთდება და ამ ფულის საშოვნელად ბუზები ყველა კუთხიდან მოდიან.

არადა, თითქოს გუშინ იყო: რუსთაველთა თვალწინ შეიქმნა 80-90-იან წლებში ,,რუსთავი 2". ეს პერიოდი ქართველი ერის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანესი იყო და ინდუსტრიულ, ინტერნაციონალურ ქალაქში შექმნილი ტელეარხი ეროვნული მიზნებით იყო დამუხტული.

სანამ უშუალოდ სათქმელზე გადავიდოდე, მინდა ერთი ეპიზოდი გავიხსენო: ჩვენს სოფელში ერთი ახალგაზრდა, კარგი ოჯახიდან გამოსული ბიჭი გალოთდა. რას არ ჩადიოდა, რომ სასმელი ეშოვა. ბოლოს, მახსოვს, მაღალი გორაკიდან მთლად დედიშობილა დაეშვებოდა ხოლმე სოფლის საღაყბომდე, რათა იქ მისთვის შეპირებული 20 კაპიკი მიეცათ ჭიქა არაყის დასალევად...

არც მეტი, არც ნაკლები – ჩვენი ტელეარხების ცნობილი წამყვანები იმ 20 კაპიკიან ლოთს მაგონებენ, მთლად გაშიშვლებაღა რომ აკლიათ ტელეაუდიტორიის წინაშე. ეჭვი არ მეპარება, რომ ამასაც იკადრებენ ფულისა და პოპულარობისთვის.

ქართველური ზნეობა?

იყო ერთ დროს საქართველოში ნარკომანია, იყვნენ ნარკომანები და ნარკობარონებიც. დღეს ანტიეროვნული შოუბიზნესის „ბარონესები" მძლავრობენ და რა მნიშვნელობა აქვს, ნარკოტიკით გაბრუვდება ერი თუ გულისამრევი გადაცემებით.

განა დასაშვებია, შენი ერი და ქვეყანა ისე გაათახსირო, რომ თუნდაც შენივე შვილების და შვილიშვილების ბედმა არ დაგაფიქროს. საინტერესოა, რას შეუნახავს თავის შთამომავლობას ნანუკა ჟორჟოლიანი, ბატონი ზურაბის თქმისა არ იყოს, განა საქართველოში იმაზე მეტი სადარდებელი და საფიქრალი აღარ გვაქვს, ვიდრე ცნობილი ე.წ „ვარსკვლავების" მაკიაჟი, ნიფხვები და საყვარლების თემებია.

თქვე დალოცვილებო, – დაწყებული ნიკა გვარამიათი, უკანასკნელი წლების განმავლობაში გინახავთ ქართული სოფლები სვანეთში, სამეგრელოში, გურიაში, კახეთში... გინახავთ გაუდაბურებელი ნასოფლარები; შეგიხედავთ ქართულ სკოლებში, სადაც ფანატიკური ერთგულებით შრომობენ პედაგოგები; დაინტერესებულხართ ასაკმოძალებული იმ ქალების ბედით, არც პენსია და არც ხელფასი რომ არა აქვთ და მთელ დღეს ბაზარში დგანან ლუკმა-პურის ფულის საშოვნელად; გინახავთ აქვე, თბილისთან ორ ნაბიჯზე ქალაქი რუსთავი, ერთი საწარმოც რომ აღარა აქვს და მთელი ქალაქი უმუშევარია?

ყოფილხართ რაჭაში? გინახავთ, როგორ ტირიან უპატრონოდ მიტოვებული სახლები?! შესულხართ ქართულ ტაძრებსა და ეკლესიებში, ასობით ხელგაწვდილი მათხოვარი რომ დგას ჭიშკრებთან?

ან: როდის იყავით სულ ბოლოს ჩვენი ღირსეული მამულიშვილების სახლ-მუზეუმებში, რა ნახეთ იქ და რამ დაგაფიქრათ, არაფერმა გატკინათ გული?

ან რომელიმე ქართველმა თანამედროვე მწერალმა არ დაგაფიქრათ თავისი წიგნებით რაიმეზე, არაფერი გითხრათ რომელიმე სპექტაკლმა ან სპექტაკლის რომელიმე გმირმა ისეთი, სამშობლო რომ გაგხსენებოდათ?

მაგრამ... თქვენ ხომ ფულის საშოვნელად აკეთებთ შოუგადაცემებს... ,,რუსთავი 2", როგორც ტელეარხი, იმის ნიმუშია, როგორი არ უნდა იყოს არათუ ეროვნული, არამედ, ზოგადად, ტელევიზია. ცინიზმით, საშინელი ამბიციურობით, ჯიბრით, ღვარძლით, ბოროტებით სავსე ტელევიზია, სადაც თვით წამყვანების დიქციაც კი გამაღიზიანებელია აუდიტორიისათვის. ეს ბრწყინვალე და ერთდროულად რთული დარგი – ჟურნალისტიკა, მერხზე თუ არ გისწავლიათ, ჩართეთ სხვა ქვეყნების ტელეარხები, ყური უგდეთ გადაცემათა წამყვანებს, დაუკვირდით მაღალპროფესიონალურ დონეზე მომზადებულ გადაცემებს და მიხვდებით, რომ თქვენი შოუები ყველაზე დაბალგემოვნებიან მაყურებელზეა გათვლილი – წამიერი ეფექტისა და ემოციისთვის.

დღეს, როცა ცხრა წლის განმავლობაში უდიდეს ჭირგადანახად საქართველოს ამდენი მოუშუშებელი იარა აქვს, თქვე დალოცვილებო, ერთი და იმავე ხალხის სასიყვარულო თავგადასავლების განხილვა-ჭორაობის გარდა სხვა არაფერი გედარდებათ?

,,სოფლის მაშენებელნი", ალბათ, არ წაგიკითხავთ, მაგრამ მულტფილმი მაინც გექნებათ ნანახი – ძაღლს, მამალს და ვირს რომ დამსგავსებიხართ და თქვენი გადაცემებით სოფლის, ანუ ქვეყნის აშენება მოგსურვებიათ... აშენებას არავინ გთხოვთ, ნუ დაგვინგრევთ ქვეყანას, ნუ გადაგვიგვარებთ ქართველობას.

და ბოლოს, ვერაფრით დავიჯერებ, რომ თქვენ მეცნიერებისა და განათლების უწმინდესი ტაძრის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს ჟურნალისტიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულნი ხართ. იქნებ, ზოგჯერ თქვენი აღმზრდელი მეცნიერებისა და პედაგოგების მსოფლმხედველობით შეაფასოთ თქვენი გადაცემები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ზიზღს იწვევს გემოვნებიან ქართულ ტელეაუდიტორიაში.

ლია მარტაშვილი

▶▶ *მე–4 გვერდიდან*

შოუმენური ჩალიჩით, არქიტექტორული და ყოველგვარი თავნებობით, ბაგრატის ტაძრის ფსევდოაღდგენით და ჰალსტუხის ღეჭვიდან „სალფეტკის“ ქაღალდის ღეჭვაზე გადასვლით; მაგრამ რა შესაბრალებელია ეს თვითმარქვია რესტავრატორი და გაბოროტებული, შურისმაძიებელი მკვლელი?!

ვირტუალური დემოკრატიის შუქურა თვალსა და ხელს შუა გაქრა. ადრე თუ გვიან, ასე მოხდებოდა. მაგრამ, ვინ იფიქრებდა, რომ საკუთარ მწამებლურ პრაქტიკას შეეწირებოდა?!

21. 9. 12.

სტუდენტების საპროტესტო აქციები გუშინ დასრულდა. დიდი ხანია, არ მინახავს ახალგაზრდების ასეთი ერთსულოვნება და შემართება, თუმცა, ნაცმოძრაობისგან მართული თვითმმართველობა ცდილობდა შეერთებოდა სტუდენტების ჯანსაღ ძალას და პროვოკაციები მოეწყო. თვითმმართველობას რომ არ გამოუვიდა ვითარების არევა, გამოჩნდა მათი დამხმარე ძალა – პოლიცია. წესრიგის დამყარების მიზეზით განლაგდა ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორიაზე და მუჯლუგუნებით და ხელისკვრით მიერეკებოდა ახალგაზრდებს და მოუწოდებდა, დაშლილიყვნენ. ყველას ეშინოდა, პროვოკაცია არ მოეწყოთ და არ დაერბიათ მომიტინგეები. საბედნიეროდ, მშვიდობიანად დასრულდა სამდღიანი საპროტესტო აქცია და ეს ისევ ახალგაზრდების დამსახურებაა. ისინი უფრთხილდებოდნენ კარს მომდგარი არჩევნების ჩატარების ალბათობას, რადგან გაკოტრებული და ნირწამხდარი „ნაცმო“ ეძებდა არჩევნების ჩაშლის და გადავადების საბაბს. სტუდენტური აქცია ვერ გამოიყენეს სათავისოდ და მხოლოდ მელიქიშვილის გამზირი და კოსტავას ქუჩა გაათავისუფლეს მომიტინგე ახალგაზრდებისგან. როგორც ჩანს, პროვოკაცია სახვალიოდ, საზუგდიდოდ გადადეს. მოსალოდნელია ხვალ, ზუგდიდში მიაღწიონ საწადელს. სოციალურ ქსელში ასეთი მოწოდება გავუგზავნე სტუდენტურ აქციას:

„ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ, გამოდით, თქვენი ჭირიმე“ – (აკაკი) ბედნიერი ვარ, ასეთ ჭკვიან, სამართლიან და დიდებულ ახალგაზრდობას რომ მოვესწარი! „

პრეზიდენტის დღევანდელი გამოსვლა იუსტიციის შენობის გახსნაზე მოულოდნელი და არაადეკვატური გამოდგა. რატომ უნდა ყოფილიყო დალაგებული და ლოგიკური ამ ტიპის გამოსვლა? იკითხავს ვინმე და ჩაიქირქილებს. მოსაბეზრებელია ეს ყალბი პათოსით გამსჭვალული ტყუილები. ეს ფსიქო-ტიპი საკუთარი ფანტაზიის ნაყოფს რეალობად გარდაქმნის, იჯერებს და მერე ცდილობს, ხალხი დააჯეროს, დაარწმუნოს განამდვილებული სიცრუის ჭეშმარიტებაში. დიდი ხანია ეს თამაში გრძელდება საქართველოში და ჩათრეულია მასები. ეს ტიპი ტელეეკრანებიდან, ყალბი რიტორიკით და ისტერიული პათოსით შეიჭრება ხოლმე თითქმის ყველა ოჯახში, სადაც კი ჩართულია ტელევიზორი და აფორიაქებს და აბოლებს დიდსა და პატარას. ასე გრძელდება რამდენიმე წელია. ვინც მიხვდა, ტელევიზორის გამორთვა ისწავლა და დამშვიდდა, მაგრამ უმრავლესობა უკვე ცინიკურად, ირონიულ-პაროდიული ინტონაციითა და არასერიოზულად აღიქვამს ამ სისულელეს, მაგრამ რეალობის შეცვლას ვერავინ ახერხებს. მოკლედ რომ ვთქვა, **ქვეყანას საკაშვილი სჭირს** და არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, უმრავლესობას ეშინია პრეზიდენტის მორიგი ხუშტურის გამო, არჩევნების თარიღმა არ გადაიწიოს ხელოვნურად მოწყობილი დესტაბილიზაციის მომიზეზებით. ანტიციფვაციური უნარი მკარნახობს, რომ ზუგდიდში ეცდებიან პროვოკაციის მოწყობას. ან იქნებ, ეს ჩემი ალღო წინმსწრები დასკვნების შედეგია და სხვა არაფერი?!

ნაცმოძრაობის რიგებს რიგითი და ჩინოსანი წევრები გამალებით ტოვებენ, დემონსტრაციულად იხდიან და წვავენ ან სულაც ყრიან ნაცმოძრაობის წითელ მაისურებს, ან სულაც წვავენ, უკიდურესი პროტესტის ნიშნად. აქ გამახსენდა და ჩავწერ ბარემ, ის საკანი, რომელშიც პატიმრებს აწამებდნენ 5 იყო. 5 ნაცმოს საარჩევნო ნომერია. ვითომ უბრალო დამთხვევაა??

იუსტიციის სახლში გამოსვლისას პრეზიდენტმა ზუსტად გაიმეორა იმავე დღეს, ოღონდ უფრო ადრე პატრიარქის ნათქვამი პოსტულატი, რომ მსგავსი სისაძაგლეები მთელ მსოფლიოში ხდება, მაგრამ მალავენ, კი არ ახმაურებენ. პატრიარქი გულისხმობდა საპყრობილეში მომხდარი წამებისა და გაუპატიურების ფაქტებს. როცა პატრიარქი ამას ამბობდა, გაოცებული და დაეჭვებული ვუსმენდი, მაგრამ მალევე გადამავიწყდა, რადგან ჩავთვალე, რომ აღელვებულ პატრიარქს რაღაც წამოცდა და ყური არ ვათხოვე. მაგრამ როცა საღამოს, იუსტიციის სახლის გახსნისას პრეზიდენტმა პატრიარქის ნათქვამი სიტყვები აციტირა, საპატიმროში მომხდარი სისასტიკისა და გაუპატიურების ფაქტების მისაჩქმალად და არარად ჩასაგდებად, ჩავფიქრდი, ვის ტვინში დაიბადა ეს ვერსია, რომ ასეთი ამბები, რაც ჩვენს საპატიმროებში ხდება, მთელ მსოფლიოშია გავრცელებული, მაგრამ კი არ ახმაურებენ, არამედ მალავენ. ე. ი. ჩვენც უნდა დაგვემალა ეს საშინელი კადრები და გაგვეგრძელებინა მშვიდი ცხოვრება, თან ჩაგვეღიღინებინა კიდეც „ჩუმად, ჩუმად, არვინ გავგიგოს!“

პატრიარქის ეს სიტყვები იქცა პრეზიდენტის უმთავრეს არგუმენტად, მაშველ რგოლად, ერთადერთ გამოსავლად, რათა თავი ემართლებინა და მომხდარი მიეჩქმალა, გადაეფარა, მომხდარ ფაქტზე გადაერბინა, ზერელედ შეეხედა, მაგრამ ამ ბუფონადას უკურეაქცია მოჰყვა.

ფეისბუკში გამოვაქვეყნე შემდეგი ტექსტი:

...ამ ფსიქო-ტიპს ერთხანს ვუყურე, ვუსმინე, ვაკვირდებოდი და უნებლიეთ წამომცდა და ჩავიწერე:

მასში ყოველი ნეირონი
ნამდვილად არის ნერონის.

ეს ორსტრიქონედი, სხვა ჩანაწერებთან ერთად დაიბეჭდა ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“

თუ არ ვცდები, 2006 წელს.. დღესაც ვნახე ამხანაგის გამოსვლა ტელევიზიით; შემაწუხა გამოგონილი, შეთხზული და დაზეპირებული ამბებით გამოწვეულმა ცრუ-ეგზალტაციამ და ყალბმა პათოსმა.

არა, ბატონო, პატიმრების სერიული წამებით, ცემით, არნახული სისასტიკით, გაუპატიურებით გამოწვეულ ჩვენს აღშფოთებას ვერ გადაფარავთ თქვენივე შეთხზული ფანტასმაგორიით. ეცადეთ, ნულარ მოგვაწყენთ, თავს ერთი მსახიობის თეატრით, სადაც მთხზველი, მსახიობი, რეჟისორიც და, მგონი, მაყურებელიც, ასევე მომავალი შეთითხნილი ფილმის სცენარისტი და იდეის ავტორი თქვენ ბრძანდებით...

22. 9. 12.

ახალი დროის ათვლა ჩემთვის, ჩვენთვის 18 სექტემბერს დაიწყო, როცა ტელეეკრანით ვნახეთ ამაზრზენი კადრები. ნულოვანი ტოლერანტობის ავტორის ხელწერა, სტილი,

ენა დაცულია დოკუმენტურ კადრებში. ახლაც ყურში ჩამესმის მისი ისტერიული ყვირილი: ...ხელი არ აგიკანკალდეთ, ესროლეთ, მოკალით! ... ეს მოკვლის მასწავლებლის ხმა და მისი პენიტენციალური რეფორმის ხმაა, ხოლო რეჟიმის სახე ის ქმედებებია – უკანალში შეთხრილი ცოცხები, ხელკეტები და იქიდან გამოღებული სიგარეტის დაძალებაა – მოწიე! მოწიე!

ამ ყველაფრის იდეოლოგი ვერასოდეს მიხვდება, რომ აშავებს, ძალადობს, ყოველგვარ საზღვარს გადადის. იგი თვლის, რომ უფლებამოსილია შექმნას, ან სულაც ახლით შვას ადამიანი, ზუსტად ისეთი, როგორიც მის ავადმყოფ ტვინში ჩაისახა.

აი, აქედან იწყება მტრის ხატის ძიება. თუ ვინმე არ დაეთანხმება, ან ეჭვს შეიტანს მის მოსაზრებასა თუ უკვე განხორციელებულ იდეაში, წარმოსახვაში, მტრად აქცევს და კლავს, მარხავს, ანადგურებს, ხოლო რეალობაში ისტერიულად გაჰკივის, გარბის, მოკამათეს ამკობს უარყოფითი ეპითეტებით. წარმოიდგინეთ, რა შეუძლია წონასწორობადაკარგულ მიშას, სადმე, ცალკე ოთახში, თუნდაც საპრეზიდენტო აპარტამენტებში თუ ხელში ჩაუვარდა არასასურველი არსება. ნუ წარმოიდგენთ, თორემ შესაძლებელია, მარმარილოს საფერფლით თავგატეხილი, საფეთქლიდან სისხლჩამოჟონილი მისი თანამებრძოლიც დაგიდგეთ თვალწინ ან გვარიანად ნაცემი ერთ-ერთი პრემიერი, ევროპაში რომ გადაანაცვლა სამუშაოდ და ისიც ოქროს დუმილის ფასად. ჩუმად, ჩუმად, არვინ გაგვიგოს!“

კი, საბრალოა, ვერ არის ჯანმრთელად, მაგრამ ჩვენ რა დავაშავეთ, ქვეყანამ რა დააშავა?! მეგალომანიით შეპყრობილი ფრუსტრირებული ფსიქო-ტიპი ერთობა არქიტექტურით, საქვეყნო მომღერლების ბათუმში მოწვევით, მილიონობით ჰონორარის გაცემით და ბავშვურ ოცნებებს ისრულებს ბიუჯეტის ხარჯზე. სად უნდა წავიდეს? როგორ თუ ის არ იქნება პრემიერი? ნურას უკაცრავად!! მეტი საქმე არა მაქვს, ჩემი საკუთრება თქვენ დაგითმოთ?! ჩემია! ჩემია! გაჰკივის ისტერიულად ბაღის ბავშვივით, თუმცა ეს „ვით“ რა საჭიროა? მართლაც ჭირვეული ბავშვია. ახლა ლაზიკა აქვს აჩემებული და ჭაობის ახლორე დარბის. ადრე სულ ბათუმსა და გონიოში დარბოდა.

– სააკაშვილი გონიოშია? ისევ გაისმის კითხვა და იქვე პასუხი: კი აგონიაშია..

ერთი ჩემი კოლეგა მიმტკიცებს, რომ ის არ არის შეურაცხადი, უბრალოდ, ბოროტი, შურისმაძიებელი და ყველაფრის მკადრებელი დემონია. ჩამაფიქრა მისი სახელის დემონით ჩანაცვლებამ და ჩავთვალე, რომ ჩემი კოლეგა მართალია, მაგრამ ანომალიური საქციელითაც რომ გამოირჩევა? დრო დაარქმევს სახელს...

იმას მოგახსენებდით, რომ 18 სექტემბრიდან დაიწყო სრულიად ახალი ცხოვრება საქართველოში. როგორც კი რეჟიმის სახე გამოჩნდა, რეჟიმის ავტორიც კი დადუმდა და არ იცოდა, რა ეთქვა. მაგრამ 21 სექტემბერს ერთიანად ამოხეთქა გეიზერივით სიტყვათა ნიაღვარმა, რომ, აქაოდა, მთელ მსოფლიოში ხდება ასეთი და კიდევ უარესი ფაქტები, მაგრამ ჩვენსავით კი არ გაჰყვირიან საქვეყნოდ, მალავენ, ხმას არ იღებენო. ასე მალავდა აბელის მკვლელობას ისიც. მასაც ურჩევნია ყველა მკვლელობა მიიჩქმალოს, საპატიმროს სასტიკი წამება და გაუპატიურებებიც დაიმალოს, გაქრეს. „გლდანის საპყრობილის ფილიალი ხომ არ არის დანარჩენი საქართველო?“ იკითხავს გაღიზიანებულად და ბრძანებს იმის **დავიწყებას, სადაც მისი რეჟიმის სახე გამოჩნდა. დაივიწყეთ, გასაკეთებელი კიდევ ბევრია.** სხვაგანაც ხდება, მაგრამ მალავენ. ჩვენც დავმალოთ, დავივიწყოთ...

ზოგმა 18 სექტემბერი ისეთივე მნიშვნელობის თარიღად გამოაცხადა, როგორიც 11 სექტემბერია ამერიკელებისთვის. 11 სექტემბერმა მსოფლიო სრულიად შეცვალა და აბსოლუტურად განსხვავებული დრო დადგა. მახსენდება ბოდრიარის ბრწყინვალე ესეი განზოგადებულ 11 სექტემბერთან დაკავშირებით.

რეჟიმის მანქანა აღარ მუშაობს, ტყუილების საწვავი წყლით გაუზავებიათ და აღარ იქოქება. კი, ტყუილები არის, რამდენიც გინდა, მაგრამ უნაპერწკლო, უცეცხლო, ვირის ფსელი რომ ჩაასხა მანქანაში, ხომ არ ამუშავდება. აი, ასეა ტყუილების მანქანა და მისი მძღოლი, თავის „დოკუმენტური“ კინოგამონაგონებით და იდეებგადავსებულობით. „იდეებ, რა ვუყო, დაგენაცვლე?! იტყოდა ხოლმე ერთი ქუთაისელი ებრაელი და ჩაიქირქილებდა ერთ პარტიულ მუშაკზე, გაუთავებელი ლაყაფი რომ უყვარდა.

ერთი სტუდენტის მეგობრებთან გაგზავნილი ფეის-ბარათი:

ლევან დუაძე

გრძელდება სტუდენტური აქციები, უკვე დაიწყო შავებში ჩაცმული სტუდენტების შეკრება უნივერსიტეტის წინ (რუსთაველის მხრიდან). ამ წუთიდან გვიერთდება ბევრი სტუდენტი, უნივერსიტეტის კარები არის ჩაკეტილი და არც ლექტორებს უშვებენ და არც სტუდენტებს, მოტყუებით მიჰყავთ სტუდენტები ტექნოლოგიური უნივერსიტეტის გასახსნელად, ნუ დარჩებით სახლში და შემოგვიერთდით!!!

სააკაშვილი ცდილობს, რაც შეიძლება სწრაფად გადაირბინოს გლდანის საპყრობილის უსაშინლეს ვიდეო-კადრებზე, უკან მოიტოვოს, სწრაფად გამოიგლოვოს ხალხმა საშინელება, რომელმაც შეძრა უკლებლივ ყველა და გაიქცეს წინ, არჩევნებისკენ. მისი რიტორიკა თანდათან მძიმდება, ისტერიული მეტყველებისას წამოცდება ხოლმე, რასაც მართლა ფიქრობს. დარბაზს მიმართა: „საპყრობილეში ძალიან ცუდი რამეები მოხდა, მაგრამ რა ხელზე დაიხვიეს ეს ფაქტები? ორი მინისტრი ხომ გადავაყენეთ? ასეთი რამეები საზღვარგარეთ ყოველდღე ხდება, მაგრამ ვინ აქცევს ყურადღებას? ჩემს ბავშვობაშიც ხდებოდა და არავის უკვირდა, ახლა რატომ იმეორებენ ერთსა და იმავეს; ხომ გავათავისუფლეთ ორი მინისტრი, მეტი რა უნდათ???“

თუ მის ბავშვობაში ასეთი რამეები ხდებოდა, ანუ გლდანის საპყრობილეში აღმოჩენილი გაუპატიურებები და ტანჯვა-წამება, უსასტიკესი მოპყრობა და ა.შ., საბრალო მიშას ძალიან ცუდი ბავშვობა ჰქონია და საკუთარი მტანჯველი შთაბეჭდილებები აწუხებენ დღემდე და მძვინვარე შურისძიებით არის შეპყრობილი. ეს ყველაფერი ამ ფსიქო-ტიპის ქმედებებსა და ქცევაში ყოველთვის ვლინდება.

...ხელი არ აგიკანკალდეთ! პირდაპირ ესროლეთ!... ნულოვანი ტოლერანტობის იდეაც მისი მძლავრი რესენტიმენტის კარნახით არის ფრთაშესხმული, რასაც გირგვლიანის მკვლელობა და ქუჩაში დახოცილი ბიჭები მოჰყვა, პოლიციისაგან შვილებმოკლული დედების რიცხვი გაიზარდა და დაიზაფრა მთელი ქვეყანა.

ასეთი უაზრობები დიდი ხანია არ მსმენია. დასავლეთში რომ მსგავსი დანაშაულები ხდება, მთელი მსოფლიო იგებს და დამნაშავეებს კი არ ათავისუფლებენ, არამედ სასტიკად სჯიან. მან კი ჯალათი ბადრაგები დააპატიმრა და სასამართლომ ისეთი მუხლი მიუყენა, შვიდიდან ათ წლამდე პატიმრობას რომ ითვალისწინებს. ფრთხილად ეპყრობა განსასჯელებს, თუ ხელისუფლებაში მობრუნდა, ისევე შეიწყნარებს, როგორც გირგვლიანის მკვლელებს. თავნება და ავყიაა ადამიანები სძულს და არავის უსმენს. და ტყუილებიც მის ტვინში მწიფდება; ის არის ერთადერთი სინამდვილე და ცდილობს, ყველას თავს მოახვიოს, იძულების წესით დაარწმუნოს ხალხი. ახლა უკვე მომიტინგე სტუდენტები და უფლებადამცველები აითვალწუნა. ეს რიტორიკა ხომ იქით მიდის, რომ შეწყვიტონ აქციები და მომხდარი საშინელების გამოტირება, რადგან წინ არჩევნებია.

დღეს ცუდ ხასიათზე გაეღვიძა, მოუხმო თავის დამქაშებს, ისინიც შემოიძურწნენ მის კაბინეტში, შემოეწყვნენ მაგიდას. თვალში შესციცინებდნენ. ეს იგივეს იმეორებდა, თან არჩევნების მოჩალიჩებას ჩქარობდა. ***რვა დღეში ჩემი ოპონენტები მიიღებენ ტრაურს! მანამდე ვიქნები პოლიტიკაში, სანამ ლაზიკა არ იქცევა შავიზღვისპირეთში ყველაზე ბრწყინვალე ქალაქად.***

▶▶ *გაგრძელება შემდეგ ნომერში*

ღვთისაპირისპირმდგომი

ქართველ მეცნიერთა შორის დენიზა სუმბაძეს გამორჩეული ადგილი უჭირავს. იგი ადრეული ახალგაზრდობიდან მოყოლებული თავგამოდებით იკვლევს ქრისტიანული კულტურის პრობლემებს; რუდუნებით შეისწავლის საქართველოს ისტორიის წყაროებს, განსაკუთრებით ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურას და სათანადო დასკვნებსაც აკეთებს. სწორედ აღნიშნულ პრობლემებს ეხება (ფრიად ორიგინალურად) ქალბატონი დენიზას ჩვენს მიერ განსახილველი ნაშრომი.

ქართული ქრისტიანული კულტურის ისტორიაში განსაკუთრებულია ღვაწლი წმიდა ათონელი მამებისა; მათ შორის გამორჩეული ადგილი უკავია წმ. გიორგი მთაწმიდელს. გიორგი მცირის მისდამი მიძღვნილი ჰაგიოგრაფიული თხზულების შესავალში ვკითხულობთ: „წმიდაჲ რაჲ მამაჲ ჩუენი დიდი ეფთვიმე სოფლით განვიდა, შემდგომად რაოდენთამე ჟამთა კუალადცა სახიერებამან ღვთისამან და მადლმან მამისა ჩუენისამან ჟამსა თვისსა გამოაჩინა დიდი ესე მუშაკი საღმრთოჲსა მადლისაჲ წმიდაჲ მამაჲ ჩუენი გიორგი“. ამ მრავლისმთქმელ ციტატაში ბევრი რამ არის მონიშნული, უპირველეს ყოვლისა კი ის, რომ წმ. გიორგი მთაწმიდელი შედარებულია „მნათობს ნათესავისა ჩუენისა დიდ ეფთვიმეს”, რომლის ავტორიტეტი, წმ. ათანასე ათონელთან ერთად, წმიდა მთის ოცივე მონასტრისა და მრავალი სავანის მოსაგრეებს შორის დღემდე უდიდესი და უცვლელია.

ქ-ნი დენიზა სუმბაძის ნაშრომი სწორედ გამოჩენილ ქართველ მოღვაწეს, **ღვთისა პირისპირ მდგომ** წმ. გიორგი მთაწმიდელსა და ქართველი ერის შესახებ მის წინასწარმეტყველებას ეძღვნება (თბ. 2012); თუმცა წიგნის მხოლოდ ამ ასპექტის გამოყოფა მისი არასრული შეფასება იქნებოდა, რადგან ავტორი ისეთ საკითხებსაც ეხება, როგორებიცაა მთაწმიდელი მამების ღვაწლის ზოგადი მიმოხილვა (წინასიტყვა), ქართველი ერის იდუმალი მისია (სახელმწიფოებრიობა, ვითარცა ფილოსოფიური პრობლემა. დანართი პირველი), ქართული ბიზანტინოლოგია და ახალი ქრისტიანული ფენომენოლოგიის საფუძვლები (დანართი მეორე), თვალსაზრისი, გამოთქმული საქართველოს მონარქისტულ იდეასთან დაკავშირებით (დანართი მესამე), და, რაც ასევე არსებითია, მრავალი ინფორმაციისა და ღრმა ანალიზის შემცველი კომენტარები, რომლებიც სხვადასხვა მოღვაწესა და საკითხს ახლებური კუთხით წარმოაჩენენ. ეს უკანასკნელი ერთიორად ზრდის ნაშრომის სამეცნიერო ღირებულებას.

რამდენადაც წიგნში არაერთი პრობლემაა დასმული და მკითხველის სამსჯავროზე გამოტანილი, ყურადღებას გავამახვილებთ, ჩვენი შეფასებით, რამდენიმე არსებით საკითხზე, კერძოდ: „ახალსა ამას ერსა საღმრთოზე”, ბიზანტიისა და საქართველოს თანაზიარ სულიერ მისიასა და ახალ ნინოზე – ეს თემები ქართული ქრისტიანული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის საფუძველს ქმნის.

თავდაპირველად მოვიყვანთ სიტყვა „ახლის” განმარტებას, რომელიც წარმოდგენილია წმიდა მამათა კომენტარებში, ქართულ სასულიერო და ისტორიოგრაფიულ წყაროებსა და სპეციალურ ლიტერატურაში.

ნეტარი ავგუსტინე წერს: „გამოცხადებულია ახალი აღთქმა ახალ მემკვიდრეობაზე, რომელშიც ღვთის მადლით განახლებული ადამიანი იცხოვრებს ახალი ცხოვრებით ანუ სულიერი ცხოვრებით”. ამ კონტექსტში „ახალი” „სულიერებასთან”, „სიწმიდესთანაა” დაკავშირებული, რასაც ამ ორი სიტყვის პარალელურად მოყვანაც ცხადყოფს. გავიმეორებთ ციტატას: „გამოცხადებულია ახალი/წმიდა აღთქმა ახალ/წმიდა მემკვიდრეობაზე, რომელშიც ღვთის მადლით განახლებული/განწმედილი ადამიანი იცხოვრებს ახალი/წმიდა ანუ სულიერი ცხოვრებით”.

ამ კუთხით ახალი/წმიდა ნინოს მიერ ახლად მოქცეული/განწმედილი ქართველი ერისთვის ქრისტიანობის მიღება წარსულის აწმყოში გადასვლას ანუ „ძველი სჯულის დასასრულსა და ახალი/წმიდა შჯულის დასაბამს” (წმ. კირილე იერუსალიმელი) მოასწავებს.

ქ-ნი დენიზა სუმბაძის განმარტებით, ცნება „ახლისა“ უსათუოდ გულისხმობს „ძველის” არსებობას, ანუ რაღაც მიმართებას წარსულთან, რომელმაც დაასრულა თავისი ისტორიული მისია და რომელთან მიმართებაშიც – ანუ რომლის პერსპექტიულ დინამიკაშიც ქართველი ერი უნდა მოგვევლინოს ახალ ერად, ახალი სიტყვის, ახალი საკაცობრიო იდეის მატარებლად. ახალი სიტყვა, რომელსაც ახალი ერი გამოჰყავს საკაცობრიო ასპარეზზე, მხოლოდ უფლის ახალი სიტყვა შეიძლება იყოს. ამრიგად, ახალი ერის გაგება ეკლესიის მამათა მიერ კაცობრიობის სულიერი განვითარების ისტორიული სადავეების პოტენციური მფლობელობის გამხელაა ღვთიური კურთხევისა და მომადლების ძალით. ახალი სიტყვა უფლისა კაცობრიობისთვის უნდა მიეცეს კაცობრიობას ახალი ერის გზით.

ბედნიერია საქართველო, რომ ქრისტეშობის სიხარული პირველი საუკუნიდანვე ეუწყა მოციქულთაგან და ამ დროიდანვე გახდა იგი ღვთისმშობლის წილხვედრი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II
(2014 წლის საშობაო ეპისტოლედან)

აქ დროული იქნებოდა სრულიად საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ქადაგებიდან წიგნში დამოწმებული ციტატის მოყვანაც: „ერი შეიძლება ფიზიკურად იყოს ძლიერი, მაგრამ ეს არ არის ძლიერება ერისა! ერი შეიძლება ეკონომიკურად იყოს ძლიერი, მაგრამ ეს არ არის ძლიერება ერისა! ერი შეიძლება პოლიტიკურად იყოს ძლიერი, მაგრამ არც ეს არის ძლიერება ერისა! ჭეშმარიტი ძლიერება ერისა მის სულიერ ძლიერებაშია...”

ახალი ერი სწორედაც სულიერად ძლიერ ერს ნიშნავს და ამის ჩვენებას ისახავს მიზნად ავტორი სხვადასხვა ასპექტით წარმოდგენილ კვლევაში. აქედან გამომდინარე, ლოგიკური ჩანს მსჯელობა, რომელიც არა მხოლოდ იოანე- ზოსიმესა და გიორგი მთაწმიდელის საგალობლებს, არამედ წმიდა დავით აღმაშენებლის სულიერი აღმშენებლობის მისიასაც ეხება: მემატიანის მიერ შემონახული იდეა დავით აღმაშენებლისა, გელათის აკადემიის მიზანდასახულობაში ჩადებული, როგორც იდეა „ახალი ათენისა” და „მეორე ანუ ახალი იერუსალიმის” შექმნისა საქართველოში, ცხადია, იმ ფილოსოფიური და რელიგიური მისიების ახალ ეპოქალურ გადასვლას გულისხმობდა კაცობრიული ისტორიისას, რომელიც კაცობრიობამ იერუსალიმისა და ათენის წიაღში უკვე გაიარა. მაგრამ დავით აღმაშენებლისთვის უმთავრესი ქართველი ერის თვითმყოფადობა იყო, რომელიც სულიერი და პოლიტიკური დამოუკიდებლობის გარეშე წარმოუდგენელია. სწორედ დავითმა ჩაუყარა საფუძველი იმ საქართველოს, იმ ხალხის ქვეყანას, გიორგი მთაწმიდელმა „ახალი ერი“ რომ უწოდა და იესო ქრისტეს ყველაზე ცეცხლოვან მოციქულს – წმიდა პავლეს უწინარეს სავედრებლად თავისი ერისთვის (ანუ ახალი ერისთვის) ახალი ღვთაებრივი შჯულის განმტკიცება შესთხოვა.

გაზიარებული თვალსაზრისით, ადამიანი სამსახოვანია: იგი არის ერთი კერძო პირი, ინდივიდი; ამავე დროს, კონკრეტული ერის შვილი; დაბოლოს, ზოგადად, კაცობრიობის წევრიც. თუ ამ მოსაზრებას გავითვალისწინებთ, ქ-ნი დენიზა სუმბაძის ხედვა გარკვეულწილად ქართველი ერის სულიერ სწრაფვას და მიზანდასახულობას უსვამს ხაზს: ჩვენ გვჭირდება ჩვენი შებღალული მორალური სმენის გაცნობიერება; ჩვენი საკუთარი ეროვნული მეობისგან ჩამორჩენის გაცნობიერება. ჩვენ გვჭირდება ჩვენი წმიდათაწმიდა გრძნობის, ჩვენი მამულიშვილური პათოსის შემოსვა ეროვნული რაობის ცოდნით, ჩვენი ღრმა ეროვნული თვითშემეცნებით. სწორედ ამ მიზნის მიღწევითა და დაცვით შეიძლება ქართველი ერი მსოფლიოს სხვა ერებისთვის სანიმუშოდ და სამაგალითოდ იქცეს.

ძალზედ საინტერესოა ავტორის დაკვირვება ბიზანტიისა და საქართველოს ქრისტიანულ ფენომენოლოგიურ თანაზიარობაზე; ის მაცხოვრის მიერ მკვდრეთით აღდგენილი ლაზარეს ორ დას – მარიამსა და მართასაა შედარებული, რაც დიდი ქრისტიანული ქვეყნების მისიის სულიერ საფუძვლებს სახარებისეული კუთხით განამტკიცებს და წარმოაჩენს იმ „გონით ხიდებს, რომლებითაც ბიზანტიის საკაცობრიო ჩირაღდანი უნდა გადმონთებულიყო საქართველოსკენ და გადმონაცვლებულიყო კიდეც „ახალი ათენისა და ახალი იერუსალიმის „მისიაში“.

რაც შეეხება „ახალ ნინოს“: ქ-ნი დენიზა სუმბაძე საქართველოს მომაქცევარი, მოციქულთათანასწორი, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის საკუთარი მოღვაწის „ახალ ნინოდ“ მოხსენიებას იმის მინიშნებად აღიქვამს, რომ დასაშვებია „ძველი ნინოს” არსებობაც და რომ წმ. ნინო საქართველოში წარმართული დედაღვთაების მოსახელეა – „ნან” და „ნენ” აკადემიურ მეცნიერებაში ცივილიზაციათა ყველაზე არქაულ ეტაპზე, ანუ ღრმა წინარე ქრისტიანულ ცხოვრებაში დედაღვთაების ცნებასთან არიან გაიგივებულნი.

დასასრულს ერთ მნიშვნელოვან გარემოებაზეც გავამახვილებთ ყურადღებას: ავტორი ერთ კონტექსტში განიხილავს დიდი მოღვაწის ნაწარმოებებს: იოანე-ზოსიმეს „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ” (ენა), გიორგი მთაწმიდელის პავლე მოციქულისადმი მიძღვნილი სავედრებელი (მამული) და დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი” (სარწმუნოება) (თუმცა ეს ძეგლები მთლიანობაში სამივე კომპონენტს ითვალისწინებს), რაც ქართული სახელმწიფოებრიობის საფუძველთა საფუძველს კიდევ ერთხელ ნათლად წარმოაჩენს და სხვადასხვა ეპოქაში მოღვაწე ჩვენი ორი გამორჩეული წინაპრის - გრიგოლ ხანძთელისა და ილია ჭავჭავაძის ეროვნულ მსოფლხედვას ეხმიანება.

სტილის სისადავით, აზრის სიღრმისეულად გადმოცემით, არაერთი ისტორიული ფაქტისა და ლიტერატურული სახის ახლებური ისტორიოსოფიური და თეოლოგიური შეფასებით ქ-ნი დენიზა სუმბაძის „გიორგი მთაწმიდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ” მნიშვნელოვანი შენაძენია ჰუმანიტარული მეცნიერებისა და დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისთვის.

გიორგი ალიბეგაშვილი
რეინ მეტრეველი

თაობის ბიოგრაფია

(ზაირა არსენიშვილი. „ქარი, ამწევი ფარდის“)

თითოეულ ჩვენგანს გულზე გვაქვს გადაფარებული ფარდა, რომლის მიღმაც ვინახავთ გულისნადებს - კარგსა და სასიამოვნოსაც და მტკივნეულსაც. ეს არის ფარდა, რომელიც არ იხსნება არც პირველ, არც მეორე და არც მესამე ზარზე, მაგრამ ზოგჯერ ამოვარდება „ქარი, ამწევი ფარდის“, ააფორიაქებს ჩვენს შინაგან სამყაროს, ემოცია გულში აღარ ეტევა, გახსნის გულის ფარდას და სხვებისთვისაც გასაცნაურდება. თუ ბედმა გაგვიღიმა და ეს ყოველივე ნიჭიერი მწერლის კალამს დაემორჩილა, მაშინ მკითხველი უნებლიეთ ხდება ავტორის გულისნადებთა თანაზიარი. მწერლის შეუვალ პოზიციას სავსებით ეთანადება გრიგოლ რობაქიძისეული პოსტულატი: „ვისაც ხელი შეუშინდება ფარდის ახდისას, იგი მხოლოდ არარაობას შეხედავს“ („გველის პერანგი“).

...და ზაირა არსენიშვილმაც თამამად გაგვიღო გულის კარი – თავისი ახალი ნაწარმოებით შეგვიყვანა მის ფარდისმიღმიერ საკრალურ სამყაროში, სადაც მკითხველის თვალწინ გადაიშალა ჩვენი ქვეყნის ახლო წარსულისა და აწმყოს სულის შემძვრელი სურათები: რეპრესირებული ოჯახები, „ჩარეცხილი“ ინტელიგენცია, დასჯილნი თუ დამსჯელნი, რომლებიც რეჟიმის ერთნაირი მსხვერპლნი არიან.

„ქარი, ამწევი ფარდის“ არ გახლავთ ტრადიციული რომანი ან მოთხრობების კრებული; ნაწარმოები რამდენადმე ბიოგრაფიული ჟანრისაა, მაგრამ არა ავტობიოგრაფიული; მასში გადმოცემულია მტკივნეული ბიოგრაფია გასული საუკუნის თაობისა, რომელმაც საკუთარ თავზე იწვნია ეპოქის სუსხიანი ქარის სიმწვავე. იმავდროულად, ეს არის მიძღვნა ყველა იმ ადამიანისადმი, ვინც „ზაირას ქუჩაზე“ ჩაიარა. დავესესხები ქალბატონ სოფიკო ჯაველიძეს: „ხანდახან კითხვას ვუსვამ საკუთარ თავს, რისთვის მოვედი ამქვეყნადო“ და იქვეა პასუხიც: „ალბათ, იმისთვის, რომ ასეთი მეგობარი (ზაირა იტყოდა, – მეგობრები) მყოლოდა ანუ „მიწყივ გაუყარი სათანადო მოყვასი“, როგორც განგვიმარტავს სულხან-საბა“.

ზაირა არსენიშვილის ეს ნაწარმოები საინტერესოა იმითაც, რომ ყველა პერსონაჟი რეალური პიროვნებაა; აქ არიან ავტორის მშობლები, ნათესავები, მეგობრები, შემთხვევითი ნაცნობებიც კი. ქალბატონი ზაირა აგებს საგანგებო ქარგას და ქსოვს და ქსოვს მისთვის დამახასიათებელი ტკბილმოუბარი ენითა და კილოთი თავისი პერსონაჟების ბიოგრაფიებს. შემოქმედებით პროცესში აქვს „მკერდს მიდებული ქნარი, როგორც უნდა“ და „ისე ხნავს და ისე თესავს, როგორც ეპრიანება“.

ზაირა არსენიშვილის ყველა ნაწარმოებს და, მათ შორის, ამ წიგნსაც ლაიტმოტივად გასდევს მუსიკა, როგორც მწერლის მეორე დიდი ადამიანური სისუსტე და მისი შემოქმედებითი სუნთქვის გასაღები. ავტორს წერისას ერთდროულად კალამიც უკავია და ვიოლინოს ხემიც; ამიტომაც არის, რომ მკითხველს ყურში პერმანენტულად ჩაესმის ბახის, ჰაიდნის, ვერდის, მენლდელსონის, ფალიაშვილის მუსიკის ჰანგები – ზოგჯერ ტყვიასავით მძიმე, ზოგჯერაც პეპელასავით მსუბუქი.

„ქარი, ამწევი ფარდის“ მწერლის მორიგი შემოქმედებითი გამარჯვებაა; ლიტერატურის სამყაროსა და მკითხველისთვის საუკეთესო შენაძენი, ამასთანავე, მრავალმხრივ საგულისხმო და დამაფიქრებელი...

ნანული კუპატაძე

●

მე აგერ ვდგავარ -არსად წავსულვარ...
ან სად გავექცე ჩემ თავს !?.
ფიქრით გატენილ მწარე სასთუმალს ,
დანაღმული რომ ფეთქავს ...
და ვუსმენ, ვუსმენ გრძნობით და ჟინით ,
მოლაპარაკე წუთებს ...
სმენადქცეული გულით და ტვინით ,
სამყაროს ღამეს ვუთევ !..

●

ჩემი სუნთქვით გამთბარი
ერთი ბეწო ოთახი ...
ღების თეთრი ზამთარი
და ბავშვობა მომძახის ...
მეხვეწება, ყელს მიწევს ,
დავბრუნდე და გავართო ...
ოცნებების ხელმწიფე ,
დღესაც ცოცხლობს, თავადობს ...
ჩემი შორი ბავშვობა ,
სიხალისეს მთავაზობს ...
მწვერვალებზე დაფრინავს ,
თეთრ ღრუბლებში ნავარდობს !..

●

შენ ხომ შენთვის წერ ?..
სხვა რა გინდა ... სხვას რას უყურებ ...
შენში მესიტყვე
ღელავს, შფოთავს, იწვის, გუგუნებს !..
გზა გიდევს ვიწრო ,
მარტოობა მიგყვება გვერდით ...
და, მაინც ფიქრობ –
ნეტავ, რისთვის ან ვისთვის ვწერდი ?!..

ძმებს -ზაზას და მერაბის

სუფთა დედა, მკაცრი მამა
და უმცროსი ჩემი ძმები ...
შორს, ბურუსში ხსოვნის სამანს,
ვბერდები და ვეღარ ვწვდები ...
მახსოვს მოჭექილი ზეცა
და ქათქათა თეთრი მთები ...
ვარსკვლავების გულის ფეთქვა ,
მათი იდუმალი ხმები ...
მენატრება თბილი კერა ,
მოგუზგუზე ცეცხლის სუნი ...
თვალწინ ვხედავ სურათს ფერადს
და ბავშვივით მიძგერს გული ...
...
აღარც დედა, აღარც მამა ,
ძმები საფეთქლებში ვერცხლით ...
ხსოვნას- გულის მადლს და წამალს-
დროის მძაფრი სრბოლაც ვერ ცვლის !..

●

აღარ დამთავრდა ჩემი აღმართი ,
აღარ გამოჩნდა თეთრი მწვერვალი ...
თითქოს დავკარგე მე მისამართი ...
და სულიც ჩაცხრა ერთდროს მღელვარი ...
....
არა! ჯერ კიდევ თავზე დამნათის ,
რძისფერ ნისლებში კრთის და ელვარებს!..

ხუმრობანარევი გასაუბრება თავთან ...

ყველაფერი კარგად არის,
ზურიკელა ბიძია ?..
ეგ თოვლივით თეთრი წვერი
იცი, მართლა ვისია?
დავამთავროთ, დავასრულოთ
აქაური მისია,
ჩვენი ჭირი, ჩვენი ლხინი
ვწუხვარ, აქ არ იციან !..
იქ რომ მივალთ და წარვსდგებით
მაშვრალნი და დაღლილნი ,
აღარ გვქონდეს ბეწვის ტოლა
რამე მცირე სამხილი ...
შეგვინდონ და შეგვეწიონ ,
საყვედური გვაკმარონ ...
შეგვხვდეს თბილად, გულკეთილად
საიქიო სამყარო...
...
ხორცი მიწად, მიწა მტვრად და
მტვერი ქარად იქცევა...
თეთრ ქაფს ტოვებს ზღვის ნაპირას
მოქცევა და მიქცევა ...

ლოგიკა

სიჭაბუკე ლოთობაა ...
სიბერე კი „პახმელია“ ...
ხსნა და შვება- იქით წასვლა ,
არყის ჭიქით დაგვხვდებიან ...
დილის ხაშსაც მოგვართმევენ ,
ისე როგორ წახდებიან ...
ჰოდა, ძმაო, იმიტომაც ,
იქ რჩებიან, სახლდებიან ...

თემოს

შე თეთრო დათვის ბელო ...
ჩემო პატარა თემო ,
შენ გამინათე ზეცა ,
ჭერი ასწიე ზემოთ ,
ამ უმარილო ყოფას ,
შენ დაუბრუნე გემო ...
მფეთქავო გულო ჩემო ,
ჩემო თემუჩა, თემო
აღარც სამარე მაკრთობს ,
პირდაფჩენილი ქვემოთ !...

●

როდის მოვრჩები
თავის ძერწვას ,
ნუთუ ვერასდროს ?
ნეტავ იქ მაინც
თუ მოვისვენებ ?..

●

დედამიწა
იქცა მიწად !-
დედა მოკვდა ...

●

აღარ დავლევ, აღარა ,
ამდენმა სმამ დამღალა ...
ახლა უნდა დავდინჯდე ,
შევიფერო ჭაღარა ...
თუნდაც წამლად დამჭირდეს ...
მაინც არა, აღარა !..

●

შემოდგომის ნაღვლიან
და მოწყენილ ბაღებს -
(სულში სიტკბოგარეულ
სინანულს რომ ბადებს ...)
მორევია სიყვითლე ,
მიწაც ყვითლად ბრწყინავს ...
გული მწყდება, ამ სევდას ,
რომ ვერ ვგრძნობდი წინათ ...
ვჩერდები და ყურს ვუგდებ
ბაღის გულის ფეთქვას ...
თითქოს ნაწყენს ჩურჩულით
საყვედური ეთქვას ...
შემოდგომის სევდიან
და მოწყენილ ბაღებს ,
მზეც ყვითელი დაჰღუის
და მიმძაფრებს ნაღველს ...

●

ბოდიში, დღეო გუშინდელო ,
ვერ მოგეფერე !
ან კი რა საქმე მქონდა ისეთი ,
რომ ვერ შეგხვდი და
ვერ გაგაცილე !..
ბოდიში ,
დღეო გუშინდელო ...

ზურაბ ლობჟანიძე

●

ქართველებო! გეკითხებით -
ვართ თუ არა ქვეყანა ? !
აქ მოვედით ჩვენი ფეხით ,
ღმერთმა ერად შეგვყარა ...
თუ ვართ ბრბო და ვართ ნახირი ,
მწვანე მორჩის მძოველი ...
ვიცოხნებით თავწახრილნი ,
როგორც უტყვი ცხოველი !!!

●

უკვე იქაური ვარ ,
(კი არ მივალ, გავრბივარ ...)
მათთვის შინაური ვარ ,
მზიან ბაღში დავდივარ ...
მიღიმიან, მათბობენ ,
სიხარულით ცამდე ვარ ...
გზას უფლისას მაცნობენ ...
კი არ მძინავს - ცხადში ვარ !..

●

დღეს ვართ, ხვალ კი აღარა ,
სად მივდივართ, ნეტავ ?..
მომეძალა ჭაღარა
წვერ-ულვაშში მეტად ...
ფიქრმა მომკლა , დამღალა ,
გზას ვერსაით ვხედავ ...
თითქოს ვხვდები დაფარულს ,
მაგრამ თქმას ვერ ვბედავ ...
მივფრინავ და მოვფრინავ ,
გრძელ განედებს ვკვეთავ ..
დღეს ვართ, ხვალ კი აღარა ,
სად მივდივართ ნეტავ !..

●

დაირეკა ცის ზარი
და დამთავრდა სიზმარი !..
ქვა -ღორღის ყრუ გრუხუნი
და მარადი უკუნი ?..
თუ ცისფერი ციალი
და შარბათი ფიალით ?..

●

რამდენჯერ მითქვამს -დათრობის დედაც !..
ბოლოს და ბოლოს- დამთავრდა მორჩა !..
თუღა დავლიო ამაზე მეტად ,
თუნდაც მომართვან მეფური ხონჩა !..
მაგრამ გავხედავ უბანს და ქუჩას ,
ხის ძირას გაფცქვნილ ხახვსა დ არაყს ...
სიკეთეს პირი არსაით უჩანს ...
ჭუჭყი, პარტახი, მახრჩობს და მზარავს !!!

●

ელვასავით რომ გადაგკრავს ,
შეგაკრთობს და შეგახურებს ...
იმას უნდა დადევნება ,
თორემ სკივრში შენახულებს ...
მთის ჰაერის კი არადა ,
სუნი ასდის არც თუ ტკბილი ...
ლექსი ისე ვინ დაბადა ,
ლექსი არის გრძნობის შვილი ..

რევაზ ჩხარტიშვილი

ნიეთოსოფელი, ანუ ხახალიანი 1924

ფრაგმენტი რომანიდან

ამინდი გაფუჭდა. ნესტიანი სიცივე ძვალრბილში ატანდა. ქარმა წამოუბერა
და თოვლი ჩამოყარა. თოვლი და ტალახი ერთმანეთში აიზილა. სროლები შეწყდა. მტერი მიჩუმდა. მტრის ახალი შემოტევის მოლოდინში მყოფი იუნკრები, თოვლ-ჭყაპით ატალახებულ ღია სანგარში ჩამუხლულები, ამან უფრო დააფრთხო.

– ისე მიყუჩდნენ, როგორც ბუნებამ იცის ქარიშხლის ამოვარდნის წინ, – გაბრაზებით დააღრჭიალა კბილები ერთმა, – წყალი არ გაუვა, რუსები ახალი შეტევისთვის ემზადებიან!

– ეს შობელძაღლები შეტევისა და ბრძოლისთვის ჩამოეთრნენ ჩვენს მიწა-წყალზე, კანფეტების დასარიგებლად კი არა! – შეიგინა ვიღაცამ.

– არაყით ხომ არ გავუმასპინძლეთ ამ ცხვირპაჭუა ლოთებს?

– სჯობს, ტყვიით გავუმასპინძლდეთ...

– მოვიდნენ, დავხვდებით! – მშვიდი და აუღელვებელი ხმით გაეპასუხა ვახტანგ ვაჩნაძე, უფროსი ლეიტენანტი.

ერთმანეთს ამხნევებდნენ საომრად შემართული იუნკრები.

– იცით, ბიჭებო, ვინ არის სანიტარულ რაზმში გამწესებული მოწყალების და?! – დაიძახა ერთმა, სიცილი რომ ჩაწყნარდა.

– ვინა, თქვი ბარემ! – წამიერად გაღვივდა ინტერესი.

– მაყაშვილის ასული!

– ვინა, ვინა?!

– ვინა და, მარიამ მაყაშვილი, პოეტ კოტე მაყაშვილის ასული!

– რას ამბობ, დაუჯერებელია...– გამოცოცხლდა სანგარი.

– თავისი ანგელოზური სილამაზით ისე ანათებს, თვალს ვერ მოწყვეტ!

– სტუდენტი მარო მაყაშვილი?! – გაიკვირვა ვახტანგ ვაჩნაძემ, – მაგრამ, რამდენადაც ვიცი, იგი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტია და არა სამედიცინო ფაკულტეტისა, სანიტარულ რაზმში როგორ აღმოჩნდა?!

– რა გასაკვირია? დღეს ვისაც რა შეუძლია, იმას აკეთებს სამშობლოსთვის! მეტიც, ამბობენ, ბატონმა ივანე ჯავახიშვილმა, უნივერსიტეტის რექტორმა, სტუდენტებს დროებით წიგნზე ხელი ააღებინა და სამშობლოს დაცვისკენ მოუწოდა, სამშობლო განსაცდელშია და დაცვა სჭირდებაო! ასე მოხვდა სტუდენტი მარო მაყაშვილი ტაბახმელის ფრონტზე... იცნობ პირადად?!

– ამის ბედნიერება არა მაქვს! – უპასუხა ვახტანგ ვაჩნაძემ, – ისე, მეც გამიგია, მარო მაყაშვილი ძალიან ლამაზიაო!.

– ლამაზია და მერე როგორი! ომის მომგონს მოუკვდა პატრონი, თორემ მაგნაირ ანგელოზებს რა უნდათ ფრონტზე! მაგნაირები ფანჯრის რაფაზე უნდა შემოსვა, სული სასოებით უბერო და ყურებით დატკბე!

უცებ ვახტანგ ვაჩნაძე თოვლ-ჭყაპით გაჟღენთილი მიწიდან ზეზე წამოიმართა, ტალახში ამოსვრილი შარვალი ჩამოიფერთხა, რაზმს ღიმილიანი მზერა მოავლო და პათეტიკურად წარმოთქვა:

– ჩემო მეგობრებო, რადგან მოწყალების და, სტუდენტი მარიამ მაყაშვილი ასეთი ღვთისნიერი და მომხიბლავია, მზად ვარ, მტრის პირველ ტყვიას მკერდი პირველმა მე შევუშვირო, რათა ჩემი გულის ჭრილობას სათუთად შეეხოს მისი ბროლივით თლილი თითები!

– მარო მაყაშვილს რომ იხილავ, მტრის ტყვია არ დაგჭირდება, ისედაც ღრმად დაიჭრები გულში! – იყო ღიმილიანი გამოძახილი.

– დარწმუნებული ვარ, მეგობრებო, ამნაირი ჭრილობისგან ისევ მაყაშვილის ქალი თუ განმკურნავს! – იცინოდა ვახტანგ ვაჩნაძე.

– აფერუმ, ვახტანგ, – შესძახეს მეგობრებმა და ტაში შემოკრეს, – ეგეთი რაინდული სიტყვები თავისი ყურით რომ გააგონა მაყაშვილის ქალს, დაუფიქრებლად შეგიყვარებდა!

– ვის არ დაატყვევებდა ასეთი სიტყვები!

სანგარში კი თოვდა და თოვდა. ტაბახმელის ველ-მინდვრები თეთრად გადაპენტილიყო. ციოდა, მაგრამ არავინ ჩიოდა. სანგრიდან ამოსული ხმამაღალი ხუმრობა და სიცილ-ხარხარი იქაურობას იკლებდა.

– თუმცა, იმასაც ამბობენ, მეტისმეტად ამაყი და უკარებაა მაყაშვილის ასული, – დააზუსტა ვიღაცამ.

– ლამაზი ქალი, დიახაც, ამაყი და უკარება უნდა იყოს, თორემ, თუ ყოველი შარლატანი მომხიბვლელი ღიმილით უხვად დაასაჩუქრა, სადღა შერჩება კდემამოსილება, პეწი და მომხიბლველობა! – ლამაზი ქალის მიუკარებლობას გულწრფელად ამართლებდა ვიღაც.

– მაგრამ იმასაც ამბობენ, – ყურმოკრული ამბავი გაიხსენეს სანგარში, – ისეთი მომაჯადოებელი, სათნო და ღვთისნიერია, მისნაირებს იშვიათად შეხვდებითო!

– ბევრ ვაჟკაცს აუძგერა გულიო, მაგრამ... თურმე ამაოდ!

– ნამდვილი ვაჟკაცი და რაინდი არ შეხვედრია, თორემ ქალის მოხიბლვას რა უნდა? – გაიცინა ვიღაცამ, – აბა, თუნდაც ერთხელ მოეკრა თვალი ვახტანგ ვაჩნაძისთვის, უმალ შეუვარდებოდა გული!

– რაინდობას დაუწუნებდა თუ აღნაგობას?!

– წყალი არ გაუვა, ვახტანგ ვაჩნაძე ვაჩნაძიაანთ გვარის ნამდვილად ღირსეული წარმომადგენელია! – პათეტიკურად ამტკიცებდა ვიღაც, – ამიტომ, მეგობრებო, გთავაზობთ ყველასთვის მისაღებ წინადადებას და გთხოვთ, მხარი დამიჭიროთ: ამ გამოუცხადებელ და თავსმოხვეულ ომს რომ გამარჯვებით მოვილევთ, გამარჯვებულ საქართველოში პირველი სახალხო ქორწილი ვაჩნაძეთა და მაყაშვილთა საამაყო გვარების ქალ-ვაჟთა შეერთებით აღვნიშნოთ!

– ვაშა�ა! ვაშააა!

ბომბივით იფეთქა გამაყრუებელმა ტაშმა და ხმამაღალმა შეძახილმა.

– და ეს იქნება სამშობლოს წინსვლის, აღორძინებისა და გამრავლების საწინდარი – შინაური და გარეული ურიცხვი მტრის ჯიბრზე! – სიცილით დასძინა ვიღაცამ.

ვახტანგ ვაჩნაძე კვლავ ფეხზე იდგა. ანაზდეულად სახე მომაჯადოებელმა ღიმილმა გადაუბადრა, თვალები ეშმაკურად აუციმციმდა და წამოიძახა:

– მეგობრებო! უდიდესი მოკრძალებით ვიღებ ამ სასიამოვნო და დიდებულ წინადადებას! ღვთის წინაშე გაძლევთ პირობას: ომის შემდეგ სახელოვან მაყაშვილებს თავიანთი საამაყო ასულის ხელი საჯაროდ ვთხოვო და ჩვენს საზეიმო ქორწილში ყველანი მაყრად დაგპატიჟოთ!

კიდევ ერთხელ იფეთქა სიცილის ბომბმა და გამაყრუებელმა ტაშმა, მისი ნამსხვრევები სანგრიდან ხმაურით ამოვარდა და იქაურობას მოეფინა.

– ახლა მთავარია, წითელი ურჩხული დავამარცხოთ და სამუდამოდ უკუვაგდოთ საქართველოს საზღვრებიდან...

გულღიად და ხმამაღლა იცინოდა ვახტანგ ვაჩნაძეც, უყურებდა სიცოცხლით სავსე მისებრ ახალგაზრდა თანამებრძოლებს და უხაროდა: ულვაშაწკეპილი, დარჩეული და ულამაზესი იუნკრები სამშობლოს უანგარო სიყვარულის გრძნობით რომ იყვნენ გაჟღენთილები და ხვალინდელ დღეზე იმედიანად საუბრობდნენ, ხარობდნენ და ლაღობდნენ. იყო სიცილი და ხუმრობა, მტერთან გამარჯვების უდიდესი რწმენა და იმედი, მომავალზე ფიქრი და ოცნება, კარს მომდგარი გაზაფხულის შემობრძანებისა და ამომავალი მზის ბრწყინვალების ხილვის დაუოკებელი სურვილი.

სიკვდილზე არც ერთი არ ფიქრობდა.

არადა, სიკვდილი ნაბიჯ-ნაბიჯ ახლოვდებოდა.

და მალე ტაბახმელის თოვლით გადაპენტილი მიდამოები ამ ულამაზესი იუნკრების სისხლით წითლად შეიღებებოდა.

სამშობლო საფრთხეში იყო. შინაურმა მტრებმა შულავერში, დედაქალაქთან ახლოს, რევოლუციურ-ბოლშევიკური მთავრობა ჩამოაყალიბეს და რუსის წითელ არმიასთან ერთად თბილისისკენ სიკვდილის ცელით გამოემართნენ.

ქართველთა განწყობილება საომარი და მხედრული იყო, მაგრამ წითელ ურჩხულთან თავგანწირული შეტაკება გაუსაძლისი გახდა. ერთმანეთში აირია ტყვიები და ჭურვები, აკაკანდა ტყვიამფრქვევები. ბრმა და ულმობელი სიკვდილი ხან აქეთ დაჰქროდა და ხან იქით. უმოწყალოდ იცელებოდა ახალგაზრდობა, იწრიტებოდა უმანკო სისხლი, წითლად იღებებოდა ტაბახმელის გადათეთრებული ველ-მინდვრები. ყოველივე ამას ნაღვლიანად დაჰყურებდა შავად მოქუფრული ზეცა და თეთრი ცრემლებით დასტიროდა ჩამქრალ სიცოცხლეს – ცივი თოვლის თეთრი ფანტელები მშვიდად ფარავდა თოვლჭყაპიან მიწაზე მიყრილ-მოყრილ ნატყვიართა გვამებს..

მოდიოდა სიკვდილი და მიდიოდნენ იუნკრები სიკვდილის პირისპირ.

ზუზუნებდა ტყვიები, სკდებოდა ჭურვები და იფლითებოდა ქართველ მზეჭაბუკთა ლამაზი სხეულები.

ოღონდ მტერი არ შემოსულიყო დედაქალაქში...

ოღონდ საქართველო გადარჩენილიყო...

მოულოდნელად სანგრიდან ვახტანგ ვაჩნაძე ამოიჭრა და მთელი ხმით შესძახა:

– სამშობლო უფრო მეტია, ვიდრე ჩვენი სიცოცხლე! – შუბლზე ქუდი ჩამოიფხატა და თანამებრძოლებს მოუწოდა, – მომყევით! სიკვდილი მტერს! წინ!

მაგრამ ოციოდე მეტრის გარბენა ვერ მოასწრო, ტყვიამ მოცელა. ჯერ მუხლებში მოიკეცა, მერე წითლად აზელილ ტალახში გაიშოტა. თანამებრძოლებს დაბინდული მზერით გახედა და მისუსტებული ხმით შეუძახა:

– მეგობრებო, არ შედრკეთ, არავითარი უკან დახევა... ეკვეთეთ მტერს, არ დაანებოთ მამული...

დაჭრილთან წამიერად გაჩნდა თეთრხალათიანი მოწყალების დაი. ჩაიმუხლა, თავი წამოუწია, საკინძე შეუხსნა და გაამხნევა:

– არ შეშინდე, მეგობარო, ახლავე გიშველი...

ხმა ისე ნაზი, ისე თბილი და ჟრუანტელის მომგვრელი იყო, დაჭრილმა თვალი გაახილა. ქალი თვალებში უყურებდა. უყურებდა და უღიმოდა. თან წამლების ყუთი გაეხსნა, თან იმედიანი ხმით ამხნევებდა:

– არ შეშინდე, მეგობარო, უბრალო ჭრილობაა, ახლავე შეგიხვევ და ფეხზე წამოდგები... შენ სამშობლოს სჭირდები.

დაჭრილმა თავის წამოწევა სცადა.

– ვინა ხარ, ღიმილიანო ლამაზო ქალო? ასე მგონია, მზე მიყურებს და ის მიღიმის... ვინა ხარ?

– მოწყალების დაი... – იყო ნაზი პასუხი.

– ვინ გაგიმეტა ამ ჯოჯოხეთისთვის... შინ ქმარს უნდა ელოდებოდე...

– სამშობლო განა მარტო მამაკაცების დასაცავია?..

– აფერუმ, შენს ქალობას,– გაუღიმა დაჭრილმა.

– ჩუ, ლაპარაკი არ შეიძლება...

– სახელი მაინც მითხარი, ლამაზო ქალო...

– მარო მქვია და გაჩუმდი ახლა, – გაუღიმა, – არ შეიძლება ლაპარაკი.

დაჭრილი შეინძრა, თავი წამოსწია, თვალები დაჭყიტა და სიხარული და გაოცება ერთად გამოხატა:

– მაყაშვილი?! ჩვენი პოეტის კოტე მაყაშვილის ასული?!

– განა მიცნობთ? – გაუხარდა მოწყალების დას.

– თქვენ ვინ არ გიცნობთ...

– ჩუ, ნუ ლაპარაკობთ...

ჭრილობას დოლბანდით უხვევდა. ტყვიას ღრმად შეეღწია მკერდში. სისხლი განუწყვეტლად დიოდა. მარო შეშფოთდა. საჭირო იყო სასწრაფო ქირურგიული ჩარევა, რაც საველე პირობებში მაროს ძალ-ღონეს აღემატებოდა. დაჭრილი იხტიბარს არ იტეხდა.

– იცით, მაყაშვილის ლამაზო ასულო, ღმერთი არსებობს, რადგან სწორედ რამდენიმე წუთის წინ ჩემს მეგობრებს ღვთის წინაშე მივეცი ფიცი, რომ ომში გამარჯვებას შენზე ჯვრის წერით აღვნიშნავდი... მე სიტყვის კაცი ვარ და პირობას ვერ დავარღვევ, ვერც ღმერთს ვუღალატებ და ვერც მეგობრებს – ჯვარი შენზე უნდა დავიწერო!

– ჩემზე?! – გაუცინა მარომ, – მე არ მითანხმებთ?

– თქვენ მერე შეგითანხმებთ, ჯვარს რომ დავიწერთ...

მაროს გულიანად გაეცინა. ბინტს საგულდაგულოდ უხვევდა. ცდილობდა, სისხლის გამალებული დენა შეეწყვიტა.

დაჭრილი თავისას იმეორებდა:

– მეგობრები ქორწილში მაყრად მყვანან დაპატიჟებული... იმედია, სიტყვას არ გამატეხინებ, – აშკარა იყო, დაჭრილი თავს ძალას ატანდა, რომ სახიდან ღიმილი არ გაქრობოდა. არადა, აშკარად ეტყობოდა, თვალებში სიცოცხლის უკანასკნელი ნაპერწკლები უციმციმებდა, – მეგობრებს ვერ ვუღალატებ...

– მაგრამ ჯერ სიცოცხლის გადარჩენაზე ვიზრუნოთ, – მარო მაყაშვილი ნაძალადევად იცინოდა.

– რადგან ჭრილობას თქვენი გრძნეული ხელი შეეხო, სიკვდილი რას დამაკლებს, მაყაშვილის ულამაზესო ქალო...

ეს ვახტანგ ვაჩნაძის უკანასკნელი სიტყვები იყო.

– მეგობარო, მეგობარო!.. – ამაოდ ჩასძახოდა შეშფოთებული მარო მაყაშვილი სიცოცხლეჩამქრალ ლეიტენანტს, რომლის არც სახელი იცოდა და არც გვარი, – მეგობარო, მეგობარო, გთხოვ, გაახილე თვალი...

ეს სიტყვებიც მარო მაყაშვილის უკანასკნელი ამოძახილი აღმოჩნდა – იქვე ჭურვი გასკდა და მისმა ნამსხვრევებმა

▶▶ დასასრული მე–14 გვ.

●

მე ვარ სიჩუმე,
მყუდროებას არასდროს ვარღვევ,
არავინ მიცნობს,
ვერვის შეხვდები სიჩუმის მნახველს,
ვარ უტყვი სევდა...
სიყვარულის თანმდევი სითბო,
არავინა ვარ,
მხოლოდ სიჩუმის ნიჭი გამომყვა.
ჩემს უტყვ გულისთქმას.
ხან მზის სხივებში,
ხან კი თოვლის ფიფქებში ვმალავ,
არაფერს ვითხოვ,
და თუკი მიხმობ,
მე მოვალ და სიჩუმით მიცნობ.
არავინა ვარ.
ალბათ, ჩემი ლექსის მუზაც
სიჩუმე იყო.

დრო სახელდების

ისე მიგვქონდა შემოდგომა
ჩვენი სულიდან
ფოთოლნაყარზე ავაყვავეთ გაზაფხულები,
გვჯეროდა, კიდე დადგებოდა
დრო სახელდების,
ვაყურადებდით, არ გვესმოდა
მტკიცე ფეხის ხმა.
გვქონდა შეკითხვა და პასუხი,
შეხვედრა ღმერთთან,
ჩვენ ერთმანეთიც შევიძინეთ
ღალატთან ერთად,
ისე დავშორდით საუკუნის გზის გასაყართან,
რომ დაბრუნებით „გამარჯვება“
თავიდან გვეთქვა.
იყო წვიმებიც, უსასრულო ქარტეხილები
არ გვასველებდა, რადგან
ჩვენი ქართული გვეცვა ,
როცა ვისწავლეთ საუბარი უფალო, შენთან,
ნაკლებად შორი მოგვეჩვენა
მიწიდან ზეცა.

ეკას

(საღამოს საუბრიდან)

ღამის ანაზდეულ ლანდებს ვებრძვი,
ვებრძვი ცხოვრებიდან გადმონაშთებს.
წუხელ კიდევ ერთხელ გესაუბრე,
ვძლევთ და უნდა ვძლიოთ კიდე რამდენს?!

სხვა.. სხვა უფრო ნაკლებ, უფრო მეტად,
სულის სამყოფელი ,,გვენაკლმეტა'',
მოდის უნაყოფო ნაირ-ნაირ,
შეპარ-შემალული წარსაწყმედად.

დროის ყიდვა-ყიდვით ვხასიათობთ,
ვკარგავთ ძლივს მიღებულს ნიშანსვეტად.
შანსი მოცემული რარიგ გვიღირს,
რად ვბევრობთ?! რად არ გვეხარბება?!

უფლის სიყვარულით ნაზიარებ-
ქართულს ვილოცებით სადიდებლად,
გული ყოფილაო თვითონ ღმერთი,
ჩვენში ამიტომაც ასე ფეთქავს.

●

არ მინდა, შორიდან გიცქირო სიმშვიდით
შეხედე, იცვლება, იშლება, ამინდი.
ახლოდან-სიშორემ დამღალა, გელევი
მივდივარ, სანამდის შენ თვითონ გამიხდი,

გზადაგზა წვიმდება ხასიათს ვიფარავ,
მივყვები, არ ვიცი, საით და სადამდე,
არადა, ვიყავით, ბუხარი ენთო და...
უთქმელად ვუცქერდით, სინათლის სიმაღლეს,

შეგყვები, შევიცვლი ნაპირებს მოზომილს,
ხან ბრძენად ვიქცევი, ხან ბავშვის სინაზედ,
უჩუმრად, თუ არა, თქმას როგორ გავბედავ.
მოვყვები. სხვადასხვას, ამაზედ, იმაზედ
ახლოდან–სიშორემ დამღალა, გელევი,
კვლავ შენი უთქმელი სიმაღლე იმარჯვებს.

●

ნეტა თუ გინახავს ყვავილობა,
წვიმაშერეული, ნამიანი,
ანდა სიყვარულად მომღიმარი,
გაზაფხულის დილა ადრიანი,
მთვარემ კიდევ ერთხელ გაათია
ღამე, ქუჩა-ქუჩა ხეტიალით,
მე კი გულში ფრთხილად ჩავიკარი
შენი გაუმხელი სითბო,
რა ვქნათ, ასეთია ჩვენი ხვედრი,
გვიყვარს, პოეტებს რომ გვკითხო,
ყველა! ალბათ ასე გიპასუხებთ,
შიგადაშიგ – თითო-თითო.

რა დროს ზამთარიაო, გაზაფხული მაწვიმს და...

ძნელია, მარტომ განვლო ის გზა,
რომელმაც ადრე აქეთობისას მარტო
გატარა,
წვიმს... და რეცხავს სოფლის ტალახით
მოსვრილ შარაგზას,
ირგვლივ სიმშვიდეს არღვევს წვიმის
ჩუმი შემოსვლა,
ფოთლებზე, ქვებზე და ბალახის
ირგვლივ ივსება
მისი დინება ... დინება სოფლის,
ლამაზია, საოცრად შვენის იისფერი,
ცოტა მოლურჯო სივრცე...
ღმერთების თავშესაფარი მარტოობისას
და სიყვარულიც მეფობს თბილი,
უფრო საამო წვეთები გათრობს...
გაზაფხულის შემოსვლა
ანცი ბავშვივით ხტის გარშემო...
მწვანე ტალღები – მდინარეა სულის საფერი.
ვერ დამიფარა დიდმა წნორმა, ბავშობის
კოდთან,
სახლისკენ მივრბი, ფეხშიშველი
და თითქმის სველი.

ჩემი მხატვარი

ჩემი სარკმლიდან ისევ მოჩანს
თეთრი მხატვარი.
კარგა ხანია არ მინახავს
მშვიდად დამჯდარი...
ფეხზე ამდგარა, ხატვის
დრო უკმარებია,
რატომ გათეთრდა?
ყველაფერი გასაგებია.
თმა შეუღებავს და
ფანქარი გასთავებია,
მტკვარი ბობოქრობს,
მღელვარება გადასდებია,
ჩემი მხატვარი ხომ
არც მტკვარია და არც იორია,
უსაქმოდ ჯდომა არც ძნელია
და არც იოლია.
მაგრამ მოვა დრო, გაიღიმებს
ფეხზე ამდგარი,
ახალ საქართველოს დახატავს და
მეც დამხატავს ჩემი მხატვარი.

... ბაბუ...

ფრთხილად, ბაბუ, არაფერი იტკინო!
ჩამესმის სიტყვები , ჩემ ფეხის ხმას აყოლილი.
თვალწინ გაიელვა უდარდელმა ბავშვობამ.
თმაშევერცხლილი, დაჯირკული მხარ-
მკლავით, ცალ ხელში ბუერის ფოთლის
კალათით, რომელიც სავსეა შავთვალა უტკბესი
მაყვლებით... პირჯვარს იწერს და ლოცულობს
მშვიდად.
– რა იყო ბაბუ, ვის ესაუბრები?!
ღმერთს, შვილო.

მარიამ გიგაური

– ღმერთს ხედავ, ბაბუ?! მე რომ ვერ ვხედავ...
– შვილო, ჯერ საუბარი უნდა ისწავლო
ღმერთთან, რომ შემდეგ დაინახო.
– როგორ?!
– აი, როგორც შენ, ჯერ ნაბიჯების გადადგმა
ისწავლე... შემდეგ – სიარული.
სწორი ნაბიჯებით, ბაბუ...

მე და შენ

მე ჩემი გრძნობით დაგტოვე ჩემში,
შენ კი სიცოცხლე მე შემალიე,
შეიცვლებიან წლები მოპარვით,
როგორც ბავშვობა, ისე სიბერე.

გულის რითმები გვექნება ერთი,
შვილებზე ფიქრით გავლენ დღეები,
შენ უჩუმრად და მე კი ლექსებით,
სიბერეს ერთად შევეგებებით.

შენ ჩემი გასვლა გექნება დარდად,
მე ერთი სული, სანამ მოვირბენ,
ვატარებთ გულით ან უფრო ხელით,
სიყვარულსა და ურთიერთმანეთს.

მოხვალ, მომიტან დამალულ გრძნობას,
დაველოდები ღელვით ,,მარტიებს'',
მზერით ჩამიწნავ ჭაღარა თმაში,
მოგეწონაო ? ბევრი ვარჩიე

შენთან ვიქნები ძალიან ახლოს,
ვინძლო სიშორით უკლო მოლოდინს,
საღამოები იქნება ნათლით
დღენიადაგ და ვიდრე ბოლომდი.

იები

აქ მთებია, ახლად ამოსულანო,
გამიღიმე და მაჩუქე იები,
მომეწონა, პოეტურად შეგხედე
და წამოსულს დაგადევნე ფიქრები

და როდესაც დროში გადავინაცვლებ,
სულში მწვდება მე არაგვის შხეფები,
შენ სხვისი ხარ და მე როგორ შეგწვდები,
მითხარი და სახე ჩამოიბანე.

დაბლა დაჰყევ საცალფეხო ბილიკით
და შენს ფიქრებს შეერივნენ ნისლები,
გონებაში დამრჩა შენი ფეხის ხმა,
გულში შემრჩა პაწაწინა იები.

►► მე–12 გვერდიდან

გულ-მკერდი შეულეწა, მაღლა მოისროლა, დაბინდული მზერა სისხლსა და ტალახში აზელილ მიდამოს უკანასკნელად მოავლო, ამოიკვნესა, თავი მოწყვეტით ჩამოუვარდა და მის წინ ტალახში გაშოტილ ვახტანგ ვაჩნაძის ჯერ კიდევ თბილ გვამს ზედ გადაემხო...

მერე ორივენი ერთად, ტაბახმელასა და კოჯრის მიდამოებში ტყვიით განგმირულ ახალგაზრდებს შორის გოლოვინის პროსპექტზე, მთავრობის სასახლის გვერდით, რუსული სობოროს გალავანში დაკრძალეს...

ვინ იცის, რამდენი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა კოჯრის მისადგომებთან გამართულმა შემზარავმა უთანასწორო ომმა.

ტაბახმელაზე ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი ქართველ იუნკერთა დიდმა ნაწილმა.

მტერი დედაქალაქში შემოვიდა.

დაიხშო კარები. დაიგმანა ფანჯრები. ჩაჟამდა და ჩამუქდა თბილისი.

ცას ბინდისფერი გადაეკრა.

გოდებდა ქართველი ერი. ერთდროულად გლოვობდა თავისუფლების დაკარგვასა და უამრავი ახალგაზრდის დამიწებულ სიცოცხლეს.

გოდებდნენ მაყაშვილები.

გამშრალი ცრემლებით ტიროდა საკარძელში მისვენებული მაროს საყვარელი ბებია, ქართველი ხალხის სახელოვანი მწერალი, ღრმა სიბერეში შესული, გამხდარი და დალეული ეკატერინე გაბაშვილი.

მაყაშვილებს მთელი თბილისი უთანაგრძნობდა. საქართველოს კუთხე-კუნჭულს მოედო მაყაშვილთა შემზარავი ტრაგედიის ამბავი.

საქართველო მაყაშვილთა გოდებით გაიჟღინთა...

მერე, როცა შვილისა და სამშობლოს თავსდატეხილი უბედურება თავით ფერხთამდე გაიაზრა, ქართველმა პოეტმა ყოველივე ეს სულისშემძვრელი პოეტური სტრიქონებით გამოხატა:

„არც სიცოცხლის, არც სიკვდილის
აღარა მაქვს ხალისი:
თებერვალმა დამიზამთრა
სამუდამოდ მაისი!..
გულზე სევდა შემომაწვა თავის
მძიმე ლოდებით,
საქართველო გაიჟღინთა
მაყაშვილთა გოდებით“.

კოტე მაყაშვილის უზომო მწუხარებას იმ დღეებშივე გამოეხმაურა ახალგაზრდა პოეტი ზალიკა ონიანი ერთობ გულის ამაჩუყებელი ლექსით:

„გულმოკლული **მამა გლოვობს**
შვილს, დაღუპულს კოჯრის გზაზე,
ურჩხულებთან მებრძოლ ქალწულს
შეაცივდა მზერა თვალზე.
შვილისა და ქვეყნის ხვედრმა
მამა მწარედ დააგლოვა,
მწუხარება, სევდა, ცრემლი
გულმა ერთად დააგროვა.
ვინ ჩაწვდება მამის ვარამს,
გაუნელებს ვინ დარდ-ნაღველს,
დღეს თეთრად ვინ გაუთენებს
შავი დღის და ჭირის მნახველს.
იქით შვილის დარდი კლავს და
აქეთ ქვეყნის ჭირ-ვარამი,
ნაღველი რომ გაუქარვოს,
ეგულება მას არავინ.
ნამაისარ საქართველოს
თებერვალში დაუზამთრდა,
იუნკერთა გულში ცეცხლი
სულ ამაოდ ამოზავთდა.
სისხლითა და მწუხარებით
გაიჟღინთა მთა და მდელო
და გოდებას მაყაშვილთა
იზიარებს საქართველო“.

(1921 წელს გულისტკივილით დაწერილი ეს ერთადერთი ლექსი ავტორს 1937-ში გაუხსენეს ბოლშევიკებმა, კოტე მაყაშვილი კი ამ დროს ათი წლის გარდაცვლილი იყო). ■

ქორწინება ზეცის ასულთან

ბორის დავითაია

ნაწარმოები მწერლის სახეა, მისი სინდისი, მისი ნიჭიერების გვირგვინი. ნამდვილ შემოქმედს მუდამ ან ხმალი ეპყრა ხელთ, ან „თაიგული“. ამიტომ ან სიკვდილს ელოდა, ან სიყვარულს. ეს ჭეშმარიტება ახალი არ არის.

ქართული მწერლობა პერიოდულად განიცდიდა ხან ირანული, ხან არაბული, ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში კი, ევროპული და რუსული ლიტერატურისა და კულტურის გავლენას. ეს გავლენა ძირითადად გარეგნული ფორმით იჩენდა თავს და. რასაც შემოქმედნი უფარდებდნენ ქართულ ტრადიციულ ხასიათს. მათი მიზანი იყო, ქართულ ნიადაგზე გადმოეტანათ ყოველივე ის, რაც თვალსაჩინო და მნიშვნელოვანია. ეს იყო მისწრაფება, გაემდიდრებინათ თავიანთი ქვეყნის ლიტერატურა და არა ის, რომ უბრალოდ გადმოეტანათ ისინი. თარგმნიდნენ ნაწარმოებებს, სიახლე შემოჰქონდათ ქართული ლიტერატურის აზროვნებაში. იყო მცდელობა ქართული თემატიკიდან განსხვავებული სიუჟეტის ქართულ ნიადაგზე დანერგვისა .თემატური, ჟანრობრივი ნაწარმოებების სტრუქტურულ ფორმათა გამრავალფეროვნებისა. მაგრამ არა მდაბალი ხარისხის, ზნეობრივად მიუღებელი და ანტირელიგიური თემებისა.

შემოქმედებითი პროცესი რთული ფენომენია, მის შეცნობას მრავალი თაობის ღვაწლი შეელია და სრულყოფილი პასუხი ჯერ ვერ გვიპოვია. ევროპეიზაციის პროცესში ჩვენი ურთიერთობა გარე სამყაროსთან კიდევ უფრო გაიზრდება, რაც არამც და არამც არ ნიშნავს ერის ტრადიციებისა და ეთიკის გაუთვალისწინებლობას.

შემოქმედება სიცოცხლესავით არის – თუ გაუფრთხილდები და ნაყოფიერად იღვაწებ, გაიმარჯვებ. თუმცა, რა გამარჯვებაზეა ლაპარაკი?.. ალბათ, საკუთარ თავთან გაჯიბრებაზე! ხელოვნებას მარადიული დანიშნულება აქვს. სხვა დანარჩენი, რასაც დედამიწაზე მიწიერი კეთილდღეობისთვის ვიუნჯებთ, წარმავალია. სადაც არის საუნჯე ჩვენი, იქ არის გული ჩვენი. შემოქმედება სარისტაა ღვთიური და უფლისგან მომადლებული უნარი, გამოავლინო საკუთარი განცდა, ვნება და ფიქრი. იგი მშვენიერებასავით აუხსნელია; გულთამპყრობელია სიყვარულივით. მარადია სიბრძნესავით. ეს გახლავთ რწმენა თუ როგორ ემსახურო ქვეყანას, ხალხსა და თავად ხელოვნებას.

შემოქმედება პოხიერ ნიადაგზე ხარობს. ზოგჯერ დაუნდობლად გაგვრიყავს, როგორც ზღვა ცარიელ ბოთლს, თუმცა სინდისის ხმა მთავარია და, კიდევ, მუდამ უნდა გვახსოვდეს: ლოცვა, დიდსულოვნება, წინაპრები, სამშობლო და მეგობრები. ამასთან, შემოქმედმა არ უნდა დაივიწყოს ხუთი რამ, რაც გვამდაბლებს: ღალატი, სისუსტე, შურიანობა, უზნეობა და უსამართლობა.

ხელოვნება სულია გონიერი. იგი ცოცხალივით გრძნობადია.

შემოქმედება სამყაროსთან თანაზიარების მძლავრი ბერკეტია. ადამიანი მუდამ მარადისობასა და მშვენიერებას დარაჯობს ამით, როგორც მეციხოვნე გალავნის კარიბჭეს. იგი ყველა ფენასთან გვაკავშირებს. მოგვაძებნინებს სულით მონათესავე ადამიანებს. ხშირად სხვებს მიგვაბაძვინებს. ჩაგვახედებს საკუთარ გულსა და სულში და ასე გვხდის მარადისობისა და მშვენიერების მეხოტბედ...

შემოქმედება სულისთვის, ამაღლებული გრძნობებისთვის გამართული დოღია. ჯირითში ის იმარჯვებს, ვისაც უფლისგან მომადლებული აქვს, ზიდოს მძიმე ტვირთი და შესწევს ძალა სიცოცხლის, სიყვარულისა და სიკვდილისა.

ხელოვნებამ მყარი ადგილი დაიმკვიდრა კულტურულ-ისტორიულ ყოფაში. ის არ ჩაკარგულა საუკუნეების ცვლის პროცესში. პირიქით, ამაღლდა, გაიფურჩქნა, სიმწიფემ სიტკბოება შესძინა და აი, უკვე დიდი, ძალიან დიდი ხანია ნეტარგვყოფს. იგი არც შემთხვევითი და არც მარტოხელა ფენომენია. მან სავსებით აღიქვა წარსულის ბინდში მინავლებული ხმები და მრავალმხრივ ამომზიანდა.

ხელოვნებას ამკობს მონათესავე დარგები. მათ შორის ლიტერატურა ერთ-ერთი წარმმართველია. პოეზიამ, პროზამ ოდითგანვე დაატყვევა მკითხველი და ჰყავს წინამორბედები, სულიერად ახლოს მდგომი, მისივე თანამედროვე უფროსი თაობის წარმომადგენლები, ერთმანეთისგან განსხვავებულნი, რაც მათი სახეა და ღირსება. მათ ყოფთ გეოგრაფიული, ნაციონალური და აღმსარებლობითი თავისებურებები, მაგრამ ყველა ისინი რაღაც გარკვეული სულიერი ტონალობით ერთმანეთის ახლობლები არიან.

სულიერ-კულტურული დახვეწილობის თვალსაზრისით, რაღაცნაირად, ისინი თითქოს ერთნი არიან. ალბათ მრწამსით, პათოსით, ამაღლებული განცდებითა და შფოთვით, სიცოცხლისა თუ სიკვდილისადმი დამოკიდებულებით. გამსახურდია, ფლობერი, ტაბიძე, ემილ ზოლა, ასათიანი, დოსტოევსკი – თითქმის თანამედროვენი არიან ჩვენი სახელოვანი წინამორბედები. რამდენად განსხვავებულიც უნდა იყოს ეს გვარები შემოქმედებითა და გამოხატვის საშუალებებით, მათ ბევრი საერთო ის აქვთ; რომ მათ აერთიანებთ სიყვარული სამშობლოსადმი და დიდი ხელოვნებისადმი.

ახალგაზრდობა მომავალია, მათი ენერგია, კატეგორიულობა და ფანტაზიის უნარი მომეტებულად კვებავს ხელოვნების ნებისმიერ დარგს – ასე ყოფილა და ასე იქნება მარადის. ერთ-ერთი ფრანგი მოაზროვნე განმარტავს, რომ „ახალგაზრდობა – ეს არის გამოუფხიზლებელი სიმთვრალე, ესაა გონების ციებ-ცხელება“.

თაობათა როლი ხელოვნებაში მთავარი მამოძრავებელი ბერკეტია. სხვანაირად ქვიშის სასახლეებს დაემგვანებოდა ყოფა ჩვენი. ახალგაზრდობას ზედაპირულობა და სიღრმისეული განსჯის უნარი აკლია, მაგრამ მომადლებული აქვს ემოცია, გამოხატვის საშუალებები... ისინი ვირტუალურ სივრცეს არიან მინდობილნი. დღეს არსებობს ინტერნეტსივრცე, რომელსაც სიამოვნებითა და აქტიურად იყენებენ. ვეთანხმები ავტორს, რომელმაც ბრძანა: „ხშირად მათი სათქმელი აბსურდული და გადაფასებული ღირებულებების მქონე გარემოს ადეკვატურია. ის, რაც სჭირს სამყაროს და ზოგადად მათ სამშობლოს. ეძებენ ახალ ფორმებსა და ახალ ესთეტიკას, უფრო რადიკალურები არიან შეფასებებში, და არა საკუთარ შესაძლებლობებში“. ...დიახ, ემოცია და სურვილი დიდი ძალაა, მაგრამ ჭეშმარიტებას რომ მიაკვლიო, საკმაო ღვაწლია საჭირო.

ყველა დროს საკუთარი სარბიელი აქვს. დღევანდელი ახალგაზრდობა რეალური ჟამის შვილია, როცა ქვეყანაში შინაომი, ქაოსი და განათლების მოშლისა და ტრადიცია-ზნეობის გაუფასურების დრო მეფობდა, როცა უცხოური უხეშად შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში, რამაც შვა აუარება პრობლემა და სულიერი დეპრესია გააბატონა, ამან ახალგაზრდების ნაწილს იაფი ცხოვრებისა და უცხოსადმი მიბაძვის სურვილი გაუჩინა. ამან ცინიზმით სავსე და თვითკმარი ადამიანები მოგვიმრავლა .

მოვიდა თავისუფალი ნების თაობა. შემოქმედებაში გამოხატვის ახალი ფორმითა და ზოგჯერ ხელოვნების ერთჯერადი გამოყენების ხიბლით კმაყოფილი. ყველაფრისადმი პროტესტისა და საკუთარი სექსუალური ორიენტაციის საქვეყნოდ დამკვიდრებისა და უფლისადმი პროტესტის გამომხატველი. რაც ზნეობისა და ტრადიციის დამანგრეველია. ხელოვნება ვერ იქნება ნებისმიერის სურვილს მორგებული. ამბობენ: „ხელოვნება აკეთილშობილებს ადამიანს. სისადავე, სიმართლე და ბუნებრიობა – აი, მშვენიერი სამი პრინციპი. ხელოვნების ყოველი ნაწარმოების ძალა და ღირსება“. დიახაც, სხვა მუდამ ნაცარია, ხანძრის შემდეგ რომ რჩება და გადასაყრელი ხდება.

ახალგაზრდობა ენთუზიაზმია, დაუდგრომელი ძალა, გაუკვალავის გამკვლევი. ურომლისოდ წარმატება, როცა ხელოვნებაზე და, კერძოდ, ლიტერატურაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება, საკითხი განვიხილოთ ევროპული კულტურული ფონის გაუთვალისწინებლად. რამდენად თავისებურიც უნდა იყოს, არასწორი იქნება ქართული თემების ევროპულიდან ჩამოშორება.. შეუძლებელია, გავავლოთ კედელი და ავაშენოთ ისეთი გალავანი, რომელიც დაგვაშორებს თანამედროვე მიმდინარეობებთან. ახლა ევროპა ახალ სულიერ ძიებაშია, რაც გაუცხოებას არ გულისხმობს. პირიქით, გლობალიზაციისკენ გვიბიძგებს.

როგორც ჩანს, ჩვენი კავშირი ევროპის სულიერ ძიებებთან თანხვედრაშია და ამას ახალგაზრდობა უფრო მასშტაბურად გრძნობს. ძნელი არ არის კაცობრიობის კულტურის ისტორიაში ისეთი მაგალითების მოძიება, რომელიც გვიჩვენებს, რომ ერთი და იგივე იდეა და მენტალიტეტი ერთდროულად მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში გამოვლენილა.

შექმნა კი ჩემმა თაობამ სულიერი „სიმდიდრე“. ან რა აქვს გულსაოხი? თაობათა შეპირისპირება მუდამ არსებობდა. ჩემს თაობას მოუწია პოლიტიკურად ორი განსხვავებული საუკუნის გასაყარზე მოღვაწეობამ. ჩვენ მივაღწიეთ დამოუკიდებლობას, ქმედებითა თუ ლოცვით ავისრულეთ სანუკვარი წადილი, თუმცა დავთმეთ ძირძველი აფხაზეთი და სამაჩაბლო, რითაც მარადი საწუხარი გავიჩინეთ. ეს არის 60-65 წელს მიღწეული თაობა, რომელსაც ბოლო ოცდახუთი-ოცდაათი წელი მოუწია გაუსაძლის პირობებში შემოქმედებითი მოღვაწეობა და გადარჩენა. სახელმწიფოსგან უყურადღებობას გაუძლო და „ჩარეცხილებად“ მონათლვას გაუმკლავდა. გამოავლინა გარკვეული გამბედაობა და, ავად თუ კარგად, ახალგაზრდობას უჩვენა საკუთარი სახე და შესაძლებლობები... სიყვარული შემოქმედებასა და, საზოგადოდ, ხელოვნებისადმი. ზოგიერთმა დატოვა ქვეყანა, მიუხედავად ამისა, სულიერი კავშირი არ გაუწყვეტია დედა სამშობლოსთან და ეს გახლავთ მძლავრი სტიმული და დიდი ძალისხმევა წარმატებისა. თუკი მხოლოდ მიწიერს ვაგროვებთ, მიწას ვერ ავცდებით. ჩემმა თაობამ მოახერხა შეენარჩუნებინა ლიტერატურაში გარკვეული სიმაღლის თამასა, რაც ბობოქარი დროის პირობებში მოხერხდა.

მიმაჩნია, რომ შემოქმედებითი პროცესი ქორწინებაა ზეცის ასულთან. მუდმივი წარმატება არ არსებობს. არსებობს ცალკეულ ნაწარმოებთა გაბრწყინების პროცესი. არც იმის მჯერა, რომ ხელოვნება დაბერდება, საკუთარ თავს ამოწურავს – იგი მარადიული და უკვდავი პროცესია. ჩვენ ვერ გადავარჩენთ ხელოვნებას, საკუთარი თავი უნდა გადავირჩინოთ ხელოვნებით. ■

ზურაბ ყოლბაია (იმიერი)

სვეტიცხოველი

როდესაც მწუხრი შეანელებს დროის დინებას
და მთვარის შუქზე გამოჩნდება ტაძარი ღვთისა,
როდესაც დაღლილ ანგელოზებს ჩაეძინებათ
და შორით ისმის უკუნეთში შრიალი ტყისა,
როდესაც სიზმრებს დანებდება ირგვლივ
ყოველი,
ჩვენს ტანჯულ სულზე იწყებს ლოცვას
სვეტიცხოველი.

●

ღმერთები ციდან სიყვარულით ქარგავენ მიწას
და უშურველად ისვრის ისრებს ცელქი ამური.
ბულბული ტყეში უზენაეს კანონებს იცავს
და გაზაფხულზე ისმის უკვე ხმა საამური.
კეთილი სიო აკავშირებს ყვავილთა ამბორს,
როდესაც ია თავდახრილი სიყვარულს ელის,
ბებერი მუხაც მონუსხული რაღაცას ამბობს
და ხმები ისმის მოჩურჩულე თეთრი ენძელის.
ლოდი ისრუტავს ნაკადულის გემრიელ
ტალღებს,
პეპელას სძინავს გაბრუებულს ნექტრის
სურნელით
და ორაგული აზვირთებულ მდინარეს არღვევს,
თბილი ნიავით ეკლებს ითბობს შავი კუნელი.

თვით სიყვარული ემზადება საგაზაფხულოდ,
ზოგჯერ ეშმაკიც კი მოიწყენს უსიყვარულოდ.

●

ბედმა არგუნა, შეებრძოლოს თევზი მდინარეს
და ორაგული მოთმინებით მიაპობს ზვირთებს,
თავზე დაჰყურებს გაწამებულს ბედი მცინარე,
მაგრამ ტანჯული ბედისაგან ყველაფერს
ითმენს.
ბედი ამსოფლად უამრავჯერ შეიცვლის იერს,
ფრთებით შეგმოსავს, ან მოგიქნევს
მზაკვრულად მახვილს,
მაგრამ იცოდე, საბოლოოდ უმართლებს
ძლიერს,
ისევ ბედისგან დატანჯულს და ტანჯვათა
მნახველს.
ფრთხილად გაჰყევი ბედის ბილიკს, ნუ
შეჩერდები.
სულთა სამრეკლო კვლავაც ბევრჯერ
გასაცვეთია,
რადგან ძლიერებს მფარველობენ თვითონ
ღმერთებიც,
შენი მფარველიც ამ ბილიკზე ისევ ღმერთია.

თუ შენს ბილიკზე აღიმართა რკინის კედელი,
იყავი თავად საკუთარი ბედის მჭედელი.

სილვას

წისქვილის პირას ისევ ჩქამობს პატარა ღელე,
გოლიათ დოლაბს ყოველ დილას აწვება მკერდით.
იმ ნაკადულთან ალიონზე ვიბანდი ხელებს,
ჩემი ნაგაზიც მუდამ მახლდა ლანდივით
გვერდით.
ღრუბლის ქულებში იძინებდნენ ლაშარის მთები,
ბებერი მუხის მდუმარებდა გამხმარი ტოტი,
მის უძლურებას ამშვიდებდა მდინარის ხმები,
მთვარის ნათელში დარაჯობდა საფლავებს ჭოტი.
ახლა მე ვდგავარ შემოდგომის სუსხიან ღამეს,
მარგუნა ღმერთმა ერთი წამით წარსულის ხილვა.
მე ველოდები, თითქოს მუხა მიამბობს რამეს,
მე ვიცი, ახლა ჩემთან არის ერთგული სილვა.

მუხის ტოტები შემოდგომის ქარმა არხია,
მუხასთან ახლოს ჩემი ძაღლის ნეშტი მარხია.

●

მე დავინახე, გაგიშალა ქარმა დალალი,
უსულიანი დაგიფარა გოროზი ყელი.
უბეს გინათებს, გიმზეურებს ქარვა და ლალი,
როგორ ვინატრე, იმ ქვებისთვის შემეხო
ხელი.
ეგ შენი კაბაც ხომ სხეულის ნარნარს
მიჰყვება,
ზოგჯერ მაცდურად გაგიშიშვლებს ბარძაყის
თამთამს,
თითქოს მზაკვრულად, შენი გულისნადებს
მიყვება,
როცა ღიმილით ჩამოუშვებ მაგ კაბის კალთას.
შენი თვალები ფიქრი არის ნისლის სადარი,
როცა ახლოს ვარ, რად მიყურებ დუმილით ასე
და ნებიერი ეგ ღიმილი მაშინ სად არი?!
მიუწვდომელი ოცნება ხარ ფიქრებით სავსე.

ფიქრის გორა ხარ, ფიქრის ტალღა, ფიქრის
თვალები,
ჩემი ოცნებით შენს ფიქრებში დავიარები.

ჩემს ვაშლის ხეს

შენ დაგეუფლა, დედოფალო, მდუმარე გლოვა,
ახლა დროებით სილამაზემ სიმშვიდე ჰპოვა.
გამოიდარებს, გაზაფხულიც სულ მალე მოვა,
როცა გაქრება მაგ ნაღველში ფიფქების თოვა.
გადაილია შენს ფოთლებში თებერვლის ნარმა,
მე დავინახე, უმოწყალოდ წაიღო ქარმა.
მნათობის სხივებს აირეკლავ ჩუმი ნარნარით,
გამომაღვიძებ სურნელებით, დილის ბაღნარით.
შენ არ გიხდება, დედოფალო, მდუმარე დარდი,
უკვე ბაღნარში ალისფერი იშლება ვარდი.
მილეულ ფოთლებს სევდიანი უღონოდ გაშლი,
აღარ იმწიფებს მაგ ფოთლებში ედემის ვაშლი.

ბაღის ვარდებთან გაჯიბრებას ვეღარა ბედავ
და იმ ბაღნარში მარტოობის დაგაჭკნო სევდამ.

ვნება

მე ამ სოფელში ვერვინ დამიშლის,
რომ შევიყვარო თვალები გიშრის,
ხშირად მერევა გრძნობა მზაკვარი,
მინდა გავუყვე მთრთოლავ ნაკვალევს.

მთვარეს ადნება შენი არსება,
ნაზი სხივებით გიყვარს ავსება.
ვნებით ტანჯული ბაგე სახისა,
მათრობს სურვილი მისი ნახვისა.

თეძოს ტალღებმა ვნება დამიდნო,
სული მიბნია, აღარ დამინდო,
ზანტად მოგყვება ასე გორებით,
ვერვინ შეხედავს საღი გონებით.

უბეში ქორფა მარგალიტები,
გაყუჩებულან, როგორც გვრიტები.
მონუსხული ვარ მათი შეხებით,
ტანში მივლიან ვნების შხეფები.

მინდა ბაღნარი შენი დატოვო,
რომ ჩემს ტაძარში დაგიმარტოვო.

●

ოცნებით შენთან ვიქნები,
გალობით მიხმობს მზეწვია,
შენ დაგიმონე ფიქრები,
ღამით ოცნება მეწვია.
შენს სასთუმალთან არა ვარ,
შენთან სარეცელს არ ვიყოფ.
ქარით გავყვები ქარავანს,
რომ შენი დარდი არ ვიყო.
ვარდებში მესმის კვნესა მე,
ვიარე ეზო-ეზო და
ვიხილე ვარდი მესამე,
ალბათ, სიზმარში კვნესოდა...

ახლა ხომ მარტო არა ვარ –
ქარით გავყვები ქარავანს.

●

მე შენ გეფერები
მწვანეთვალებიანს,
მათრობს ეგ ფერები,
ვნების ხალებია.
თეთრი მტრედებია,
ღამით მედებიან,
ფრენას უნდებიან,
დილით დუნდებიან,
ჩემი მკლავები კი
მათი ხუნდებია.

●

ის ლამაზი მიხვრა-მოხვრა
სიბერეში დაგრჩა ოხრად,
ახლა შენი გულიც ოხრავს,
როცა წელში გიჭირს მოხრა.
უკვე არსად არ გელიან,
ეგ სოფელიც დაგელია,
ის მშვენება წარსულია,
შენგან უკვე წასულია.
რატომ დარჩი ასე მარტო,
ერთდროს ტურფა ტუზის კარტო?!

●

შენ ჩემი ვარდი ხარ, ამბორი მუშკისა,
გალავნის მიღმა რომ ციხეში ელვარებ
და მე ვარ მებაღე იმ ციხე-კოშკისა,
შადრევანს გაპკურებ ბაღნარში მღელვარე.
შენ ჩემი ვარდი ხარ, მე – შენი დარაჯი,
სისხამის მყინვარის მორჩილი მძევლები,
ულმობელ ზამთარში გაცვეთილ ფარაჯით
ვნებისგან გათანგულ ფოთლებზე გევლები.
მე შენი ფერები მათრობენ დღე-ღამე,
არ ვლამობ მოწყვეტას სხივნამი ფოთლების,
მშვენებას უშურველს მრავალჯერ ვეღამე,
უჩუმრად შემახე მდუმარე ორთქლები.

მაგ შენი ხატების მომინდა ალერსი,
ხელი ვერ შევახე შენს ეკლებს ალესილს.

კვირიას სალოცავი

როცა გაფანტავს დილის ბურუსს
სხივები მზისა,
ათასფერებად მოხატული
სინაზე მინდვრის,
მთელი სიცხადით წარმოაჩენს
მშვენებას ღვთისას
და ამ სიუხვეს,
გადმონთხეულს ხატებად ცისკრის.
გრძნეულ ხელოვნის ნამოქმედარს,
ნააზრევს მისას
ვუცქერ და... მიკვირს –
რატომ არ ვუსმენთ ყოველ დილით
გალობას ღვთისას?!
ვუსმენ და... მიკვირს.



ვაჟა ჩორდელი

ჭინჭარი

სწორედ ასე იყო იმ წლის აპრილობას! ქვემხურვალი ერთიან რომ მოაწვა მიწის პირს და სიცოცხლემაც გულიანად ამოხეთქა – ამოიშალ-ამობიბინდა ყველა და ყველაფერი, ერთი სიტყვით, გაზაფხულმა რომ მოიხედა, ფედოსიმ შავი ნაჭრის ორი მოგრძო ტომსიკა და გაცრეცილი ხელთათმანი ხელჩანთაში ჩადო და გარეთ გაიხედა...

...კი იყო ახლა ფედოსი სამოცდაათ წელს გადაცილებული, მაგრამ ისეთი „მოვლილი“ და „ნაპატივები“ გახლდათ, ამ ხანობის მიუხედავად, ჭარმაგ კაცებზე რომ არაფერი ვთქვათ, უხნეოებსაც კი გაურბოდათ თვალი მისკენ, აპა!

...რა მაგის პასუხია და, ფედოსის ქმარი ადრე გარდაეცვალა, უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა ცხონებული ვლადიმერი. უშვილოდ დარჩენილ ერთობ ლამაზ ქვრივს ბევრი მთხოვნელი, მოძალე და „მოჩალიჩე“ კი ჰყავდა, მაგრამ სხვა კაცთან ბღლარძუნს (ფედოსი ამ სიტყვით გამოხატავდა ქალისა და კაცის ჩახუტებას!), ქვრივობა არჩია.

ფედოსის, ამ დედაქალაქობაში, სიბერის იმედად, ნათესავებიდან დის შვილი, მისი ცოლი და მათი ორი „ბაღანა“ ჰყავდა... ნოტარირებული ანდერძიც მათზე ჰქონდა დაწერილი – ჩემი გარდაცვალების შემდეგ, ყველაფერი, ჩემი უძრავ-მოძრავი ქონება, თქვენ გეკუთვნითო, ასე მთავრდებოდა შავი ძაფით „გაკოჭილი“ და ორ ბეჭედდასმული ორი მოყვითალო ფურცელი...

...გარეთ გასული ქალბატონი ახლა უკვ მეტროს ვაგონში იჯდა და თავის „მეტოქეს“, ხნემოწეულ ფიქრს, გვარიან გაჰკიდებოდა.

„...მაინც რა არის წუთისოფელი... ზოგი ადრე მიდის ამ ქვეყნიდან, ზოგიც – გვიან!.. ზოგი ნაადრევად იბადება, ზოგსაც ნამეტანი დააგვიანდა დაბადება... ალბათ, ზოგი, საერთოდ, არც უნდა დაბადებულიყო!.. ვინ მართავს ამ ყველაფერს, არავინ იცის!.. ისე, მეც კარგა ხანს შემოვრჩი ამ სოფელ-ქვეყანას... თუმცა რა არის შვიდი ათეული წელი, არაფერი! კარგად შვიდჯერ უკან მიხედვაც კი ვერ მოვასწარი!.. ცხონებული დედაჩემის მამა ოთხმოცდაცხრამეტის წავიდა ამ ქვეყნიდან... საუკუნე ჩამამთავრებინეო, ერთი გაზაფხული მაკლიაო, დღეცისმარე ეხვეწებოდა ცისა და მიწის გამჩენს... თურმე დროს შენთვის არ ცალია, არ გელოდება, გარბის და გარბის... ვინ იცის, ან ვინ მეტყვის, კიდევ რამდენი გაზაფხული დამრჩა!.. ალბათ, ცოტა!.. მაგრამ ეს ცოტა რამდენია?.. მოდი, ამაზე აღარ ვიფიქრებ... იმაზე ვიფიქრებ, აი, სანამ გაზაფხული ზაფხულის კარს გვარიან შეაღებს და ბალახეულს გასახმობად შეიტყუებს, ამ მეტროს შემოგარენის გარდა ქალაქის ტყეპირებსაც ჩამოვუვლი, რომელი სამძიმო და საჩოთირო საქმე ესაა... ერთიც კია, ამ სიბერეში მუხლსაც გავიმართავ... ისე, მოუსვენარი რო ხარ, სულ რაღაც გინდა აკეთო, თვარა, დასამარხი ფული კი მაქვს გადადებული... მეტიც, იმ გამოფსკვნილ ცხვირსახოცში ბრილიანტის ბეჭედიც კი „მოვაყუჩე...“ პატარა თხოვნაც ჩავდე შიგ: ჩემი დის, ჩემი ტყუპისცალის მკერდზე დამასაფლავონ!.. ჩემი ქმარი და მისი მშობლები ერთმანეთს უჩემოდაც მიხედავენ საბურთალოს სასაფლაოზე... დიდ, შავი მარმარილოს ქვაზე, ტან-ფეხიანად დახატული, ერთნაირი სახის ორი ლამაზი ქალი, გამვლელ-გამომვლელისთვის ძალიან შთამბეჭდავი იქნება!.. რამდენი კაცი იტყვის, აფსუსი არაა, ასეთი უმშვენიერესი ქალები მიწაში იწვნენო?.. დაგიდგა თვალი სიკვდილოო!.. რა ამის პასუხია და უჯიშო და უგვანო მთავრობა შემოგვაჩეჩეს უცხოელებმა! ესენი ნაციონალები კი არა, უციონალები არიან! კაცობისა და ეროვნულობის არაფერი გააჩნიათ! სირცხვილი არაა?.. ერთხელ შეძენილ სასაფლაო ადგილს, ორ მეტრ მიწას, იმდენჯერ მოგყიდიან, რამდენი მიცვალებულიც გეყოლება?!.. არადა, მკვდარს დაუმარხავს ხო არ დატოვებ?!. გარდაცვლილებით ვაჭრობს ქალაქის მერია!.. ესეც არ აკმარეს ხალხს და ამასწინეებზე ისიც კი თქვეს, სამ დღეზე მეტს თუ გააჩერებ მიცვალებულს სახლში, ჯარიმას გადაიხდიო!.. მთელი საქართველო უცხოეთშია გაკრეფილი, აქამდე რო კაცმა ჩამოაღწიოს და ახლობელი დაიტიროს, ფულს რო თავი დავანებოთ, დრო ხომ უნდა! სადამდე მიგიყვანეს, სადამდე!.. ვაი, შენ ჩემო ბედკრულო ქვეყანა! მე რო მოვკვდები, მომეწიეთ უკან, თქვე უსინდისოებო, თქვე გათახსირებულებო, თქვე მდაბიურნო, თქვე მათხოვრებო, თქვენა!..

...ამასობაში ვაგონები გაჩერდა... ფედოსი ორიოდ წუთში უკვე ესკალატორის კიბეზე იდგა და იმაზე ფიქრობდა, ამ წინაგუშინ დღეზე რო ვნახე ამოქუჩქუჩებული ბალახ-ბულახი და ჭინჭარეული, სხვებმაც ხო არ მოათვალყურეს, ხო არ დაიგუმანეს და მერე მოკრეფაც ხო არ დამასწრესო...

...“სარაჯიშვილის“ მისადგომები, მოგეხსენებათ, გზაგასაყარი ადგილია და ყოველთვის ბევრი ხალხი ტრიალებს. ასე იყო იმ დღესაც!

მეტროდან გამოსულმა ფედოსიმ გეზი იქეთ აიღო, სადაც გაზაფხულის „ნობათი“ ეგულებოდა. გზად ჯერ ყვავილების გამყიდველს ჩაუარა, მერე გაზეთების ჯიხურს ჩასცდა, იქით-იქით გაუყვა, შუქნიშანთან მარცხნივ, თემქის დასახლებისკენ შეუხვია და პირდაპირ პატარა „ფერდობს“ მიადგა, მერე ცოტაოდენზე შეიწია, შეჩერდა, ჯერ აქეთ-იქეთ მიმოიხედა, თვალი უკანაც იბრუნა, ღრმად ამოისუნთქა კიდეც, მერე ტომსიკები ამოიღო და საქმეს მიჰყო ხელი.

...მოლოქი და ბალბა, მზის საწიერზე, ისე ამოზრდილ-ამოშლილიყო, მიწის საქებარ ენას პირში ვერ დაიტევდა ადამიანი... ეს ხომ ასე იყო და იყო, მაგრამ გაკვირვებას ის უფრო იწვევდა, რომ აქა-იქ მგლიხორხაც კი მოჩანდა... ამის შემხედვარეს, შეიძლება ეჭვიც კი გასჩენოდა, ამაში კაცის ხელი ხომ არ ურევიაო...

...თავწახრილი ფედოსი ღვთის ნაჩუქარ „მოსავალს“ იღებდა.

...ავტობუსების გაჩერებაზე ერთმა, კაცსაც რომ ჰგავდა და არც ჰგავდა, ბარე ორის გასაგონად ჩაილაპარაკა:

– წეღან რომ გვერდით ჩაგვიარა, ისაა! ის ლამაზი ქალი და ქალბატონია! მარა, რად გინდა, ისე „გემრიელად“ მოგვაფშკვირა თეთრი უკანალი, მგონია, სამახსოვრო სურათებს გვიღებს!..

– სურათების რა მოგახსენო, ძამია, მარა, ერთი ნამდვილად ვიცი, მაგი ახლა ჭინჭარსა და მის მისაყოლებელს კრეფს, მერე მხალეული რომ გააკეთოს და მირთვას... კუჭმა და შიმშილმა ლამაზი და ბრუციანი არ იცის, მისთვის ორივე ერთია! – ასევე სხვების გასაგონად თქვა მაღალმა კაცმა და ფედოსის საჯდომს თვალი მოარიდა.

...ამ ორმა ჩალაპარაკებამ მთელი „გაჩერება“ ხალხი ფედოსის უკანალისკენ მიახედა.

...ქალბატონმა ერთი ტომსიკა მოლოქით, ბალბათი და კიდევ რაღაც თავფართე ბალახეულით მოაშუაგული, მერე კი, ბუჩქების გაყოლებაზე, ამოლორთქოებულ ჭინჭარს მიადგა. ნამეტანი მწარედ „იკბინებოდა“ მცენარე, ხელთათმანშიც კი ატანდა წვრილ-წვრილი „შხამიანი ნემსები „.

„...იმდენია, დაკრეფას ვერც აუვალ... ზევითაც ბევრი ჩანს... ეტყობა, ყველას დავასწარი! ბაბუა იტყოდა ხოლმე, ადრე ამდგარსა კურდღელსა, ვერ დაეწევა მწევარიო! ძალიანაც კარგი!.. საღამომდე სამ-ოთხ ტომსიკას გავყიდი, მერე სააღდგომო სუფრისთვის რაღაცეებს შევიძენ, ხელდამშვენებული უნდა გავიდე ჩემი უდროოდ წასული დის საფლავზე!.. დავასუფთავებ, მოვამწყაზარებ იქაურობას... ჩემი სამუდამო საცხოვრისიც ხომ იქ უნდა იყოს... ცას ვინ გამოკერებია, მე რომ გამოვეკემსო... ერთია, იმაზე მწყდება გული, ბერწი გამოვდექი, დას ვერ დავემსგავსე და მონაგარი ვერ დავტოვე... ეეეჰ, ფედოსი, ფედოსი აზნაურის შვილო, მალე დამთავრდება შენი გაზაფხულიც!..“ – ბოლო სიტყვები გარკვევით ჩაულაპარაკა ფედოსიმ საკუთარ ყურებს, მერე ტომსიკაში ერთი მუჭი ჭინჭარი კიდევ ჩაყარა, წელში გასწორდა და ღრმად ამოიხვნეშა.

...ტომსიკებით „ხელდამშვენებული“ ფედოსი გაზეთების გამყიდველის გვერდით გაჩერდა, მერე იქვე მიყრილი და მიტოვებული ბლოკის ნარჩენები მიადგმოადგა ერთმანეთს, „სკამი“ გამოაკოწიწა, ზედ ტილოს ნაჭერი გადააფარა და ჩამოჯდა.

– სადაურია ეს ბალახეული? – უმალ იკითხა ერთმა გამვლელმა.

– ქართულია, ბატონო, თურქული არ გეგონოთ! – პასუხი შეაგება ფედოსიმ „კლიენტს“.

– რა ვიცი, კაცო, ყველანაირი ნაგავი იქედან შემოდის და რაღა ეგ იქნება აქაური! – ცალყბად ჩაილაპარაკა პირველმა „კლიენტმა“ და გზა გააგრძელა.

– ნაგავიო! უყურე შენ ამას? წყალში არ ჩამიყარა მთელი შრომა? ნაგავი შენ თვითონა ხარ, შე საცოდავო! – გაზეთების გამყიდველის გასაგონად, ფედოსიმაც „კაი-კაები“ დააწია გამვლელს.

– რა ღირს ბალახი? – იკითხა ახლა გზად წამით შეყოვნებულმა ბუთხუზა კაცმა და ტომსიკას ხელი მოუჭირა.

– ეს, ბატონო, მარტო უბრალო ბალახი არაა! კუჭ-ნაწლავის უებარი სამკურნალო საშუალებაა! – „დამოძღვრა“ მეორე „კლიენტი“ ფედოსიმ.

...მერე და მერე ბევრმა იკითხა, რა ღირს ბალახიო, მაგრამ ნაღდი მყიდველი არა და არ გამოჩდა.

...ხალხის მიდი-მოდიში, ერთი ბრგე, ჟღალწარბებიანი გამვლელი, ფედოსის წინ, რამდენიმე მეტრის მოშორებით, ჩამოსასხმელი ლუდის ჯიხურთან გაჩერდა, სიგარეტი იყიდა, გახსნა, გააბოლა, მერე საათზე დაიხედა და აქეთ-იქეთ დაიწყო ყურება.

დიდი გამოსაცნობი არ იყო, კაცი ვიღაცას უნდა შეხვედროდა...

– შესანიშნავი მხალი კეთდება, შესანიშნავი! შეიძინეთ ახლადდაკრეფილი ნამდვილი ქართული ჭინჭარი თავისი სანელებლებითა და საკმაზებით! – კიდევ და კიდევ შეახსენა ფედოსიმ აღმა-დაღმა მოსიარულე თანაქალაქელებს.

...ქალის ხმამაღალ „მოწოდებაზე“ ყური გაექცა ახოვანს. მერე ბრგე შებრუნდა და თვალით დაუწყო ძებნა „მეჭინჭრეს“.

– ჭინჭარი, ქართული ჭინჭარი იაფად! ჩვენებური ჭინჭარი, ჩვენებური საკმაზები! – არ მოასვენა გამვლელები ფედოსიმ.

„– ეეე, ბიჭო!.. ეეე, ვალერიანოვიჩ!.. კარგად დაუგდე ყური ამ ხმას, ბიჭო!.. კარგად მოუსმინე, ბიჭო!.. არც–მეტი, არც–ნაკლები, ეს ფედოსიას ხმაა, ბიჭო, ფედოსი აზნაურიშვილის ხმა, ბიჭო!.. არა მგონია, ვცდებოდე! ეს ქალი ნაღდად ფედოსიაა! კი, კი, ფედოსიაა, ბიჭო!.. არაფერი არ მეჩვენება – არცა თვალისჩინ და არცა ყურთაკენ!.. ისაა, ის! იმის ხმაა!.. ჭაბუკობის დროინდელი, პირველი შეყვარებულის ხმაა, ბიჭო!.. აუუ, რამდენი ხანი გავიდა მას მერე?!. ალბათ.... ალბათ კი არა, აგრეა, შალიკო ბატონო, აგრე!.. ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა მას მერე! – გადაუთვალა შალიკომ წლები თავის თავს და გააგრძელა, – ყველაფერმა იცის გადაფასებაო, ამანო, იმანო, გადავიწყებაც იცისო, ესაო, ისაო!.. მარა, შენც არ მომიკვდე, ასე არ ყოფილა!.. ფაქტი აგერაა, ბატონო, ააა, ჩემ ცხვირწინ! თუ ის მართლა ფედოსიაა, რას არ გავიღებდი, რას არ მივცემდი მის ჩასახუტებლად!.. ავცუნდრუკდებოდი და აქვე, ხალხის წინ ჩავეფსკვნებოდი!.. კი, კი, ნამდვილად ვიზამდი ამას, მარა!.. მარა, მაინც რა იყო ის დასაქცევარი დრო, მაგის დედა ვატირე, ჰა!.. კომუნისტების მოსვლის მერეც „ჭრიდა“ ჩამომავლობა და ამიტომაც იყო, რომ აზნაურიშვილობით დამჩაგრეს მაგისიანებმა და ფედოსი სხვაზე გაათხოვეს, არადა, მე მოვწონდი, მე მეპრანჭებოდა ჯაფარიძეების პრინცესა... ახლაც მახსოვს მისი სიტყვები, თუ ივარგებ, გამარჯვება შენ დაგრჩებაო!.. მარა... მარა, ვერ ვივარგე მაშინ, სიჩაუქე ვერ გამოვიჩინე!.. ვერ გამოვადექი საკუთარ თავს და ქალიც სხვამ წაიყვანა!.. არადა, რა იყო ის დღეები, როგორ სხვანაირად ბრუნავდა ჩემი სამყარო მაშინ – ფედოსი რომ ორღობეში გამოჩნდებოდა, მზე მაშინ ამოდიოდა ქვეყნიერების თავზე... რო ჩაათავებდა სოფლის ყურეს, ქუფრი და უკუნი ჩამოადგებოდა იქაურობას!.. ყველაზე მეტად ის მახსოვს, სოფლის კალოზე მოზვრებს რომ ვეჭიდავებოდი!.. ბარეორი აზნაურიშვილი დავაჩოქე მაშინ, წაქცეულ პირუტყვს მივუწვინე გვერდით, მარა, რაში გამომადგა, არაფერში, ფედო მაინც სხვას გაატანეს!.. გულდამწვარი ბიჭი ვიყავი, როცა ჯარში წამიყვანეს!.. სიყვარულში დამარცხებული შალიკო ვალერიანოვიჩი. უკან აღარ დავბრუნებულვარ, დავრჩი და დავსახლდი იმ უკიდეგანო და დასაქცევარ ჩრდილოეთში... ახლა აქა ვარ, აგერ, თბილისში, ჩემს უბერებელ ქვეყანაში... სტუმრად ვარ ჩამოსული... შვილები და შვილიშვილები ჩრდილოეთში არიან... რუსმა დედამ გაზარდა ჩემი ბიჭები... იმათ ჩემი გვარი და იერი აქვთ, მეტი არაფერი... აზნაურის ქალო, როგორც არ უნდა გაგიკვირდეს, ჩემ ცხონებულ მეუღლესაც ფედოსია ერქვა სახელად... შენი მოსახელე რომ იყო, იმიტომ უფრო შევირთე ცოლად... ისიც შენსავით ლამაზი ქალი იყო... არა, არა! ახლა გატყუებ! შენ უფრო ლამაზი იყავი მაშინაც და ახლაც უფრო ლამაზი ხარ! შენ მთელ ჯაფარიძეებშიც შეუდარებელი იყავი...“ – ფუტკრის გასაყარ სკასავით არეულმა ფიქრებმა ქვეყანაზე შემოატარეს შალიკო.

– მოლოქი, ბალბა, ჭინჭარი იაფად!.. შეიძინეთ გაზაფხულის ნობათი! – ისევ შეეხმიანა გამვლელებს ფედოსი.

„– ბიჭო, შალიკო, მეტი აღარ იფიქრო!.. ეგ ქალი ფედოსია ჯაფარიძეა, ბიჭო!.. მთელი შენი არსებობა რომ გიყვარდა და ახლაც რომ გიყვარს, ის ქალია,

►► დასასრული მე–18 გვ.

ნაუწყვეთები

ძველი რვეულიდან

პაწაწინა ბოროტი

ძნელი არ არი მიხვედრა,
რაც ესიზმრება მელასა,
ხრიკების ოსტატს და ჩამწყობს,
მომჩვარულს, ჩუმჩუმელასა,
ზედვე ეტყობა სიგლახე –
გულნამცეცს, კვერნისყელასა.

შემზარავი სურათი

ნაგავში იბურჯგნებიან –
კაცნი, ძაღლნი და კატანი,
გადაწურვიათ აშკარად,
იმედი თავის გატანის.

ჭამისგან გაგუდული გუდურა

იყო და არა იყო რა,
რაც კი შეეძლო, იღორა,
ის გასახეთქი მუცელი
ვერაფრით ამოიყორა,
ცხონებულ ლუარსაბივით,
ტახტზედაც ბევრი იგორა,
ცოლი შეიკლა: სოსისი
მომიხარშეო, „ნიკორა“,
არ ღირდა მისი ცხოვრება
დაბზრიალებულ ჩიკორად.

მუცელზე მხოხავები

აქამდე შერჩათ მონებს და ლეკვებს
სახელი, ფეხთა ლოკვით ნაშოვნი,
რა ქნან, ჭირდებათ პატივი, კვება,
ძალზე მომრავლდნენ დედალ-მაშონი.

მგლეჯელები

შეხეთ ამათ საქციელს,
რამ გამოგვატენტერა,
დაგვაქციეს, აქციეს
საქართველო ტენდერად.

შავი იღბალი

გაყიდული საქართველო
სანამ უნდა კლან და კლან?
თუ საშველი არ დაგვადგა –
ასე ვივლით კლანდაკლან.

გამძღარი პარლამენტარი

სხვას – სასახლე, გალავანი
მე – არც ღობე ძეძვის,
კორუფციის ფალავანი
კორუფციას „ებრძვის“.

ყურისწამღები ზრიალი

ჩართულია ჩვენს ქუჩაზე
დიდ-პატარა „დვიჟოკები“...
საღამოთი რომ ჩავდივარ,
ვყრუვდები და ვიშოკები.

სამარცხვინოდ გავაჭრება

ყოველ კუთხე-მოსახვევში
კაზინო და პიცერია,
ყველგან ხელი მოგვეცარა,
სიკეთე არ გვიწერია.

თვალთმაქცი

(მომრავლებული კასტა)

ვიცი, ვინცა ხარ, არ გამიცვნიხარ
გუშინწინ და არც გუშინ,
მიხვედრილი ვარ შენს თახსირობას,
მოხვედრილი მაქვს გულში.

რად უნდა ამას ბჭობა და ნახვა,
ხარ ნეხვი, სიაბანდი,
სულ იბანდები, როცა იქნება,
შენივე დაგცემს ფანდი.

აღარაფერს არ გავს

არც კაკაოა, არც ყავა,
არც მდინარეა, არც ხევი;
არის მინდვრები – სარწყავი,
არის ლექსები – სარწყევი.

თვალებს ვერ მისწორებ

პირწავარდნილო აგენტო,
შენ როგორ უნდა გაგენდო?!

დაუსჯელი ყაჩაღები

მიესივნენ საქართველოს,
იქეთ ის და აქეთ – ეს;
გადაიმხეს ყველაფერი,
დიდი ფული აკეთეს.

ხვალის დღე და მომავალი
არავის ენაღვლება,
გაგონილა ხალხის ასე
უმოწყალოდ გაყვლეფა?!

შეჯამება

ვერავინ იტყვის, სად არი
სასუფეველი სულთანი,
ბოლო ყველასი ერთია –
მეკურტნეა თუ სულთანი.

ჩვენ სხვაგვარები ვიყავით

გამძლე უბედურების,
ჟამმა ვერ დაობა,
ხერხელმალმაგარია
პატეფონის თაობა.

ამაზე მეტი რაღა დამემართოს

(ოფიცერთა სახლის კაფესთან)

ვის ბანკს დავეცე ან სად
ვიპოვო საბაცაცო,
რა მივუტანო ოჯახს,
ხელი რას უნდა ვტაცო?
ჩამოთხოვილი ფულით,
ლუდზე მპატიჟებს ფაცო.

დავასკვენი

ჩაწყობილი თუ გაქვს საქმე,
გაგაჩერებს „გაიც“ ვერა,
ვერ დაითვლი, იმდენია
ფუთლუხი და გაიძვერა.

მწერალთა კავშირის სიგლახენი

ზედ გაშარდავენ აშორდიები,
აშმორდნენ, სიტყვა საქმეს გაშორდა;
კაცს ძვირად ნახავ, ჩამწკრივებულა –
მთელი არმია დედალ-მაშოთა.

გველის ჯიში

მსხვერპლს დაშხამავს წამის უმალ,
თუკი სადმე დაიგულა,
შეკრულია ეს წუპაკი
გესლის, ბოღმის თაიგულად.

აფუნია

რომ არ იციგნო, არ იხიმანო,
ისე რას გაძლებ,, ჩემო იმანო!

ჩამწყობნი

მუდამა აქვთ სამარქაფო,
„შავი ხმები“ – შვიდი თუ რვა,
ეხერხებათ, ძაღლთაპირებს,
ყველა შანსის გადაწურვა.

ასე ვფიქრობ სახლიდან გასული

ნეტა სადმე არ შემხვდეს
(ეშმაკს მისი ტანი) –
ერთი ჯუჯა, შავგულა და
შავსათვალიანი –

ის მაკაკა, მოკუნკული,
ცურცლი ერთი ციდა –
სულიც, ხორციც, ყველაფერი
ფულზე რომ გაყიდა.

დაჩამიჩებული გაიძვერა

ნეტა სულ არ გამეცანი,
გაქუცულო ფარსადან,
მიმქარველი, მოღალატე –
სუყველაფერს ქარს ატან.

გაფუფუნებულ ვირეშმაკას

გეტყვი, თუნდ ბოლო მომიღო,
ეგ სახე ეჭვებს მასევს –
მართლა პოეტი რომ იყო,
ვერ იცხოვრებდი მასე.

გველის ნაშობი

დილაც რომ იყოს, ვიტყვი: დაღამდა!
აცეცებ თვალებს, დასხმულ ეკლებად,
ათასში ერთხელ დაგინახავ და
მაშინვე გულზე შემომეყრება.

ვერაგობის ეტალონი

ეს იყო შხამით ავსება ფიჭის,
და კარგად ვიცი, გაკეთდა რადაც;
გვამი უგვანი და ხელის ბიჭი,
დამგვანებია სანაგვის კატას.

მეთავისენი

სუყველა წილშია –
„იწილო, ბიწილო...“
შენ ასე ქესატად
დარჩები, ბიძილო,
ჭირს ვერ აიცილებ,
რაც უნდა იცილო,
ყელში ამოხვედი,
თვალთმაქცთა ფიცილო!

რატომ მიწა არ გასკდება

კლასიკოსად რომ დაგვიჯდა
და თავი გაიაკაკა;
სინამდვილეში ქაქია
ეს მოკუნკული მაკაკა.

ჭკვიანი კლიენტურა

მოხერხებულნი, ცხოვრების
რომ გაისწორონ ხოში,
თავიანთ სკლინტებს ტენიან
ფულიან ორგანოში.

წესასაგები

ხშირად შეტევა მიწევს მარტოს,
ქვემძრომთა მემარჯვება მკობა;
მინდა ზოგიერთ ტიპს მივმართო:
თქვენო უკაგებეშნიკობავ!

მოგინგრევ სიფათს – უშნო სახეს,
ნულარ იკითხავ: რისთვის? რატო?
ბილწო, რაც გინდა, დამიძახე,
თუ სათრეველად არ გაგხადო.

ბუტა ფორია

გაგრძელება იქნება

▶▶ მე–16 გვერდიდან

ბიჭო!.. რიონი, ბიჭო, მთაში აშვებული და ქვემოთ დაშვებული, გადარეული წყალიც რო ჩერდებოდა მაგის შეხედვაზე, ის ქალია, ბიჭო!.. რავა ვერ იცანი, ბიჭო?!“ – ჟღალწარბებიან ჩაუქს ყურში ჩაუძვრა ორეულის ხმა.

„– ვიცანი, კი ვიცანი, მარა, რა ვქნა ახლა?...“

„– რა უნდა ქნა და მიდი და გამოეცნაურე!.. დავიჯერო, ასე ძალიან გრცხვენია, ვითამ?!“

„– რავა მცხვენია, შე კაცო, მარა... შეიძლება ფედოსია არცაა და მისი ტყუპისცალი, ანასტასია ჯაფარიძეა, მერე? მერე რა ვქნა?.. იმას ხო არ ვეტყვი, ერთმანეთისგან გასარჩევი ხალი რო გაზის ლავიწთან, კაბა გადაიღეღე და ის ადგილი მაჩვენე-თქვა!..“

...ამასობაში ფედოსის წინ ოთხი, ლამაზად გამოწკეპილი, ახალგაზრდა გაჩერდა.

– ქალბატონო! გარე ვაჭრობა რომ აკრძალულია თბილისში და, განსაკუთრებით მეტრო სადგურების მისადგომებთან, თქვენ რა, არ იცით? თუ პირველად გესმით? ტელევიზორს არ უყურებთ? – კუშტი დაიდო სახეზე ოთხი მომხვდურიდან ერთმა.

– ეს რა გარე ვაჭრობაა, შვილო!.. რის ვაივაგლახით რაღაც ორი ტომსიკა ჭინჭარი დავკრიფე, აქამდე მოვიტანე და იმას ვყიდი!.. ნახე, შვილო, ნახე, ხელები ხელთათმანებშიც კი დამესუსხა!.. რო არ მიჭირდეს, გიჟი ვარ, ჭინჭარი ვკრიფო?.. თქვენი ხელმწიფის პენსია წამლებში არ მყოფნის!.. გაძვირებული პური და წყალიც ხომ მინდა? მინდა, ხომ? ჰოდა, ახლა, სააღდგომოდ ერთი კექსი რო ვიყიდო და ხუთი კვერცხიც შევღებო, იმის ფულს ვაგროვებ!..

– დედაჩემიც გამიხდა, რა!.. კვერცხები ცოტა ხომ არაა? ორიც ხომ არ დაგიმატო?.. ხენდრო გაქვს? კიი? ძალიან კარგი!.. – წამით შეჩერდა მოლაპარაკე, მერე თანმხლებ პირებს მიუბრუნდა და თვალებწამოქაჩულმა, ირონიით გააგრძელა, – ნახე, თუ ძმა ხარ, ნახე, რა გაზიზინებული ქალია!.. რა ეტყობა ახლა ამას გაჭირვებული ცხოვრების?! არაფერი!.. უბრალოდ, პრეზიდენტზე განაწყენებულთა ბანაკიდანაა და, თავის ჭკუით, ხელს უშლის ქალაქის კეთილ ცხოვრებას!.. ქალბატონო, – საჩვენებელი თითი ლამის ცხვირთან მიუტანა იმ მოლაპარაკე ბიჭმა ფედოსის, – ჩვენ ქალაქის მმართველობიდან ვართ, შემთხვევითი გამვლელები არ გეგონოთ!.. კარგად დაიმახსოვრე, უკან გამოვლაზე თუ აქ დამხვდი, ამ ბალახ-ბულახსა და ჭინჭარეულს, ზოგს ნაგვის ურნაში ჩავუძახებ, ზოგსაც თავზე დაგაყრი!.. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქალაქის ახალ კანონსაც კი, გარე ვაჭრობის აკრძალვაზე რომ გამოვიდა, ახლაც მატყუებ! კიი, მატყუებ!.. გუშინწინაც მითხარი, აქ აღარ დავდგებიო, ქალაქს საერთოდ მოვცილდებიო და დღეს ისევ აქ დგახარ!.. გაგვიუბედურეთ ქალაქი ტყიდან ჩამოთრეულებმა! სირცხვილია და ასჯერ სირცხვილი თქვენნაირი ადამიანების არსებობა!.. რას იტყვიან ჩამოსულები, ტურისტები და კიდევ სხვა მოსიარულე, რა ამბებს ჩაიტანენ თავიანთ ქვეყნებში?! იმას, რომ თბილისელები ცივილიზაციას აცდენილი პირუტყვები არიან, ჯერ კიდევ ბალახს ჭამენო!..

– შვილო, – შეაწყვეტინა ლაპარაკი ფედოსიმ მომხვდურს, – გუშინ და გინდაც გუშინწინ, როგორ მნახავდი, დღეს მოვედი პირველად!.. მე კი არა, შენ იტყუები და თანაც მწარედ!.. მეორეც, როცა იძულებით აყრილ ხალხზე ლაპარაკობთ, პირი კარგად გამოირეცხეთ შენც, შენმა პრეზიდენტმაც და ბარე-ორმა პარლამენტარმაც! თქვენ მგონი ისიც არ იცით, რომ ლტოლვილობაც თქვენი უტვინობის ბრალია!.. ისე, ჩემნაირი შეხედულების ქალი, გუშინ და გუშინწინ რო ნახეთ თურმე ამ ადგილზე, დღემდე თუ ვერ დაიმახსოვრეთ თქვენ და თქვენმა მმართველებმა, კარგად გქონიათ საქმე! ნამეტანი კარგად!.. – იქეთ „შეუტია“ ფედოსიმ მომხდურებს.

– შენთან ლაპარაკს არ ვაპირებ, მე ჩემი გითხარი! აქ აღარ დამხვდე! – მკაცრად თქვა ქალაქის მმართველობის წარმომადგენელმა და გზა-ჩამოვლა გააგრძელა.

„– ჯანდაბაში წასულხართ! ჯანდაბას იქითაც, თქვე არაკაცებო!“ – თვალი და ჩუმი ჩალაპარაკება ერთად გაადია ფედოსიმ მომავალ „ქალაქისთავებს“.

შალიკომ მაშინ გამოიბერტყა ყური, როცა ოთხი ბიჭი თვალს მიეფარა...

– ჭინჭარი, მოლოქი, ბალბა! – ისევ „გაახმოვანა“ სავაჭრო „ობიექტი“ ფედოსიმ და ისეთი მონიშნებით ჩაიქნია ხელი, ძნელი მისახვედრი არ იყო, მომხდურების წყევლა და კრულვა დააყოლა მოძრაობას.

„– მოიცა, კაცო, მოიცა! რა თქვა იმ ჩემანალამ? რა უთხრა ამ ლამაზ ქალს? რაიო, კაცო? ზოგს ურნაში ჩავუძახებო და ზოგსაც თავზე დაგაყრიო? უყურე შენ ამ კაცობისგან გარეცხილ მამაძაღლს!.. მობრუნდით და მერე ვნახოთ!.. ახლავე იცოდეთ, ეს მანდილოსანი ფედოსიც რომ არ გამოდგეს და თქვენ ისე მოიქცეთ, როგორც დაიბარეთ, ყოფის დღეს მაინც გიტირებთ, ღდინს გაგიერთიანებთ!.. რას მიქვია, ჭინჭარს თავზე გადააყრი!.. შე საცოდავო, შენა, დღეს მგონი, ცუდ ფეხზე ხარ გამოსული სახლიდან!..“ – თავი დააკანტურა შალიკომ, მერე სიგარეტი დაანაფაზა გულისძირ, მერე, იქით-იქით, მაჯებიც გვარიან მიმოისრისა.

– ჭინჭარი! ჭინჭარი! – ისევ შეეხმიანა ფედოსი გამვლელებს, მერე კი წყრომით ჩაილაპარაკა, – წელს რა გაუყიდაობის ჭირი ეტაკა ამ ოქროსავით ჭინჭარს, შარშან აქვე, ათ წუთში ორივე ტომსიკა გავყიდე და ისევ წავედი დასაკრეფად!.. ის ამოსაწყვეტი ბიჭი შეიძლება მართლა მობრუნდეს და ალიაქოთი ამიტეხოს. მერე რა ვქნა? მოდი, ცოტას კიდევ მოვიცდი, თუ ვერ გავყიდე, იმათ რომ დავლანდავ, დავავლებ ხელს ჩემს ჭინჭარს და აქაურობას იმათ გარეშე გავერიდები! – დაალაგა „საქმე“ ფედოსიმ და მეტროს შემოგარენის ტერიტორია ჭინჭარ-ჭინჭარის ძახილში იქამდე მოათვალიერა, სადამდეც თვალისიერი გაუწვდა.

„– არა, დაფიქრებაც არ უნდა, არა, ეს ფედოსიაა!.. აზნაურიშვილების პრინცესა!.. მაგის ხმას რა დამავიწყებდა? დრო?! არ დაიჯეროთ! ნამდვილი სიყვარული დროსა და ჟამსაც კი ახუნებსო, ბაბუაჩემი იტყოდა ხოლმე!.. ჰო და ჰო!.. არ უნდა ახლა ამას ბევრი ბჭობა და საკუთარ თავთან ქიჩმაჩი, მივალ, მივუახლოვდები და გამოვეცნაურები!.. შალიკო ვარ-თქვა, ვეტყვი!.. რაჭული კორიდა არ გახსოვს-თქვა!.. მოზვრებს რო ვეჭიდავებოდი-თქვა! დიდი და პატარა მე რომ მიყურებდა-თქვა?! მერე ნახეთ, რავა ჩამომცვივდეს ღაპაღუპით ცრემლები!.. დარწმუნებული ვარ, ფედოსიც იტირებს!.. ახლაც ყურში ჩამესმის მისი ნათქვამი, თუ ივარგებ, გამარჯვება შენ დაგრჩებაო!.. იმ ძველ ამბავს ერთად გამოვიტირებთ! რავა, შე კაცო, ძველ სიყვარულზე რო ვიტიროთ, არ შეიძლება?.. მარა, მერე? ტირილს რო მოვრჩებით, რა ვქნა? ტომსიკებს რა უნდა ვუყო?.. მოდი, ჯერ ვიყიდი ჭინჭარს, ცოტაზე თვალს მივეფარები, ფუთებს ნაგავში მოვისვრი და მერე გამოვეცნაურები!.. მოიცა, შალიკო, მოიცა! უმალვე რომ ფეხს ვიბრუნებ და ვეტყვი, ფედოსი რომ ხარ, გიცანი, მე შალიკო ვარო, ხვაშიადი წაუხდება და არ მეტყვის, რომ ფედოსიაა! აზნაურის ქალია და დაირცხვენს!.. იმაზე დაირცხვენს, ჭინჭარს რო ყიდის შუა ქუჩაში!.. ამის გამო არ მეტყვის, რო ფედოსიაა!.. ისე, თუ მართლა ფედოსიაა, რა გაუჭირდა ისეთი, ჭინჭარს რო ყიდის? შვილები რო არ შეეძინა, ვიცი!.. ეგებ ქვრივია ჩემსავით! მარტოხელაა და ასეთი წვრილმანობით ცხოვრობს!.. – ფიქრები აიხვია და დაიხვია შალიკომ, შორსაც გასდია, მერე კი უცბად შეჩერდა, – შალიკო, ბევრი არ იფიქრო, ახლა არ არის მაგის დრო, ამოიღე ჯიბიდან ფული, გააჩერე ვიღაც და უთხარი: ძმურად გთხოვ, რაღაც მიზეზების გამო იმ ქალთან ვერ მივდივარ, აი, ფული, მიდი, ის ჭინჭრიანი ტომსიკები იყიდე, გინდაც სახლში წაიღე, გადასარევი შეჭამანდი კეთდება მისგან-თქვა, თუ მხალეული არ გიყვართ, იმ მანდილოსანის თვალს რომ მოეფარები, ნაგავში ჩაუძახე-თქვა!..“ – შალიკომ ბოლო ნაფიქრს ერთხმად „დაუჭირა მხარი“ და ხალხში ჭინჭრის სავარაუდო მყიდველს დაუწყო ძებნა, თან თვალს არ აშორებდა აზნაურების „პრინცესას“.

... ფედოსაც არ გამორჩენია კაცის დაჟინებული და უჩვეულო მზერა!.. თავისთავად წამოეწია ფიქრი იმაზე, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ეს წარმოსადეგი კაცი!

...არა და არ გამოჩნდა ჭინჭარ-მოლოქის კლიენტი!

...ამ გამჩინებაში, მზერა-ყურებასა და თვალქვემო ჭვრეტაში, ისევ გამოჩნდნენ ქალაქის მმართველობის წარმომადგენლები, მაგრამ ამ ჯერად ქუჩის მეორე მხრიდან წამოეპარნენ ფედოსის!..

ქალმა „სტუმრები“ მაშინ შეამჩნია, როცა იმ ოთხიდან, ერთმა, გავლისას მუქარა რომ „დატოვა“, გაზეთების ჯიხურთან მიდგმული ტომსიკა რომ აიღო და სანაგვე ურნაში რომ ჩაუძახა.

ფედოსიმ ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო! ბიჭი ახლა მეორე ტომსიკას მიეტანა, მაგრამ ფედოსიმ მაგრად ჩაბღუჯა ხელი, გაზაფხულის „ნობათის“ გადარჩენა სცადა... ძალს – მომხვდური, ძალს – ჭინჭრის პატრონი... ამ გვარიან წაჭიდავებაში ბიჭმა იძალა, ტომსიკა მაღლა ასწია და ბლოკის ნარჩენებზე ჩამომჯდარ ფედოს თავზე გადაუტარა... ქალბატონმა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ძირს ჩამოქაჩა ტომსიკა და ამ დროს მოხდა მოსახდენი – „ფუთას“ ძირი გამოეფხრიწა და აზნაურების პრინცესას ჭინჭარი პირდაპირ სახეზე ჩამოეყარა... ჩამოეყარა და ფედოსიმ ისეთი იკივლა, მიშველეთო, მეტროს მიმდებარე ტერიტორიას ჟრუანტელმა დაუარა...

ქალის რაღაცნაირმა, გაუგონარმა კივილმა მოაქცია შალიკო, აქეთ-იქეთ გაფაციცებით დაიწყო მზერა, მაგრამ იმ წამობას ვერ გაერკვა, საიდან მოესმა ხმა...

...ქალაქის მმართველობის წარმომადგენელმა ახლა ფეხი ამოუჩანთა ტომსიკას!.. დარჩენილი ჭინჭარი ბოლომდე ჩამოეცალა თავზე ქალბატონს...

...ხალხის მოძრაობაში პატარა „ფანჯარა გაიჭრა“ და სწორედ მაშინ იყო, მომხდურის „მოძრაობა“ და ქალის მორიგი შეკივლება ერთად რომ „დაიჭირა“ შალიკომ, აფთარივით დასხლტა ჭარმაგი კაცი, ერთიან დააცხრა თავს ახალგაზრდას და ისე ძალუმად შემოჰკრა მუშტი მარცხენა იღლიის ქვეშ, სუნთქვაშეკრული მოძალადე ასფალტზე გაიშხლართა...

...სახედათუთქული ფედოსი მოთქვამდა და შველას ითხოვდა...

...შალიკო ფედოსის ვაივაშმა უფრო გაახელა – ამიტომაც იყო, ძირს დავარდნილ მომხვდურს, წიხლიც გვარიანად ჩააზილა.

ნაქცეულის დასახმარებლად სამი თანამეინახე უმალ წაეფოფრა შალიკოს. ერთმა ხელიც კი მოუქნია, მეორე ფეხით ცდილობდა რაღაცას, მესამემ ბოქსიორის პოზა დაიჭირა...

– მაგასაც ბედავთ? – იყვირა მარა, რა იყვირა შალიკომ! მერე ელვასავით დატრიალდა ჭარმაგი კაცი და, თვალის დახამხამებაში ისეთები ამოსცხო და ამოანარცხა ბიჭებს, თვალის შევლებაც კი ვერ მოასწრო გამვლელ-გამომვლელმა.

...ვიღაცამ წყალი მოიტანა. შალიკომ ცხვირსახოცი დაასველა და სახეზე დააფარა ქალბატონს.

...აღუწერელი იყო ქალის წუხილი.

– საკინძე, საკინძე გაუხსენით!.. ჰაერი არ ყოფნის, ჰაერი! – დაიძახა შუა რიგებიდან ვიღაცამ.

...შალიკომ ღილ-კილოს მიატანა ხელი, მკერდი მოუხალვათა ქალს და რას ხედავს! ხალი, ტყუპებს რომ ერთმანეთისგან არჩევდა, ისევ იმ ადგილზე, ლავიწის კიდეზე იყო „დასკუპებული!“

– ფედოსი, ჩემო ფედოსი!.. საიდან სადაო! საიდან სადაო! შალიკო ვარ, ბოშო, შალიკო! – ამოიყვირა კაცმა და ახლად დასველებული ცხვირსახოცი ისევ დააფარა ჭინჭრით ამოფურტკვნილ სახეზე.

...ცნობისმოყვარეებით გადაიჭედა მეტრო სარაჯიშვილის მიმდებარე ტერიტორია.

...ბიჭები უგონოდ ეყარნენ ასფალტზე...

...მათკენაც გამოიხედეს...

...ვიღაცამ სასწრაფო დახმარების სამსახური გამოიძახა... ვიღაც, არამკითხემ, მომხდარის შესახებ არაფერი რომ არ იცოდა, პოლიციაში დარეკა.

– მანქანა, კერძო ტაქსი, აგერვე მიყენია, ჩავსვათ ქალბატონი და გავქუსლოთ, არიქა!.. არიქა!.. სანამ სამართალდამცავები მოვლენ, დავტყდეთ, „დავაი, დავაი!“ – ჩასძახა ყურში შავტუხა კაცმა შალიკოს.

– მოვიდნენ, ერთი მაგათიც! – მწარედ შეიგინა შალიკომ, მერე ცხვირსახოცი ისევ დაასველა და ამჯერად კი აღარ დააფარა, ოთხად დაკეცა და ლოყა-ღაწვზე დაუთათუნა.

...ტაქსისტმა მაინც იძალა:

– ბიძაჩემო, ეგ გალახულ-დაჟეჟილი ბიჭები ხელმწიფის ხალხია და თუ არ გაიქეცი, დაგიჭერენ!.. შენი ჯენტლმენობა და გამოსარჩლება მაგათ ფეხებზე ჰკიდიათ!.. ადე, ადე, მოგეხმარები და ქალიანად მოვცოცხოთ!..

...ხალხიც წაეყევრა შოფერს. აქეთ-იქეთა შეჩინჩხალებამ გაჭრა, მოგონიერდა შალიკო, დაავლო ფედოსის ხელი და მანქანისკენ გააქანა.

– ხო არ იცი, ძამია, ვინ იყო, ან სადაური იყო, იიი კაცი? – ჰკითხა ერთმა ახალმა მოსულმა დამხვდურს.

– რავი, აპა!.. ჭირისუფალი ვარო, მაშინ თქვა, როცა ოთხივე ბიჭი ცემით დახეთქა!.. თანაც ბაბუ იყო, ასაკოვანი ტიპი, ჩემი კაი, რა! – ხელების „თანხლებითა“ და მიკნავებული ხმით ამოილაპარაკა ჩია, გაჩხინკულმა ახალგაზრდამ.

– ბაბუ უძახე შენ და მაგარი ვინმე კი იყო, აი! ჯიგარი, რა! – გაზეთების გამყიდველმაც დააწია საქებარი სიტყვა შალიკოს.

– ვიცნობდი ადრე მაგ კაცს! თუ ის იყო, ვისზეც ეჭვი მაქვს, ეგ, ბიჭობაში, ერთი ხანობა, „ბოინიაში“ მუშაობდა, თავში მუშტის ჩარტყმით ხოცავდა საქონელს! – ჩაილაპარაკა ვიღაცამ და, რატომღაც, თვითონაც გაიფერთხა ხელები.

...ტაქსისტი „მარჯვედ“ მართავდა მანქანას – სალონში „ჩახუტებულ“ შალიკოსა და ფედოსის მთელი სისწრაფით მიაქროლებდა...

...მიაქროლებდა, მარა, საით, არავინ უწყოდა!.. ■



ნურაფიზ ჰუსეინოვი *დაიბადა 1958 წელს საქართველოში, გარდაბნის რაიონის სოფელ აღთაჰლაში. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. ამჟამად ცხოვრობს და მუშაობს ბაქოში, დამთავრებული აქვს არქიტექტურულ-სამშენებლო უნივერსიტეტი.*

ნურაფიზი

თარგმნა ზეზვა მედულაშვილმა

საზღვარი

თათარ პოეტს მუსა ჯალილს[1]

ნატვრას, ოცნებას პოეტისას
ზღვარს ვინ დაუდებს, –
უსაზღვრო არი საწიერი
მისი ოცნების,
არცა სიყვარულს პოეტისას
არსად უჩანს ბოლო წერტილი.

არადა, მოხდა –
ერთ პოეტს რომ ზღუდე მოავლეს,
ზედ მის ფეხებთან,
ზედ მის თვალწინ,
ზედ მის გარშემო
ზღვრად აღუმართეს ოთხი კედელი,
მისი მზერაც და მისი სმენაც
მოსაზღვრეს, დახშვეს,
გამოკეტეს ერთი საკნის მდუმარებაში.
ოღონდ, ეგ არის –
ვერ დაუდეს მის გულს საზღვარი...
ვერ დაეტია ერთ ოთახში მისი ლექსები,
ერთ ქვეყანაშიც ვერ დაეტია, –
ზღუდე გაგლიჯა და მოედო ქვეყნიერებას.

ლექსი – ლექსია! –
საზღვარსა და მიჯნას ვერ იშვნევს,
ლექსს ვერ დაიჭერ,
ვერ იქნება ლექსი ტუსაღი!

პოეტის ლექსის საწიერი, სამან-საზღვარი
არის ამქვეყნად –
ქვეყნიური უსაზღვროება!

●

ქვეყანამ რა იცის? –
ბალღსა ჰკითხეთ თოთოს, უენოს –
თუ რაზომია
დედათა სიდიდე და სიდიადე!
ხეებსა ჰკითხეთ,
თუ რას ელის მიწა ზეცისგან.

ზოგჯერ ვივიწყებთ
(როგორც სიზმარში მოგებულ ფულს
ივიწყებს კაცი),
რომ გვავიწყდება თავად სამშობლო.

ხუთსართულიან პოსტამენტზე
მდგარი ძეგლიც კი
ისევ და ისევ მიწას უხრის თავს,
ჩვენგან ათას წლის შემდეგაც კი
თავს შეგვახსენებს ზედწერილი მისი სახელი.

წადით...
წადით და ფუზულის[2] ჰკითხეთ,
როგორია სამშობლოს გემო.

ხმა-ავტოგრაფი

უცხოობაში შთენილ საფლავებს
იმედის სხივი ჩაესინათლა,
უდაბნოების სიზმრეულ თვლემას
მაღლით ღრუბელმა გადაუარა.

იმ ღამეს იყო – ბებიაჩემი
შემოდგომური ფოთლის სიმჩატით
ჩემს სიზმარში რომ შემოფრიალდა:

– მაგვარ ლექსს ნუღარ წამიკითხავო!..
რაღა დროს შენი ტირილი და წუწუნიაო!

ხმასაც თავისი სურათ-ხატი ჰქონია თურმე,
ხოლო ავტოგრაფს
წერენ ალბომში,
სამახსოვროდ რომ შეინახონ.

●

ხეებს ვალი სძევთ წყლისა, მიწისა,
ადამიანებს – სიყვარულის,
ცეცხლის ვალი აქვთ.
ალალმართლობის იმედზე ვართ
ბოლო სულთქმაზე,
მხოლოდ მაშინღა გვაგონდება ჩვენი ვალები,
ამ უზარმაზარ დუნიაზე,
ამ ქვეყნის კარად,
სავსენი ვართ ჩვენი ვალებით,
ხის თუ ბალახის საიდუმლოს
სისხლით ვატარებთ,
შეშა-კერიის საიდუმლოც
ჩვენ სისხლშია ჩაფესვებული.
ქრთილისოდენა სიცოცხლეს ვცოცხლობთ,
მზისა და მთვარის შემაცქერალნი –
წამების თვლით ვართ განაწამები,
ქვეყნიერების წინაშე ვართ ვალში ყელამდე.
ოღონდაც თავად ქვეყნიერებას
დიდ სიყვარულის დიდი ვალი
უმძიმებს კისერს.
ვალით ცხოვრობენ,
ამა ქვეყნად ყველას ვალი სძევს –
დედების გარდა!

თან წამიყვა, ჩემო კვნესავ!

სილა რო მქნა – სიოც გამშლის,
ქვად ვიქცე და – წვეთიც დამშლის,
კვნესა დამცდეს – ნაცრად დამფშვნის,
ქარს გამატანს ჩემი კვნესა.

იგი ჩემში ჩუმად ჩივის,
ხმაში სევდა გამოსჭვივის,
გადმოლახავს ყველა ტკივილს,
ცაში აღწევს ჩემი კვნესა.

არ მპატიობს ცოდვას ფირი,[3]
ლექსის წერაც გახდა ჭირი,
აღარც მიწამ მიყო პირი, –
თან წამიყვა, ჩემო კვნესავ!

●

აბა, ამ სოფლის ტირიფებს შეხე, –
მათი ტოტები მარილივით
ლოკავენ მიწას.

მოხუცებულთა სასო, იმედი
ომის შემდგომ ისე ინგრევა,
ვით უპატრონო სახლის ნაშალი.

მიწაც ჩაყუჩდა, ხმა ჩაიგდო
თანდათანობით, –
ეს ბებრებიც რომ გვეცლებიან,
ნელ-ნელ ხელიდან, –
მიწაა, მაგრამ იმანაც კი
პირი შეიკრა,
დარდისგან თითქოს პრკე მოიკიდა.

მას აქეთ, რაც კი ბებოჩემი გარდაიცვალა,
ჩემ სოფელს გულით დავატარებ,
გულში ვინახავ.

მატარებელო, გაინძერი, დედა მიმელის

რას მიზოზინებს, რა ფეხს ითრევს
მატარებელი, –
ლოდინი გახდა მძიმე ლოდად
სატარებელი!
მწვანე შუქია ჩემი ნატვრის
სადარებელი, –
მატარებელო, გაინძერი, დედა მიმელის!

შენს შეკივილზე თვალს არ ახელს
ქარი მძინარი,
გზაც ყურს იყრუებს შენი ქშენის
შეუსმინარი,
არც დრო ჩერდება სადგურებში –
მირბის, წინ არი,
შენც დროს მისდიე, გასწი, გაჰკარ,
დედა მიმელის!

გზა – ფუტკარია ჩემს ბუტკოზე
მინახვევარი,
მწუწნის და... მაინც არ გათავდა
გზის ნახევარი,
არადა, ჩემ გულს გზები ჰკვეთენ
ყევარ-ყევარი, –
მატარებელო, გასწი, გაჰკარ, დედა
მიმელის!
ის თავის გულში მლოცავს ახლა...
შინ მისდის შვილი,
მისებრ სხვას რომელს ჩემთვის გული
ექნება შლილი.
ვშიშობ, თითქოსდა გზა გრძელდება...
არ მომდის ძილი,
მატარებელო, აუჩქარე, დედა მიმელის!

არც თვალი მითმენს, აღარც გონი,
აღარც – სურვილი,
დედის მონატრულს დროზე მისვლის
მახრჩობს წყურვილი...
ნელ-ნელ მოკლდება დედისაკენ – გზა
მიწურვილი,
მატარებელო, უფრო ჩქარა! დედა მიმელის.

თქვენი სახლის კედლები

კედელ-ყურეს თქვენი სახლისას –
ტვიფრად ატყვია ზედშემხმარი
ჩემნი მზერანი.
ღამეთა რიგი,
ვითა ერთი ობოლი ბავშვი –
გაჟღენთილი შენი სუნთქვის იასურნელით –
სცავს და სდარაჯობს
შენთა თვალთა ძილს, პეპლისებურს.
ერთხელაც ნახავ –
თქვენი კედლის სიჩუმეზე დანაკიდარი
უტყვი, უენო სურათების მუნჯურ მზერაში –
თუ ყვავილივით როგორ გაშლილა
და როგორ სჭვივის
ჩემი სევდა უშეღავათო,
ანდათუ, როგორ, მეტისმეტი განცვიფრებისგან,
დაცხავებულა და დამსკდარა თქვენი კედელი,
ამის შემდგომ კი,
თუნდაც მასზე სახემიყრდნობით,
ზედმიკვდომით და გულამოხვინჩვით
რომც იტირო და ცრემლი აფრქვიო,
მორჩა, ნამს აღარ მოიკიდებს
თქვენი კედელი.

აბდულა ძია

ომიდან,
ანუ, სოფლურად თუ ვიტყვით – „ჩხუბიდან“
შინ ცალი ფეხით ჩამობრუნდა ძია აბდულა.
მარჯვენა ფეხი იქ დაჰკარგვოდა,
იღლიითღა ეკიდა ომბოხს.
დღეში, სულ ცოტა, ასჯერ მაინც –
ფიქრში, ნატვრაში,
ბარს აიღებდა, ხეხილისათვის
ბალახიანი ძირები რომ შემოებარა.
რა ექნა საწყალს,
მოუვლელად ბევრი გაუხმა.
კიდევაც დიდხანს იცოცხლებდა,
მაგრამ შეშინდა:
ვაი, თუ გულმა ველარ გამიძლოს,
ველარ დაიდგნოს ამდენი ნატვრა
და საიღლიე ჩემმა ომბოხმა
კვირტი გამოსკვნას და
ყვავილად გაიშალოსო!
ჰოდა, ერთხელად
ჩუმად ადგა ძია აბდულა,
აიკრიფა გუდა-ნაბადი
და იმ თავისი მარჯვენა ფეხის
გზა-კვალს გაუდგა
აქაობით შეურვებული.

---

[1] *თათარი პოეტი მუსა ჯალილი გერმანელმა ფაშისტებმა დახვრიტეს მოაბატის ციხეში*

[2] *ფუზული – აზერბაიჯანელი პოეტი (XVI ს.)*

[3] *ფირი – სულიერი მოძღვარი, სალოცავი, წმინდა ალაგი.*

ჟაკ დავიდის ნახატის ერთი დეტალის გამო

ჯემალ მეხრიშვილი

სოფლად დავიბადე და გავიზარდე. განსაკუთრებით მიმონებდა ორი ცხოველი. ხარი, როგორც ადამიანის მარჩენალი, თავისი ხარული გარეგნობით, მოთმინებითა და ამტანობით ჩემში პირდაპირ რელიგიურ თაყვანისცემას იწვევდა და დღესაც იწვევს. ცხენისთვის მარტო ერთი თვალის შევლებაც კი სუნთქვას მიკრავდა და მაშეშებდა!.. ღმერთო, რა შიშის მომგვერელ ძალ-ღონეს, ჟინსა და უშრეტ ენერგიას აფრქვევდა მისი ლოდისებურად დაკუნთული მედიდური გულ-მკერდი, მძლავრი, მაღალი, დრეკადი ზურგი, გედისებური შეუპოვარი კისერი, გუმბათისებური ბეწვლამაზი გავა, ძვლოვანი, კირკიტი თავი, ჰაერის ხარბად მხაპავი ფართო ნესტოები, ბრიალა თვალები, ტალღოვანი ფაფარი, ნაპერწკლების მკვესავი ფლოქვებით დაბოლოებული გრძელი, დაძარღვული ფეხები, ჩანჩქერისებურად ჩამოვარდნილი ძუა!.. ნუღარ იკითხავთ მუქარანარევ ხვიხვინ-ფრუტუნსა და ჟინაშლილ ჭიხვინს!..

ცხენი! უხსოვარი დროიდან მოტორის გამოგონებამდე გადაადგილების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ და საიმედო საშუალებას ხომ სწორედ ცხენი წარმოადგენდა და მის ამტანობაზე იყო დამოკიდებული მაკედონელის, ჰანიბალის, ცეზარის, ატილას, კარლოს დიდის, დავით აღმაშენებლის, ჯვაროსნების, ჩინგიზ ხანის, გიორგი სააკაძის, ფრიდრიხ დიდის, ერეკლე მეორის, ვაშინგტონის, ნაპოლეონის და სხვა მრავალი მხედართმთავრის ლაშქრის გადაადგილების ტემპი, მანძილი, საომარი წარმატება!.. ცხენი!..

მამაჩემი ჯერ გუთნისდედა იყო, ტრაქტორების მომრავლების შემდეგ კი კოლმეურნეობის ფერმებში მწყემსობდა. ჰოდა, როცა შინ ცხენით ჩამოსვლა უხდებოდა, მოზარდის კვალობაზე მეც შემთხვევას ხელიდან არ ვუშვებდი ხოლმე, საძოვრად თუ წყალზე გატანებულ ამ ზღაპრულ არსებას ზურგზე არ მოვქცეოდი..

საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ორიოდე წლით მწყემსად წავედი და საკუთარი დაკვირვების ფარგლებში იქ კი კარგად შევითვისე როგორც ცხენის შეკაზმვა, ტარება, მისი მოვლა-პატრონობა და ზნე-ნირი, ისე ხიფათიან ჭენებასთან დაკავშირებული, ნებისმიერი მხედრისთვის აუცილებლად საცოდინარი წვრილმანები და თავისებურებანი...

რისთვის დამჭირდა ამგვარი შესავალი? აი, რისთვის!

უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი რომ გავხდი, გამოუსვლელმა სოფლელმა დიდი ბიბლიოთეკების ზღაპრული საგანძურები აღმოვაჩინე და გულაფანცქალებულმა პირველად გადავშალე **ჟაკ ლუი დავიდის** (1748-1825) ტანმძიმე ფერადი ალბომი, ერთ-ერთი ნახატიდან ერთი ისეთი შეუსაბამობა შემომეფეთა, რომ მას აქეთ ეს ნახატი გამახსენდება თუ სადმე შემთხვევით თვალში ჩამივარდება, მაშინვე უსიამო ორჭოფობა დამეუფლება ხოლმე, ვინაიდან ვერც თავისთვის მიმიცია უფლება, **„ნაპოლეონის უპირველეს მხატვრად"** შერაცხულ **ჟ. დავიდს** მხედრული უმეცრობა დავწამო, არადა, ჩემი საკუთარი გამოცდილებაც თავისას მიშვრება!

ჰოდა, ამ წერილის მიზანი და იმედიც ეს არის – იქნებ რომელიმე მადლიანმა მხატვარმა ან ხელოვნებათმცოდნემ ორიდე სიტყვით გამარკვიოს.

საკითხი ეხება **ჟ. დავიდის** მიერ 1800 წელს შესრულებულ საქვეყნოდ ცნობილ ფერწერულ ტილოს **„ნაპოლეონი სენ-ბერნარზე გადასვლის დროს".** მეც მესმის, რომ ნახატი პარადულია. ამიტომ მის ჰეროიკულ-პროპაგანდისტულ შინაარსსა და მხატვრულ სტილთან არანაირი შენიშვნა არ გამაჩნია. მაგრამ ერთი კარგად დააკვირდით აი, ამ დეტალს: უფსკრულის პირას ლაშებდაღრეჯილი ნაპოლეონის ნაურვალი ცხენი ყალყზეა შემდგარი, აყალყულ ცხენზე, ცოტა არ იყოს, ჩიკორივით წამოსკუპებული, მიზნისკენ მარჯვენა ხელგაშვერილი და პარაშუტივით ხალვათლაბადააფრიალებული ნაპოლეონის გამოკვეთილად მტკიცე მარცხენას კი აღვირი ვითომ საიმედოდ უჭირავს, უკან რომ არ გადმოქანდეს და ამ ციცაბო მდგომარეობაში სიმდგრადე შეინარჩუნოს, მაგრამ თვითონ მაგრად ჩაბღუჯული აღვირის ორივე ტოტი... სრულებით დაუჭიმავია და ჰაერში უღონოდ კიდია!!!

ეს კი მხედრის მიერ ცხენის მართვის ვერანაირ ადათ-წესებში, ინსტრუქციასა თუ ჩარჩოში ვერ თავსდება, ვინაიდან დაუჭიმავი აღვირის ასე „უპატრონოდ" მიტოვება ყალყზე შემდგარ გაფიცხებულ ცხენს შეიძლება მოქმედების გაგრძელების ნიშნად მიეღო და თავის მხედრიანად უფსკრულში გადანთებულიყო!!!

ცხენის გახედნა-დამორჩილებისა და აღვირის გამოგონების დღიდან დაუშვებლად ითვლება მხედარმა ცხენს ერთი შეხედვით თუგინდ ყოვლად უხიფათო ვითარებაშიც კი აღვირი ნებაზე მიუშვას! ეს საბედისწერო ფათერაკის შემცველია, ვინაიდან მეთოდური წრთვნით „დაპროგრამებულ" ცხოველს -- მხოლოდ თავისი მხედრის მტკიცე მარჯვენის კარნახით რომ მოძრაობს – მოულოდნელი მსგავსი „ფუფუნებისგან" თავ-გზა ებნევა და ადვილი შესაძლებელია უცაბედად რამე „სისულელე" ჩაიდინოს!

ჟ. დავიდთან? საშინელი უფსკრულის პირას აყალყული ცხენ-მხედრის ამგვარი დრამატული კომბინაციისას, ელვის სისწრაფით, თავისთავად უნდა დაბადებულიყო ერთმანეთის შემაკავშირებელ-გამაწონასწორებელი სასიცოცხლო სამკუთხედი: აყალყული ცხენის წამიერად გაქვავებული, მაგრამ ავის მომასწავებელი დინამიკური ფიგურა, სასიკვდილო საფრთხენაგრძნობი, ტანდაძაბული მხედარი, ღონივრად მოზიდული აღვირით უფსკრულის თავზე ატოტილ გახურებულ ცხენს რომ იოკებს და სიმივით დაჭიმული აღვირი, რომელიც თვით მხედარს უნაგირზე აკავებს!!!

სინამდვილეში კი რას ვხედავთ? აგერ, ახალგაზრდა, ჯერ კიდევ ტანმჩატე ნაპოლეონს მარჯვენა წინ პათეტიკურად გაუშვერია, ალპების ქარიშხლისაგან ხომალდის აფრისებურად აფრიალებულ-გაბერილმა ვეებერთელა ლაბადამ უნაგირიდან ლამის ბუმბულივით აიტაცოს ან თუგინდ წონასწორობა დააკარგვინოს, მარცხენა ხელით სრულებით ფომფლე სადავე მტკიცედ უკავია, ამ დროს აღვირის ორივე ტოტი კი ცხენის კისრის მთელ სიგრძეზე ცხვრის ნაწლავებივით უღონოდ კიდია, ხოლო უზანგებზე ზედმეტი დაყრდნობა უკუვარდნას უფრო გააძლიერებდა და დააჩქარებდა!

ჰოდა, აი, ამგვარ პირობებში ნებისმიერი მხედარი რატომ დარჩებოდა აყალყული ცხენის მუცელზე მხოლოდ ფეხების მოჭერის ერთადერთი მყიფე იმედით, როცა ხელში უმთავრესი და უპირველესი „კოზირი", აღვირი უპყრია?!

მსგავს შემთხვევაში ზღვრამდე დაძაგრული აღვირი თუკი ცხენს ვერ შეაკავებს საბედისწერო კამარისაგან ან მხედარს – უნაგირიდან უკუკოტრიალისგან, აბა, მეტი სხვა რაღა დანიშნულება აკისრია?!

მაშ, ჟ. დავიდმა თავის ნახატზე მანდილოსნისთვის მისართმევი პაწია თაიგულივით ნაპოლეონს ასეთი უაზრო თეატრალურობით რატომ დააჭერინა დაუჭიმავი სადავე?!

პარიზში დაბადებულმა და აღზრდილმა დიდმა მხატვარმა ნუთუ ზედმიწევნით არ იცოდა ცხენსაკაზმის ყველა ნაწილის ზუსტი დანიშნულება?!

მკითხველთა საყურადღებოდ!

გაზეთის გამოწერა უკვე შესაძლებელია. ამისთვის საჭიროა დარეკოთ ან მიაკითხოთ პრესის გავრცელების სააგენტოებს: საქპრესა (გურამიშვილის გამზ. №64, ტელ: 2 51 85 18), მაცნე (საირმის ქ. კორპ. №4, ტელ: 2 14 74 22), პრესექსპრესი (ი. ჯავახიშვილის ქ. №86, ტელ: 2 96 23 11), ჯეომედია (გ. ჩუბინაშვილის №50, ტელ: 2 95 51 70), პილონი (წერეთლის გამზ. №113, ტელ: 2 34 77 43), პრესა 2012 (წერეთლის გამზ. №142, ტელ: 2 34 09 35).

გაზ. „ლიტერატურული საქართველოს" საბანკო ანგარიში:
ქ. თბილისი სს „პროკრედიტბანკი"
კოდი: MIBGGE22
ანგ. № GE61PC0183600100029708

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ძვირფასო ავტორებო!

რედაქციაში გამოსაქვეყნებლად მოტანილი ან გამოგზავნილი ტექსტი არ უნდა აღემატებოდეს A4 ზომის ოთხ კომპიუტერულ გვერდს!

დაბეჭდილია შპს "ასავალ დასავალის სტამბაში"
მისამართი: თბილისი, აგლაძის ქ. 39
ელ. ფოსტა: print@asavali.ge

მთავარი რედაქტორი და გამომცემელი
თამაზ წივწივაძე

გაზეთი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით

თავისუფლების მოედანი №4
E–mail: litsaqartvelo@yahoo.com
ტელ.: 292 34 89

გამოდის პარასკევობით